

უნივერსიტეტში ხმაური გრძელდება

A3



ალალი პური

A4



ბილაური მოსახლეობას "გაგებას" სთხოვს და დაპირებებით კვებავს

B1

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — ოთხშაბათი, 29 ივნისი, 2005 წელი. №145 (1005) — ფასი 50 თეთრი

ყურადღება!

**სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომლითაც უნდა შერჩეულიყო ყოველდღიური გაზეთი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სატენდერო განცხადებების გამოსაქვეყნებლად, გაიმარჯვა გაზეთმა "24 საათმა".**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის **2005 წლის 11 მაისის N3 ბრძანების** თანახმად, აღნიშნული ცვლილება შევიდა "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების შესახებ" საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2001 წლის 15 ოქტომბრის №1 ბრძანებაში.

შესაბამისი ხელშეკრულებების გასაფორმებლად და სხვა დეტალების დასაზუსტებლად გთხოვთ, დაუკავშირდეთ გაზეთ "24 საათი"-ს რედაქციას:

ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული.

ტელ: 202404; 202424; 200024;
8 99 220 949.

ელ-ფოსტა: tender@24hours.ge

საკონტაქტო პირი - ირაკლი ლეჟავა

## საზოგადოება

"სუფთა ქალაქი - უპირველეს ყოვლისა"



ამ დევიზით გუშინ რუსთაველის ძეგლთან თბილისის დასუფთავების სამსახურის ასოციაციამ აქცია გამართა.

A4

## ამინდი

| | 29 /06 | 30 /06 |
|---|---|---|
| თბილისი | 34 | 36 |
| ტყიბული | 30 | 31 |
| სოხუმი | 28 | 30 |
| დმანისი | 27 | 27 |
| გორი | 29 | 31 |
| ონი | 25 | 26 |
| ზუგდიდი | 32 | 32 |
| ახმეტა | 33 | 35 |
| გაგრა | 27 | 28 |
| სამტრედია | 33 | 33 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8175 |
| ევრო | 2.2050 |
| გირვანქა სტერლ. | 3.2868 |
| რუბლი | 0.0636 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| ამბები | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | სხვადასხვა | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| პროექტი | A8 | სხვადასხვა | B8 |


# ვინ იქნება შემდეგი

## სამართალდამცველები საგადასახადო სამსახურს მიადგნენ

ხმაურიანი დაკავებები გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროში საგანგებოდ გამართული ბრიფინგის შემდეგაც გაგრძელდა. თუმცა, გვიან ღამით, დავით კეზერაშვილის უწყებამ განაგრძო საგადასახადო დეპარტამენტის თანამშრომლების დაკავება. ფინანსური პოლიციის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველომ თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფროსი თემურ დვალი, საგადასახადო დეპარტამენტის აქციზის გადამხდელთა ინსპექციის გადამხდელთა მომსახურების სამმართველოს უფროსი ირინა დადვანი და ამავე სამმართველოს მთავარი ინსპექტორი პავლე ამადი დაკითხვის შემდეგ დააკავა. მათი დაკავების თაობაზე ოფიციალური განცხადებები გენერალურ პროკურატურაში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე გაკეთდა, სადაც ფინანსური პოლიციის უფროსი დავით კეზერაშვილი მომავალში დაგეგმილი დაკავებების შესახებაც იტყობინებოდა.

რაც შეეხება დღის ბოლოს დაკავებულ სამ ეჭვმიტანილს, როგორც გენერალური პროკურორის მოადგილე კახა კობერიძე განმარტავს, მათ ბრალს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისთვის წარუდგენენ.

**"საქმე ეხება ნედლი ნავთობის გადამამუშავებელ ფირმა "გიონიკას", რომელიც ყოველგვარი ლიცენზიისა და ნებართვის გარეშე სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდა.**

გაგრძელება A2 გვერდზე



ინტერპრესნიუსი

ვანო მერაბიშვილი ათვალიერებს თანამედროვე საქართველოს ისტორიაში გამოვლენილი უპრეცედენტო ქრთამის თანხას.

# "კანარგო ჯორჯიას" საგარეჯოს დატოვება მოსთხოვეს

ზვიად რუაძე
კახეთიდან

*"კანარგო ჯორჯიას" მიერ შარშან გარემოს დაბინძურების შემდეგ, როგორც საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდის მოსახლეობა ამბობს, დაავადებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობამ საგრძნობლად იმატა. ისინი კი, ვისთვისაც დახმარების აღმოჩენა ჯერ კიდევ არაა დაგვიანებული, დაზარალებულების განცხადებით, უყურადღებოდ არიან დატოვებული. უფრო მეტიც, ნინოწმინდელები ამბობენ, რომ ნავთობკომპანიის და რეგიონის ჯანდაცვის სამსახურის მკაცრი გაფრთხილებით, ექიმები დაავადებულებს ზუსტ დიაგნოზს არ ეუბნებიან.*

*ვითარების გასარკვევად გუშინ ნინოწმინდაში, გარემოს დაცვის სამინისტროს, ჰიგიენის ინსტიტუტის, სამხარეო ადმინისტრაციის და რეგიონული ჯანდაცვის სამსახურთან ერთად, თვით "კანარგო ჯორჯიას" ხელმძღვანელიც ჩავიდა. კომპანია აცხადებს, რომ მათ დაზარალებულებს, სხვადასხვა კომპენსაციებთან ერთად, სადაზღვევო კომპანია "ალდაგის" პოლისებიც დაურიგეს. მოსახლეობასა და ნინოწმინდაში ჩასულ სტუმრებს შორის კამათი და დავიდარაბა რამდენიმე საათს გაგრძელდა. მარიკა სუხიშვილს, რომელსაც მოწამლული წყლის და ჰაერის შედეგად გერმანულმა კლინიკამ სისხლში დიდი რაოდენობით ბენზოლი დაუდგინა, აქციის მსვლელობის დროს გული წაუვიდა. მოსახლეობა ნინოწმინდიდან "კანარგო ჯორჯიას" გასვლას ითხოვს.*

გაგრძელება A2 გვერდზე

# რა უნდათ "ზვიადისტებს" სოროსის ფონდის წინ?

## ეჭვები ხელისუფლების და "კანონიერი ხელისუფლების" წარმომადგენელთა ალიანსზე

ვერიკო თევზაძე

*მთავარ როლში: მანანა არჩვაძე-გამსახურდია. ეპიზოდებში: ტრანსფარანტებითა და ჯვრის ფორმის კომბლებით შეიარაღებული, სხვადასხვა ასაკის, აგრესიული გამომეტყველების ადამიანები. მოქმედების ადგილი: ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" ოფისის ტერიტორია. დამდგმელი რეჟისორის ვინაობა უცნობია. სამაგიეროდ, არსებობს არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთა ეჭვები დღევანდელი ხელისუფლების და მანანა არჩვაძე-გამსახურდიას დაჯგუფების (ანუ ყველა დროის "კანონიერი ხელისუფლების" წარმომადგენელთა) ფარული ალიანსის შესახებ.*

**"ჩვენ მომსწრე ვართ კამათისა, როცა აქციის მონაწილეები ამბობდნენ, რომ 7 ლარი პატარა თანხაა.**

გაგრძელება A3 გვერდზე




ვახო ბაქრაძის ფოტო

*ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" აღმასრულებელი დირექტორი დავით დარჩიაშვილი ხელისუფლებას სამუშაო პირობების შექმნას სთხოვს.*

# რუსულ-ქართული დაპირისპირება აფხაზეთში საკურორტო სეზონის გამო

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გუშინ გაავრცელა განცხადება, სადაც იგი შეახსენებს აფხაზეთის კურორტებზე დასვენების ყველა მსურველს, რომ კონფლიქტის ზონაში ამჟამად საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქცია არ ვრცელდება და ქართული მხარე მათი უსაფრთხოების გარანტიას ვერ უზრუნველყოფს.

საქართველოს საგარეო უწყების აღნიშნულ გაფრთხილებას წინ უძღოდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ რუსეთის მხარე მზად არის, უზრუნველყოს საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხო დასვენება აფხაზეთის კურორტებზე. რუსეთის საგარეო უწყება 2004 წლის ზაფხულსა და საქართველოს პრეზიდენტის იმ განცხადებას იხსენებს, სადაც სააკაშვილი საქართველოს წყლების აკვატორიაში, აფხაზეთისკენ მიმავალ გემებს ჩაძირვით დაემუქრა. **"ამ განცხადებამ საგრძნობლად დაძაბა სიტუაცია კონფლიქტის ზონაში. ჩვენ არ გვინდა, წელსაც იგივე განმეორდეს,"** - აცხადებს რუსული მხარე.

სალომე ზურაბიშვილის უწყების განცხადებას აქტიურად გამოეხმაურა სოხუმიც. აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ქართულ

გაგრძელება A2 გვერდზე

# ნავთობის ფასის ზრდის გრძელვადიანი ტენდენცია

დიანა ჩაჩუა

*ნიუ-იორკის სავაჭრო ბირჟაზე ნავთობის ფასმა მორიგი რეკორდი დაამყარა და ბარელზე 60,54 დოლარი შეადგინა. მიზეზი კვლავ ბაზრის მონაწილეთა შიშია იმასთან დაკავშირებით, რომ მოთხოვნა მიწოდებას გადააჭარბებს. "ნავთობის ფასის 60-დოლარიან ნიშნულთან მოძრაობა გრძელვადიანი ტენდენციაა," - თვლიან ექსპერტები.*

**"ბაზარი ძალიან გახურებულია და აქ სერიოზულ სპეკულაციებს აქვს ადგილი. ბაზრის ფსიქოლოგია იმაში მდგომარეობს, რომ 60-დოლარიანი ბარიერის გადალახვის შემდეგ ჩნდება სურვილი, შემოწმდეს, თუ სადამდე შეუძლია ფასებს ზრდა ან რამდენ ხანს გაძლებს ფასთა არსებული დონე,"** - აცხადებს კომპანია Purvin & Gertz-ის ექსპერტი ვიქტორ შუმი.

უკანასკნელი წლის განმავლობაში ნავთობის ფასი თითქმის ორჯერ გაიზარდა, თუმცა ამან მოთხოვნის შემცირება ვერ გამოიწვია. ნავთობის შესყიდვას აქტიურად განაგრძობენ ისეთი განვითარებადი ქვეყნები, როგორიცაა ჩინეთი და ინდოეთი.

ნავთობის ფასის მორიგი ზრდის მიზეზი ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის (ოპეკი) ერთ-ერთი ძირითადი წევრის - ირანის საპრეზიდენტო არჩევნებში ულტრაკონსერვატორი მაჰმუდ აჰმადინეჯადის გამარჯვება გახდა. პირველივე პრესკონფერენციაზე ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა ბირთვულ პროგრამაზე მუშაობას კვლავაც გააგრძელებს. მას არც აშშ-სთან ურთიერთობების გამოსწორების დიდი სურვილი გამოუხატავს. აჰმადინეჯადის თქმით, თეირანი ვაშინგტონის დახმარებას არ საჭიროებს. ამან, ანალიტიკოსების აზრით, შესაძლოა, აშშ-სა და ირანს შორის - ანუ "ოპეკის" უმნიშვნელოვანეს წევრსა და ნავთობის უმსხვილეს ექსპორტიორს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობის ესკალაცია გამოიწვიოს.

გაგრძელება A5 გვერდზე

## ვინ იქნება შემდეგი - სამართალდამცველები საგადასახადო სამსახურს მიადგნენ

პირველი გვერდიდან

**2005 წელს ფირმამ საგადასახადო ინსპექციას მიმართა განაცხადით ანგარიშ-ფაქტურების მისაღებად, რადგან უკანონოდ გადამუშავებული ნავთობის რეალიზაცია სურდა. ირინა დადვანს კანონის შესაბამისად მეწარმისათვის სამეწარმეო საქმიანობის შესაბამისი ლიცენზია უნდა მოეთხოვა და ანგარიშ-ფაქტურა მხოლოდ ამის შემდეგ გამოეწერა, რაც მან არ გააკეთა და უკანონო სამეწარმეო საქმიანობას ხელი შეუწყო,"** - ასეთია ფინანსური პოლიციის ინფორმაცია.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ფინანსურმა პოლიციამ შპს "გიონიკას" ხელმძღვანელი დააკავა და მას ბრალად უკანონო სამეწარმეო საქმიანობა ედება. **"უკანონო შეღავათების გავრცელებას არავისზე ვაპირებთ",** - აცხადებს გენერალური პროკურორის მოადგილე. მისივე თქმით, გამოძიებას საგადასახადო სამსახურის ხუთი თანამშრომელი დაემალა, რომლებიც უახლოეს ხანში ძებნილებად გამოცხადდებიან.

გუშინ, გვიან ღამით, კახეთის სამხარეო საგადასახადო სამსახურის თანამშრომლების დაკითხვა დაიწყო. კიდევ ვინ დააკავეს დაკითხვის შემდეგ და ვის წარუდგენენ ბრალს სამართალდამცველები, დღეს გახდება ცნობილი.

*24 საათი*

თემის გაგრძელება A7 გვერდზე

## რუსულ-ქართული დაპირისპირება აფხაზეთში საკურორტო სეზონის გამო

პირველი გვერდიდან

მხარეს მსგავსი განცხადებებისაგან და სიტუაციის ხელოვნურად დაძაბვისაგან თავის შეკავებას ურჩევს. **"საქართველოს ყოველწლიური ამგვარი განცხადებები აფხაზეთში საკურორტო სეზონის ჩაშლას ისახავს მიზნად. აფხაზეთში ამჟამად სტაბილური ვითარებაა და წელს ჩვენ ვაპირებთ, უპრეცედენტო რაოდენობის ტურისტები მივიღოთ. აფხაზეთის ხელისუფლება მზად არის, იზრუნოს მათ უსაფრთხოებაზე,"** - აცხადებენ სერგეი შამბას უწყებაში, სადაც მიიჩნევენ, რომ მსგავსი განცხადებებით ქართული მხარე აფხაზეთის აბსოლუტურ იზოლაციას ცდილობს.

რუსეთის საგარეო უწყების განცხადება ყველა აფხაზური ტურისტული სააგენტოს ვებგვერდზეა განთავსებული. ტურისტების დასახვედრად მზადყოფნას აცხადებს აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროც. საქართველოს საგარეო უწყების მიერ გაკეთებული განცხადების კომენტირებისას აფხაზეთის შს მინისტრმა ოთარ ხეციამ აღნიშნა, რომ **"აფხაზეთში დასასვენებლად ჩამოსული თითოეული ტურისტი მაქსიმალურად უსაფრთხოდ იგრძნობს თავს."** როგორც ხეცია აღნიშნავს, აფხაზეთის ყველა სანატორიუმთან თუ სასტუმროსთან იმორიგევებენ მილიციის წარმომადგენლები. ასევე, მისი თქმით, შექმნილია სპეციალური მობილური ჯგუფები, რომლებიც დღე-ღამის განმავლობაში საკურორტო ზონის პატრულირებას მოახდენენ.

**24 საათი**

## ვინ და როგორ გაასწორებს ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტებს

*ეს ინფორმაცია მთელი ქვეყნის გასაგონად, მაგრამ მაინც საიდუმლოდაა დაცული, იმიტომ, რომ რესპონდენტები, ანუ ერთიანი ეროვნული გამოცდების გამსწორებლები ინკოგნიტოდ უნდა დარჩნენ. ამ თემაზე მათი საუბარი კი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია:*

დალი კუპრავა

"თითოეულ ნამუშევარს სამი გამსწორებელი ჰყავს. ორი გამსწორებელი ვსხედვართ და ვასწორებთ, მე ჯერ ვასწორებ ე.წ. გრამატიკულ ნაწილს, ანუ რაც შემოხაზულია, ტესტურს. მეორე გამსწორებელი, ამასობაში, ასწორებს თემას, ესეს. შემდეგ იგივე პროცედურას შებრუნებით ვატარებთ - თემას უკვე მეც ვასწორებ და ასევე, ჩემგან გასწორებული ტესტური ნაწილიც სწორდება მეორე გამსწორებლისგან. მე ვასწორებ ისე, თითქოს ეს არ არის გასწორებული და შესაბამის გრაფაში ვათავსებ ჩემს შეფასებას ისევე, როგორც მეორე გამსწორებელი - თავის გრაფაში. მე შეცდომას შემოვხაზავ და დავაწერ კრიტერიუმის ნომერს. მაგალითად, თუ "რომ"-ის წინ მძიმე არ არის, მე იმ ადგილზე ვაწერ "8"-ს, რადგან N8 ორთოგრაფიული შეცდომების კრიტერიუმია. მეორე გამსწორებელიც თავის კრიტერიუმის ნომერს აწერს. ჩვენ ერთმანეთის შემოწმებულს კი არ ვასწორებთ, არამედ ნამუშევარი ორჯერ დამოუკიდებლად მოწმდება.

მესამე გამსწორებელი ამოწმებს ყველა შემთხვევაში, მაგრამ თუ ორის გასწორებულ შედეგებში დიდი განსხვავებაა, აქ მესამის პასუხისმგებლობა იზრდება.

ჩვენ მუშაობას, ნამუშევრების გასწორებას დავიწყებთ 13 ივლისიდან და ივლისის ბოლომდე უნდა დავასრულოთ. ნამუშევრის შეფასების გაპროტესტების შემთხვევაში პასუხისმგებლები არიან გამსწორებლები - სამი ადამიანი ერთდროულად."

**შ.პ.ს."აჭარის ენერგოკომპანია" , ფილიალების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, აცხადებს აუდიტორული ფირმების შესარჩევ კონკურსს: კომპანიას ესაჭიროება ფილიალების სალიკვიდაციო ბალანსების შედგენა(კომპილაცია).**
dato.gogichaishvili@aec.ge

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ქვედანაყოფების თანამშრომელთა მხრიდან თქვენი უფლების შელახვის ან კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შემთხვევაში დაგვიკავშირდით სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე:**
**98-57-81**

# "კანარგო ჯორჯიას" საგარეჯოს დატოვება მოსთხოვეს

პირველი გვერდიდან



სოფელ ნინოწმინდის მოსახლეობის დაწყნარება ვერანაირი შეგონებით ვერ მოხერხდა.



გულწასული მარიკა სუხიაშვილი.

საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდის მოსახლეობა ჯანმრთელობის გაუარესებას მას შემდეგ უჩივის, რაც შარშან, "კანარგო ჯორჯიას" ჭაბურღილის ავარიულად ამოფრქვევის შედეგად, სოფელი ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. მაშინ გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების მინისტრის განკარგულებით, ბირთვული სამსახურის თანამშრომლებმა ავარიულ ტერიტორიაზე რადიაციული ვითარება შეისწავლეს. მიუხედავად ადგილობრივ მოსახლეობაში გავრცელებული სხვადასხვა დაავადებებისა, კომპეტენტურმა კომისიამ ნინოწმინდელების შეშფოთება უსაფუძვლოდ მიიჩნია და რადიაციის მომატება ნორმის ფარგლებში დაადგინა. მოსახლეობამ კომისიის დასკვნა იმთავითვე ეჭვქვეშ დააყენა, რადგან სოფელში სხვადასხვა სიმპტომებით დაავადებულთა რიცხვი საგრძნობლად მატულობდა.

როგორც ნინოწმინდის მკვიდრი მარიკა სუხიაშვილი ამბობს, "ღვიძლის ცეროზის", რომელიც მას აღმოაჩნდა, მიზეზი სოფელში ნავთობის ავარიული ამოფრქვევა გახდა. ამის შესახებ მან მას შემდეგ გაიგო, როცა გერმანული კლინიკიდან პასუხი მოუვიდა: **"ჩემი ანალიზები გერმანიაში შესაბამის კლინიკებში გაიგზავნა და იქიდან მიღებული პასუხის თანახმად, სისხლში დიდი რაოდენობით ბენზოლი აღმომაჩნდა, რისი მიზეზიც, ექიმების თქმით, სწორედ ნავთობით დაბინძურებული გარემო აღმოჩნდა,"** - ამბობს მარიკა სუხიაშვილი.

ნინოწმინდის გარდა, წყაროსთავის და საგარეჯოს ნაწილის მოსახლეობაც მოიწამლა. ისინი ამბობენ, რომ ნავთობის ამოფრქვევის შედეგად გულსისხლძარღვთა დაავადებებთან ერთად, ხშირად სასუნთქი გზების ალერგია, წყლულოვანი გამონაყარი და მხედველობის დაქვეითება აღენიშნებათ. ბოლო ერთი წლის განმავლობაში, სოფელში სიკვდილიანობა მკვეთრად გაიზარდა. **"ჩვენს უბანში ყოველ კვირას მკვდარია, ცოცხლად დარჩენილები ერთმანეთს თვალებში შევყურებთ, ეხლა ვისი ჯერი იქნებაო. ახალგაზრდა თაობის უმრავლესობამ სოფელი უკვე დატოვა, მაგრამ ჩვენ რა ვქნათ? ან დროულად მოგვაქციონ ყურადღება, ან აქედან გაგვასახლონ,"** - აცხადებს ნინოწმინდის მკვიდრი დარიკო ივანიაშვილი, რომელიც, ისევე როგორც ყველა მისი თანასოფლელი, პასუხისმგებლობას "კანარგო ჯორჯიას" აკისრებს. მდგომარეობას ართულებს ის გარემოებაც, რომ ექიმები ავადმყოფებს ზუსტ დიაგნოზს არ აცნობენ. ამის მიზეზად კი იმას ასახელებენ, რომ ექიმებს ავადმყოფისთვის დიაგნოზის თქმა რეგიონის ჯანდაცვის სამსახურიდან აკრძალული აქვთ. ამას კატეგორიულად უარყოფს ჯანდაცვის სამსახურის კახეთის წარმომადგენლობა და ამბობს, რომ მოსახლეობა ნავთობისგან ნამდვილად დაავადებულია, თუმცა საგანგაშო არაფერია. **"პრობლემა აქ ის არის, რომ პოლისებში არ წერია ისეთი დაავადებები და მედიკამენტები, რომელიც შეიძლება რამდენიმეს დასჭირდეს. ამიტომ ამ საქმეში უშუალოდ მე ჩავერთვები და მოვითხოვ სტატისტიკურ მონაცემებს, რა დაავადებებია წინა პლანზე, რათა პოლისში ჩაიწეროს ის, რაც ნამდვილად სჭირდება ავადმყოფს,"** - აცხადებს ჯანდაცვის დეპარტამენტის კახეთის რეგიონული სამსახურის წარმომადგენელი გაგა ლამბაშიძე.

ადგილობრივი მოსახლეობა ნავთობმომპოვებელ კომპანიას ორი კვირის წინ თავდამტყდარ სტიქიაშიც ადანაშაულებს. იმისათვის, რომ ნავთობმომპოვებელი კომპანიის მანქანებს სავალი გზა ჰქონოდათ, სოფელში მდებარე "გოგილოს ხევი" ხელოვნურად რამდენიმე ადგილას გადაკეტეს. ძლიერი წვიმის დროს კი, მდინარის ადიდება, სწორედ ამ ხელოვნურმა დამბებმა გამოიწვია. თავსდამტყდარმა წყალდიდობამ კი სოფელში სასმელი წყლის სათავე-ნაგებობაც დააზიანა, რის გამოც, სასმელ წყალს ნავთობი შეერია და მოსახლეობის ჯანმრთელობას კიდევ უფრო მეტი საფრთხე შეუქმნა. **"ორი კვირაა ნავთშერეულ წყალს ვხმარობთ. ისედაც დაავადებულ ხალხს უარესი დაგვემართა. უმრავლესობას მხედველობა დაგვიქვეითდა, წყლულოვანი გამონაყარი და ქავილი დაგვეწყო. შემხედეთ, ხელის თითები დაავადებისგან მთლიანად შეჭმული მაქვს, სახის მალამო კი 28 ლარი ღირს და ისიც მხოლოდ რამდენიმე დღის სამყოფია. ჩემისთანა მდგომარეობაში ნინოწმინდაში კიდევ უამრავი ადამიანია. სადა გვაქვს ისედაც გაუბედურებულ ხალხს ამდენი საშუალება, ლუკმა-პურის ფულს ძლივს ვშოულობთ,"** - ამბობს ნინოწმინდელი ნათელა ივანიაშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ წყლის ვარგისიანობის შესახებ გამოკვლევები არაერთმა სამსახურმა აწარმოა, დასკვნები მაინც ერთმანეთის საწინააღმდეგოდ იწერებოდა. დაზარალებული სოფლების მოსახლეობის გაღიზიანება კი ჰიგიენის ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულმა დასკვნამ გამოიწვია. თავდაპირველად დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ წყალი სტანდარტებს შეესაბამება. ინსტიტუტის ხელმძღვანელმა ირაკლი ფაღავამ "ჩვენება" მას შემდეგ შეცვალა, როცა მისთვის ცნობილი გახდა, რომ მოსახლეობა მას ჩაქოლვით ემუქრებოდა. **"წყალში ნავთობის მასა ნამდვილად ერევა, არა სათავე ნაგებობიდან, არამედ რაღაც მონაკვეთიდან, სადაც მილებია დაზიანებული,"** - ამბობს ირაკლი ფაღავა, რომლის გულწრფელობაში დაზარალებულებს უკვე ეჭვი ეპარებათ.

დაზარალებულები ნავთობმომპოვებელი კომპანიისგან, მკურნალობის ხარჯებსა და ზარალის ანაზღაურებას ითხოვენ. აღნიშნული მოთხოვნით, გუშინ წყაროსთავის და ნინოწმინდის მოსახლეობამ და საგარეჯოს ნაწილმა, საპროტესტო აქცია უკვე მეორედ გამართა. როგორც "კანარგო ჯორჯიას" ხელმძღვანელმა ნიკო თევზაძემ განაცხადა, კომპანია ზარალს მხოლოდ იმ შემთხვევაში აანაზღაურებს, თუ მოსახლეობა შესაბამის სამედიცინო დასკვნებსა და სასამართლო გადაწყვეტილებებს წარმოადგენს. იგი იქვე იმასაც ამბობს, რომ ნავთობკომპანიამ კომპენსაციის სახით მოსახლეობას დახმარება არაერთხელ გაუწია. **"დაავადებულ მოსახლეობაზე ჩვენ 3 ათას 200 პოლისი გავეცით. დადებული გვაქვს ხელშეკრულება "ალდაგთან". თუ რომელიმე ექიმი წინააღმდეგი იქნება, რომ პოლისით არ გაგსინჯონ, მითხარით და პრობლემები არ იქნება,"** - ამბობს კომპანიის ხელმძღვანელი ნიკო თევზაძე და იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ გარდა სამედიცინო მომსახურებისა, მან, კომპენსაციის სახით, იმ ადამიანებისთვის, ვისაც სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები და მოსავალი გაუფუჭდა, 875 ათასი ლარი გამოყო. მოსახლეობა ამბობს, რომ ამ ფულს მათთან არ მიუღწევია.

აღელვებული მოსახლეობის დამშვიდებას პრეზიდენტის რწმუნებული კახეთში პეტრე ცისკარიშვილი ცდილობდა.

აქცია რამდენიმე საათს გაგრძელდა.

# რა უნდათ "ზვიადისტებს" სოროსის ფონდის წინ?

პირველი გვერდიდან

**არც ის არის ძნელი მისახვედრი, რომ ეს ადამიანები "ათმეთაურის" ხელის აწევაზე ყვირილს იწყებენ... ამ ხალხს სხვადასხვა დროში სხვადასხვა ძალები იყენებდნენ. დღეს, როცა მიუხედავად ჩვენი არაერთგზის მიმართვისა, ხელისუფლება ვერ ახერხებს წესრიგის დამყარებას, გვიჩნდება ეჭვი, რომ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას მცირერიცხოვანი, მაგრამ კარგად ორგანიზებული დაჯგუფება იარაღია ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის ხელში, რომელსაც არ მოსწონს ფონდის დამოუკიდებელი, ზოგჯერ კრიტიკული პოზიცია,"** - ეს განცხადება გუშინ, არასამთავრობო ორგანიზაცია "ღია საზოგადოება - საქართველოს" აღმასრულებელმა დირექტორმა დავით დარჩიაშვილმა საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთა თქმით, ფონდის მუშაობა სერიოზულად ფერხდება. **"ივნისის დამდეგიდან მოყოლებული, დაახლოებით, 50-კაციანი ჯგუფი, რომელსაც საქართველოს პირველი პრეზიდენტის ქვრივი, მანანა არჩვაძე-გამსახურდია ხელმძღვანელობს, იკრიბება ფონდის შენობის წინ, ფონდისავე კუთვნილ ტერიტორიაზე და გაბმულად, გამაყრუებელი ფორმით გაიძახის შეურაცხმყოფელ ფრაზებს ფონდისა და მის თანამშრომელთა მისამართით. ფონდის თანამშრომლები მოიხსენებიან მოღალატეებად, უცხო ქვეყნის აგენტებად... ეს ქმედება ხორციელდება, პრაქტიკულად, ყოველ სამუშაო დღეს, დღის პირველიდან ხუთ საათამდე,"** - ნათქვამია ფონდის მიერ პრესისთვის გავრცელებულ რელიზში.

ნორმალური სამუშაო პირობების აღდგენის მოთხოვნით, ფონდმა 20 ივნისს წერილობით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, მაგრამ, ჯერჯერობით პასუხი არ მიუღია. დავით დარჩიაშვილის განცხადებით, პატრული უარს ამბობს, მიიღოს ზომები ამ ხალხის გასაყვანად ფონდის ტერიტორიიდან. ჩვენ მხოლოდ ფიზიკური დაპირისპირების აღკვეთა გვევალება, - ასეთია პატრულის განმარტება.

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები მოითხოვენ, რომ დაჯგუფებამ დატოვოს ფონდის კუთვნილი ტერიტორია და შეინარჩუნოს შედარებითი სიმშვიდე საკუთარი მოსაზრებების გამოხატვისას. **"მათ მოთხოვნებს ახლავს გაბმული კივილი და სასტვენებით სტვენა. ეს იღებს ფსიქოლოგიური სტრესის ფორმას. ყოველი თანამშრომელი და სტუმარი, რომელსაც ფონდში შემოსვლა ან გასვლა სჭირდება, იძულებულია, გაიაროს აგრესიულად განწყობილ ადამიანთა მჭიდრო რიგებს შორის. ეს საკმაოდ შეურაცხმყოფელი და დამამცირებელია. ამგვარი ვითარება ქმნის ნაყოფიერ ნიადაგს პროვოკაციებისთვის, რაც სავსებით შესაძლებელია, ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდოს,"** - ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში ჩვენ, მასმედიის წარმომადგენლები, ხუთიოდე წუთის შემდეგ დავრწმუნდით. **"სოროსის მეძავები! შეხედე, როგორ აცვიათ, გაშიშვლებულები არიან..."** - ამგვარი სიტყვების კორიანტელი დააყარეს "პროტესტანტებმა" სოროსის ფონდის ინიციატივით გამართული პრესკონფერენციის მონაწილე ჟურნალისტებს.

დავით დარჩიაშვილის განცხადებით, თუ სამართალდამცავი ორგანოები ფონდის ტერიტორიაზე წესრიგს და სიმშვიდეს ვერ უზრუნველყოფენ, მაშინ სოროსის ფონდის წარმომადგენლები იძულებულნი გახდებიან, საქმის კურსში ჩააყენონ არასამთავრობო ორგანიზაციები საერთაშორისო დონეზე და საჯაროდ გაავლონ პარალელები ამჟამინდელ და შევარდნაძის დროინდელ ხელისუფლებებს შორის, რომელთა მთავარი საერთო მახასიათებელი განსხვავებული აზრის მიუღებლობა იქნება.

### მოკლედ

## ასლან აბაშიძე - კოკოითისთვის ჰუმანიტარული დახმარების დამფინანსებელი

სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკისთვის მოსკოვის მერიის ჰუმანიტარული ტვირთის გადაცემა აჭარის ექსმეთაურმა ასლან აბაშიძემ დააფინანსა.

ამის შესახებ, "ინტერპრესნიუსს" რუსეთში მოღვაწე ქართველმა ბიზნესმენმა მოკოვის მერიის მაღალჩინოსნისგან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აცნობა.

იმავე წყაროს მტკიცებით, სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკისთვის ჰუმანიტარული დახმარების გაგზავნის ორგანიზებაში აჭარის ექსმეთაურის ასლან აბაშიძის წვლილი საკმაოდ დიდია. აბაშიძემ თვითგამოცხადებული რესპუბლიკის დახმარების ფონდში 1,5 მილიონი აშშ დოლარი გადარიცხა, დანარჩენი თანხა - დაახლოებით, 500 ათასი აშშ დოლარი კი, მოსკოვის მერიის ბიუჯეტმა გაიღო.

ჰუმანიტარული დახმარებით დატვირთული 44 ვაგონი რუსეთის დედაქალაქიდან მოსკოვის მერმა იური ლუჟკოვმა და სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა შაბათს გააცილეს.

სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკისთვის ჰუმანიტარული ტვირთის თბილისთან შეუთანხმებლად გადაცემის გამო, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის საგარეო უწყებას საპროტესტო ნოტა გაუგზავნა. **ინტერპრესნიუსი**

## სტალინის აგარაკი გაიყიდა

აფხაზეთში, შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე, სტალინის საკურორტო აგარაკი 10 მილიონ ამერიკულ დოლარად გაიყიდა.

სტალინის საყვარელი აგარაკის გაყიდვას აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება რამდენიმე წლის წინ გაცილებით იაფად აპირებდა. ამჯერად კი ახალმა ხელისუფლებამ დასასვენებელ სახლზე ფასი გაზარდა და მყიდველიც იშოვა. აგარაკის ახალი მფლობელის ვინაობას აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მთავრობა არ ასახელებს. როგორც აფხაზური საინფორმაციო საშუალებები ვარაუდობენ, სტალინის აგარაკის მომავალი ბინადარი შეიძლება ბიზნესმენი ოლეგ დერიპასკა იყოს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ეროვნულმა ბანკმა რეპოაუქციონზე ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები გაიტანა

28 ივნისს ეროვნულმა ბანკმა N14 რეპოაუქციონზე გასაყიდად გამოიტანა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები. აუქციონში მონაწილეობა მიიღო ერთი კომერციული ბანკის მიერ წარდგენილმა 50 000 ლარის ოდენობის განაცხადმა 500 ცალი სახაზინო ვალდებულებების ყიდვის შესახებ. აუქციონზე გაიყიდა 50 000 ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები, რომლის საანგარიშსწორებო ფასმა 47401.49 ლარი შეადგინა. დაფიქსირდა წლიური 3-პროცენტიანი განაკვეთი. **მედია-ნიუსი**

### ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტმა სექტემბერში შუალედური მაჟორიტარული არჩევნების ჩატარება გადაიფიქრა. "საქართველოს საარჩევნო კოდექსში ცვლილებების" პროექტი, რომელიც პარლამენტში პრეზიდენტის ინიციატივით იყო წარდგენილი, დეპუტატებთან კონსულტაციების შემდეგ, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა უკან გაიტანა. საქართველოში მოქმედი საარჩევნო კოდექსის მიხედვით, არჩევნების ჩატარების ვადა ოქტომბერ-ნოემბრითაა განსაზღვრული. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეები" 29 ივნისს გაფართოებული პოლიტსაბჭოს სხდომას გამართავს. პოლიტსაბჭოს სხდომაზე "მემარჯვენე ოპოზიცია" შუალედურ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის საკითხს განიხილავს. პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილების შემდეგ, "მემარჯვენეები" საქართველოს ხუთ საარჩევნო ოლქში შუალედური მაჟორიტარული არჩევნებისათვის კანდიდატებს დაასახელებენ. პოლიტსაბჭოზე პარტიული და ორგანიზაციული საკითხები იქნება განხილული. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "რესპუბლიკური პარტიის" თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი კატეგორიულად უარყოფს ზოგიერთი პოლიტიკოსის მოსაზრებას, რომ "რესპუბლიკური პარტიის" მთავარი დამფინანსებელი ცნობილი ფინანსისტი ჯორჯ სოროსი იქნება. "ეს არის აბსოლუტური სისულელე და ვინც ამას ამბობს, მას არც პოლიტიკის და არც პარტიული მუშაობის არაფერი გაეგება. გარწმუნებთ, ჯორჯ სოროსს არავითარი შეხება არა აქვს "რესპუბლიკურ პარტიასთან." მე პირადად უკვე ათი წელია ვიცნობ სოროსს და მასთან თბილი და მეგობრული ურთიერთობები მაქვს. მაგრამ, ყველა ბიზნესმენს არ უნდა ვუყუროთ, როგორც ფულის ტომარას, რომელიც ვიღაცას დააფინანსებს ან რაღაც პოლიტიკურ ინტერესებს განახორციელებს," - განაცხადა დავით უსუფაშვილმა. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# "მაინტერესებს და მორჩა"

აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები და "ჩვენი ეზოს" გმირები ინფორმაციის თავისუფლების შესახებ

შორენა გოგიჩაიშვილი
ჭაბა ანანიძე
ბათუმიდან

ყველაფერი ასე დაიწყო...

უმაღლესი საბჭოს დეპუტატი დავით ბაციკაძე მთავრობის შენობაში არ შეუშვეს. **"მომმართეს ამომრჩევლებმა უნივერმაღის გაყიდვასთან დაკავშირებით და ლევან ვარშალომიძესთან შეხვედრა მთხოვეს. როგორც გაირკვა, მათი საპროტესტო წერილები კანცელარიიდან მთავრობაში მისვლამდე იკარგებოდა. ვარშალომიძესთან შესასვლელად მისული, დაცვამ არ გამატარა. მიუხედავად იმისა, რომ დეპუტატი ვარ, თურმე მათი ახალი წესებით, მთავრობაში შესვლა წინასწარი შეთანხმების გარეშე არ შეიძლება. აჭარის საკანონმდებლო ორგანოს წესდების თანახმად კი, დეპუტატებისათვის ამგვარი შეზღუდვები არ არსებობს,"** - განაცხადა დავით ბაციკაძემ და ისიც აღნიშნა, რომ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს სესიაზე არაერთხელ განუცხადებიათ მსგავსი ვითარების შესახებ.

გახმაურებულმა ფაქტმა მთავრობის წარმომადგენლები არა, მაგრამ უმაღლესი საბჭოს წევრები დააფიქრა და ალბათ სწორედ ამიტომ "იურიდიულ, საკონსტიტუციო და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა" საჯარო ინფორმაციის თავისუფლებისა და სახელმწიფო დაწესებულებებში შეღწევის საკითხებს სპეციალური სხდომა მიუძღვნა. სხდომათა დარბაზს მოსალოდნელი სტუმრების (მინისტრებისა და მათი მოადგილეების) ნაცვლად აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ჟურნალისტები ავსებდნენ, რის მიზეზადაც კომიტეტის თავმჯდომარემ პეტრე ზამბახიძემ დროთა თანხვედრა დაასახელა - ალბათ მთავრობის სხდომა ჯერ კიდევ არ დასრულებულა და მინისტრები ამიტომ ვერ მოვიდნენო. თუმცა, მთავარი მიზეზი ჩინოვნიკების მისამართით არსებულ კითხვებზე პასუხისაგან თავის არიდება იყო. სხდომა იმ თეორიული საკითხების ახსნით დაიწყო, რომელთაც სამთავრობო დაწესებულებების წარმომადგენლები კარგა ხნის წინ უნდა გაცნობოდნენ. თუმცა, კანონის არცოდნით მარტო ისინი არ გამოირჩევიან, კოდექსი არ იცის არც ხალხმა და ჟურნალისტებმა, მიუხედავად იმ სარეკლამო რგოლებისა (რომლებიც ასე ხშირად გადის სატელევიზიო ეთერით) და იმ ვალდებულებებისა, რომლებიც ყველას ავალდებულებს საკანონმდებლო ბაზის ღრმად გაცნობას. "არ იცი კანონი, არა ხარ დაცული" - ამ შინაარსით წარმართული სხდომა იმ ფაზაშიც გადავიდა, როცა აღმოჩნდა, რომ ხშირ შემთხვევებში "იცი კანონი, მაგრამ მაინც არა ხარ დაცული", რადგან ბარიერს თვით სახელისუფლებო სტრუქტურებში გიქმნიან. საშვთა ბიურო, საჯარო რეესტრი, მოსახლეობის მიღების განრიგი, დახურული და ღია ინფორმაცია, დაწესებულებებში შესვლა და კომპეტენტური პირის მუდამჟამს სამუშაო საათებშიც ადგილზე არყოფნა, ლაბირინთი, რომლის გავლაც ძალიან რთულია, რადგან სასურველი პირის გარდა ამ ლაბირინთში ყველა გხვდება - ეს ის პრობლემებია, რომელთა განხილვაც ისევ "თავისუფლების ინსტიტუტმა" იკისრა. თეა თუთბერიძე ჩვეული რიტმითა და ენერგიულობით ცდილობდა, აეხსნა დამსწრეთათვის, რომ ის საქმის კურსშია იმ დარღვევებთან დაკავშირებით, რაც აჭარაში ხდება. თუთბერიძე ჩინოვნიკების დარწმუნებას იმაშიც ეცადა, რომ მათი "სავარძლები ბაბუებისა და ბებიების დანატოვარი" სულაც არ არის და რომ მოსახლეობის თანხებით მომუშავენი ვალდებულები არიან, ინფორმაცია დროულად გასცენ. არასასიამოვნო ფაქტების სტუმრების მხრიდან გაჟღერებას მასპინძლები თავიდან გაღიზიანებით შეხვდნენ, მაგრამ იმ რჩევების შემდეგ, რაც მათ "თავისუფლების ინსტიტუტმა" "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" ერთად შესთავაზა, დეპუტატები არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობაზეც ალაპარაკდნენ, სიამოვნებით გაეცნენ საჯარო რეესტრის იმ ინსტრუქციასაც, რომელიც მათ თეა თუთბერიძემ გადასცა.

**"ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლებმა უნდა გაიგონ, რომ არსებობს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომელიც ყველა ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, რომ თითოეულ საჯარო ორგანიზაციაში არსებობდეს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი, არსებობდეს საჯარო რეესტრი, რომელშიც უნდა ხდებოდეს ყველა ინფორმაციის თავმოყრა: საჯარო ინფორმაციაზე მითითება, რომ ის არის საჯარო და დახურულ ინფორმაციაზე მინიშნება, რომ ის არის გრიფით საიდუმლო. როცა ადამიანი ინფორმაციის მიღებისთვის შეიტანს განცხადებას, პასუხის გაცემას ერთი თვე არ უნდა სჭირდებოდეს, ანუ ვადებში უნდა ეტეოდნენ. ის კი, რაც ახლა ხდება, უცოდინრობის ბრალია. ბევრს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არათუ წაუკითხავს, ნანახიც არა აქვს,"** - განაცხადა თეა თუთბერიძემ.

სხდომა პოზიტიური განწყობით დაასრულა ინიციატორმა პეტრე ზამბახიძემ და აღნიშნა, რომ მსგავსი შეხვედრები მომავალშიც გაგრძელდება. "თავისუფლების ინსტიტუტმა" დამსწრეთ ტრენინგების ჩატარება აღუთქვა და არააკრედიტირებული ჟურნალისტების სიაც მიაწოდა უმაღლესი საბჭოს წევრებს, რათა მათ სამომავლოდ სახელმწიფო სტრუქტურებში შესვლაზე პრობლემები არ შეექმნათ.

მთავრობის წევრების გასაგონად ჩატარებულ სხდომის დებატებს, მათი მისამართით პირდაპირ თუ ირიბ ნათქვამ ფრაზებს, უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზის კედლებზე საგანგებოდ გამოკრული "ჩვენი ეზოს" გმირების სიტყვებიც ამყარებდა. შეიგნებენ თუ არა ჩინოვნიკები ინფორმაციის თავისუფლების დაცვის პრინციპებს, არავინ იცის, მაგრამ მათ უნდა გაიგონ, რომ "თოჯინებიც იცინიან" ისეთ ხელმძღვანელებზე, რომელთაც არ ესმით მოქალაქის ნათქვამი: **"არ დამიწყო ახლა რატომ და რისთვის, მაინტერესებს და მორჩა"**.

ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან





საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

ახალი დაბალი ტარიფები

თქვენ სარგებლობთ საერთაშორისო საუბრებით და:

- გსურთ არ გქონდეთ დავალიანება ტელეფონზე;
- გათიშული გაქვთ 8-იანი;
- ან უბრალოდ გინდათ მნიშვნელოვნად დაზოგოთ ფული...

„საქართველოს ტელეკომი" გთავაზობთ ტელეკომბარათით მომსახურებას:

ყველაზე დაბალი ტარიფი საერთაშორისო საუბრებზე (24სთ-ის განმავლობაში):

აშშ
რუსეთი
ევროპა (ფიქსირებულ ტელეფონზე)

დროის წამობრივი აღრიცხვა

მხოლოდ 30თ.

8-10

ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები

ბარათები შეიძინეთ „საქართველოს ტელეკომის" საკომუნიკაციო ცენტრებსა და ანგარიშსწორების პუნქტებში

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

# უნივერსიტეტში ხმაური გრძელდება



ნინო ბერელიძე

*გუშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში განათლების რეფორმის წინააღმდეგ "საუნივერსიტეტო დარბაზის" წევრთა ნაწილმა საპროტესტო აქცია მოაწყო. მათ კვლავ რექტორის გადადგომა და მეცნიერ-თანამშრომლების უნივერსიტეტში დაბრუნება მოითხოვეს. აქციას, ყველა სასწავლებლის რექტორებისა და განათლების მინისტრის გადადგომის მოთხოვნით, უცხო ენათა უნივერსიტეტის წარმომადგენლებიც შეუერთდნენ. აქციის მონაწილეებმა შექმნეს დაუმორჩილებლობის კომიტეტი, რომელიც ბოლომდე აპირებს შეურიგებელ ბრძოლას განათლების რეფორმის წინააღმდეგ.*



*უნივერსიტეტში საპროტესტო აქციები გრძელდება.*

უნივერსიტეტთან გამართული საპროტესტო აქცია, რომელიც ხალხმრავლობით არ გამოირჩეოდა, "საუნივერსიტეტო დარბაზის" წინა დღის ხმაურიანი შეკრების გაგრძელება გახდა. უნივერსიტეტის თანამშრომლები გუშინაც ცდილობდნენ, მოეძებნათ საკუთარი თავი სასწავლებლის ფოიეში გამოკრულ სიაში, სადაც მხოლოდ იმ მეცნიერთა გვარებია, რომლებმაც უკვე მოიპოვეს სამეცნიერო გრანტი. დანარჩენი 800 ადამიანი კი ხელფასის გარეშე რჩებოდა.

როგორც განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეემ ბელა წიფურიამ განმარტა, **"ამის მიზეზი მიმდინარე რეფორმისა და სამეცნიერო გრანტების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა და საზოგადოებისათვის არასრულფასოვანი მიწოდება გახდა, რაშიც, გარკვეულწილად, უნივერსიტეტის სარეფორმო ჯგუფიც სცოდავს. რა თქმა უნდა, სამწუხარო და მიუღებელია, რომ ადამიანები ხელფასის რიგში იგებენ სამსახურის დატოვების შესახებ. მაგრამ მიმდინარე რეფორმიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაწილს საგრანტო თემები უნდა წარმოედგინა სამინისტროში. ვინც კი ამ გრანტის მოპოვებას ვერ შეძლებდა, მას შეუნარჩუნდებოდა ანაზღაურება და საშუალება მიეცემოდა, ეს გრანტი ნოემბრის თვეში მოეპოვებინა. დასამალი არ არის ის ფაქტიც, რომ მათ ყველაზე უკეთ იციან, თუ რატომ ვერ მოიპოვეს სამეცნიერო თემებზე დაფინანსება. განათლების რეფორმა ცალსახად ითვალისწინებს უნივერსიტეტის ავტონომიურობასა და სამეცნიერო-სასწავლო დონის ამაღლებას, ამ პროცესს კი ხელი უნდა შეუწყოს ეფექტურად მომუშავე სამეცნიერო სექტორმა. რაც შეეხება სამეცნიერო საბჭოს, ის კანონის თანახმად, ახალ არჩევნებამდე არალეგიტიმურად გამოცხადდა, მომავალში კი ეს საბჭო ფაკულტეტებზე აირჩევა. ამ პროცესის დასრულებამდე, უნივერსიტეტს, პრეზიდენტის ბრძანებულებით, დროებით განაგებს რექტორის მოვალეობის შემსრულებელი."**

სარეფორმო ჯგუფის წევრი, უნივერსიტეტის პრორექტორი ლევან გორდეზიანი, რომელსაც პრეტენზიებს ორივე მხარე უყენებდა, აცხადებს, რომ **"სამეცნიერო გრანტის მიღების კანონში არაფერი წერია გრანტს მიღმა დარჩენილი თანამშრომლების სახელფასო ანაზღაურების შენარჩუნებაზე. და საერთოდ, აქამდე ეჭვის ქვეშ იდგა საბაზისო დაფინანსების საქმეც, რადგან უნივერსიტეტში სუფთა სამეცნიერო სექტორის ათასკაციანი ჯგუფი გვყავს. გრანტზე წარდგენის მოთხოვნა ნაჩქარევად განხორციელდა და ბევრმა ერთ დღეში მოამზადა ნაშრომები, ბევრმა ამის შესახებ დღემდე არც კი იცოდა. მე მიმაჩნია, რომ აუცილებელია განათლების სამინისტრომ დაუყოვნებლივ გამოყოს თანხები ხელფასების გასაცემად. რაც შეეხება რეფორმის მიმდინარეობის პროცესს, ის საჯაროდ მიმდინარეობს და ყველას შეუძლია, ამომწურავი ინფორმაცია მიიღოს. ამისათვის ჩემი კაბინეტის კარი მუდმივად ყველასათვის ღიაა, მაგრამ არსებობენ რაღაც ჯგუფები უნივერსიტეტში, რომლებიც გამიზნულად ახდენენ ამის იგნორირებას."**

უნივერსიტეტის წინ შეკრებილმა დაუმორჩილებლობის კომიტეტის წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გამართულ პრეზენტაციას დასწრებოდნენ. აქციის მონაწილეებმა ვარაზისხევის აღმართის გადაკეტვაც სცადეს, თუმცა, ქუჩა მალევე გაიხსნა.

# განათლების სამინისტროს ვერ ან არ მოუსმინეს

*გუშინ, იმ დროს, როცა უნივერსიტეტისა და უცხო ენათა ინსტიტუტის გაერთიანებული აქციის მონაწილეებს ვარაზისხევი გადაკეტილი ჰქონდათ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ხელშეწყობის პროგრამის მიმდინარეობისა და შედეგების პრეზენტაცია მიმდინარეობდა.*

დალი კუპრავა

განათლების სამინისტროს განახლებული შენობის დიდ დარბაზში ძალიან ცუდი აკუსტიკაა. თუ დღემდე არ მოგვარდა ეს საკითხი, ხვალიდან მაინც სამინისტროს შესაბამისმა სამსახურებმა უნდა იფიქრონ, როგორ მოაწესრიგონ სმენადობა, რომ დამსწრეებმა ჯერ გაგონება შეძლონ და შემდეგ გაგება.

გუშინდელი პრეზენტაცია, ერთმანეთში საუბრის დროს, ბევრმა დაგვიანებულად ან ექსტრემალური პირობებით გამოწვეულად (იგულისხმებოდა აქცია თსუ-ს კიბეებზე!) მონათლა. ჩაშლილი პრეზენტაციის ბოლოს კი ბრალი დასდეს ორგანიზატორებს - დაგვცინესო. საქმე კი ის გახლდათ, რომ ბუნებრივად ცუდმა აკუსტიკამ და დამსწრეთა მღელვარე, ემოციურმა ხმაურმა გამომსვლელების მოსმენა გაართულა: "არ ისმის" - ყვიროდნენ აქეთ-იქიდან.

ალექსანდრე ლომაიას გამოსვლა შედარებით ისმინებოდა. სამინისტროს ამოცანაა, თვალყური მიადევნოს რეფორმის განხორციელებისას რამდენადაა დაცული კანონი და ნორმატიული ბაზა.

**"ის ადამიანები, რომლებიც იმას ამტკიცებენ, რომ შვიდასკაციანი სიის მიღმა დარჩენილი ადამიანები სამსახურიდან გათავისუფლებულები არიან, იტყუებიან,"** - განაცხადა ალექსანდრე ლომაიამ. ისინი, ვინც დარჩა სახელმწიფო დაფინანსების გარეშე და მოღვაწეობს სამეცნიერო კვლევით სფეროში, ანუ უნივერსიტეტის 800 თანამშრომელი, ყოველთვიური ანაზღაურების სახით მიიღებს სტიპენდიას 60 - 90 ლარის ოდენობით. მათ ეს სტიპენდია შეუნარჩუნდებათ ოქტომბერ - ნოემბრის კონკურსის დასრულებამდე. იმ მეცნიერებს, რომლებიც მომდევნო კონკურსშიც ვერ წარადგენენ ძლიერ პროექტს, სტიპენდია მაინც შეუნარჩუნდებათ.

შვიდასი მეცნიერის გამოსავლენი "ავბედითი" კონკურსი 2004 წლის 22 ნოემბრიდან 7 დეკემბრამდე ჩატარდა. კონკურსის მიზანი იყო, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ასიგნების საშუალებით, მნიშვნელოვანი სამეცნიერო შედეგების მქონე აქტიურად მომუშავე მეცნიერთა და სამეცნიერო ჯგუფების მატერიალური სტიმულირება, მათი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ხელშეწყობა.

გამოქვეყნებულ სიას არანაირი დამოკიდებულება არა აქვს ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებასთან.

შედეგი კი ასეთია: თუ შარშან მეცნიერების დაფინანსება უნივერსიტეტში იყო მილიონი ლარი, წელს - მილიონ ორასი ათასია. რაც შეეხება იმას, რომ ბევრმა მეცნიერ-თანამშრომელმა ვერ გაიგო კონკურსის შესახებ, ამას ლევან ცინცაძე, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ცუდ ინფორმირებულობას აბრალებს, მაგრამ სამინისტროში შეკრებილმა საზოგადოებამაც ვერ შეძლო მისი მოსმენა, ან არ მოინდომა.

# ალალი პური



*მადლიანი წამოწყება კათალიკოს-პატრიარქმა აკურთხა.*

ნონა მაისურაძე

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის დაფინანსებით განხორციელდა "ეკლესიის ფუნქციონირებისათვის აუცილებელ პროფესიებში უმუშევართა მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა."

სასულიერო აკადემიისა და სამცხე-ჯავახეთის ეპარქიის ბაზაზე მომზადდა 125 რეგისტრირებული უმუშევარი. ხატწერა, ტიხრული მინანქარი, საეკლესიო გალობა, საეკლესიო სამოსელის დამზადება, ქვაზე კვეთა, ხის მხატვრული დამუშავება, ნაქარგობა, ღებვა - ის პროფესიებია, რომლებშიც ისინი გადამზადდნენ. პროგრამა ოთხ თვეში მარათონული ტემპით განხორციელდა და მასში მონაწილენი სინანულს გამოხატავენ იმის გამო, რომ პროგრამა ძალიან მალე დამთავრდა და მათ უფრო მეტის გაკეთების საშუალება არ მიეცათ. აღნიშნული პროგრამისთვის საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა 43 000 ლარი გამოყო. პროგრამა წარმატებით განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ შედეგების შეფასების საშუალება საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია მეორეს მიეცა. იგი გამოფენას ესტუმრა და პროგრამის მონაწილენი დალოცა.

პროგრამის კოორდინატორი საპატრიარქოს მხრიდან, რეზო საყვარელიძე: **"ყველაფერი საუკეთესოდ განხორციელდა. შეგირდიც და მასწავლებელიც კმაყოფილი დარჩა. მხოლოდ დროის მოკლე ვადებს ვუჩივით. ასეთი ტიპის პროგრამისთვის, სულ მცირე, ათი თვე მაინც უნდა ყოფილიყო განსაზღვრული, თუმცა ჩვენ დიდი მონდომებითა და პასუხისმგებლობით შევასრულეთ სამუშაო და შედეგებითაც კმაყოფილები ვართ."**

ეთერ უროტაძე, სასულიერო აკადემიის ხელით ქარგვის სახელოსნოს ხელმძღვანელი: **"ასეთი პროექტების განხორციელებისთვის, ვფიქრობ, სახელმწიფო არაფერს უნდა იშურებდეს. ვერ წარმოიდგენთ, რამდენი ადამიანის ცხოვრებაში შევიტანეთ ინტერესი და ხალისი. ბევრი მათგანი ამიერიდან ამ საქმიანობით დაკავდება და თავის ნახელავს სალონებში გაიტანს და შემოსავლის წყაროს გაიჩენს. ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ ეს ადამიანები ღვთის სამსახურში იყვნენ, ხელოვნებას ემსახურებოდნენ, მადლიან საქმეს აკეთებდნენ. პატრიარქიც კმაყოფილი ჩანდა, იმედია, ჩვენი მოსწავლეების ნახელავები მოეწონა. მადლიერებას გამოვხატავთ ამ პროგრამის ავტორებისა და საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი ფონდის მიმართ, ვინც ასეთი კეთილი წამოწყება დააფინანსა."**


# ყურადღება!

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული განვითარების და რეფორმების ფონდი ანახლებს წარმატებულ პროექტს: -"სასწავლო და სამეცნიერო გრანტების პროგრამა ახალგაზრდა იურისტებისთვის".

ამა წლის 15 ივნისს საქართველოს პრეზიდენტმა მიულოცა საკონკურსო წესით შერჩეულ 14 წარმატებულ კანდიდატს ევროპის და აშშ-ის საუკეთესო უნივერსიტეტებში სამაგისტრო პროგრამებზე სასწავლებლად სრული დაფინანსების მოპოვება.

პრეზიდენტის ინიციატივით, ვაცხადებთ კონკურსის მეორე რაუნდს იურიდიული და საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტების კურსდამთავრებულთათვის. (კონკურსის მეორე რაუნდში ვერ მიიღებენ მონაწილეობას პირველ რაუნდში მონაწილე კანდიდატები).

განვითარებისა და რეფორმების ფონდი დააფინანსებს ახალგაზრდა იურისტებს, რომლებიც 2005-2006 აკადემიური წლის განმავლობაში გააგრძელებენ სწავლას ან სამეცნიერო მუშაობას ევროპის ან აშშ-ის უნივერსიტეტებში. დაფინანსება მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო სტიპენდიას და/ან სწავლასთან და სამეცნიერო მუშაობასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს (მათ შორის - მგზავრობის და საცხოვრებელ ხარჯებს). შერჩევა განხორციელდება კონკურსის საფუძველზე.

ზემოაღნიშნული ინფორმაცია (ასევე განაცხადის ფორმა) განთავსებულია შემდეგ ვებ-გვერდებზე:
www.drf.org.ge
საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2005 წლის 20 ივლისი,.

შემდგომი ინფორმაციისათვის და განაცხადის ფორმებისათვის მიმართეთ შემდეგ მისამართზე:

**განვითარებისა და რეფორმების ფონდი**
**ჭანტურიას ქ. N12, თბილისი 0108 საქართველო**
**ტელ.: 996723/995923/997582(ფაქსი)**
**ელ-ფოსტა: isulava@drf.org.ge**
**ირინა სულავა**
**სასწავლო პროგრამის კოორდინატორი**



სსიფ GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი აცხადებს ტენდერს შემდეგ ვაკანსიაზე

**თანამდებობა: აღმასრულებელი დირექტორის ასისტენტი/თარჯიმანი (ერთი საშტატო ერთეული)**

აუცილებელი კვალიფიკაცია:
უმაღლესი განათლება;
- ინგლისური ენის თავისუფალი ცოდნა (წერა, კითხვა, ბეჭდვა), დამატებით სასურველია რუსული ენის ცოდნა;
თარგმნის სათანადო გამოცდილება;
- ტექსტის კომპიუტერზე აკრების და მონაცემთა ელექტრონული დამუშავების გამოვლენილი უნარი;
კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
- მინიმუმ 2 წლის მუშაობის გამოცდილება.

2005 წლის 8 ივლისამდე დაინტერესებული პირები უნდა გამოცხადნენ განაცხადის ფორმის და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შემდეგ მისამართზე:

საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 39ა
საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
გიორგი ბაჯელიძე, " ა " ზონის მენეჯერი
ტელ: (995 32) 23 07 79, 25 04 42, 25 04 43.
ფაქსი: (995 32) 23 01 03
ელ. Fფოსტა: gbajelidze@gsif.ge gsif@gsif.ge


# "სუფთა ქალაქი - უპირველეს ყოვლისა"

დალი კუპრავა

ამ დევიზით გუშინ რუსთაველის ძეგლთან თბილისის დასუფთავების სამსახურის ასოციაციამ აქცია გამართა.

სამი წლის წინ, თბილისის 123-ე სკოლის მოსწავლეებმა გაზეთ "24 საათში", რუბრიკით - "წერილები მთავრობას" ქალაქში სისუფთავის დაცვის პრობლემა წარმოაჩინეს. იქვე მოსწავლეები რჩევას იძლეოდნენ: ხომ შეიძლება, რომ ყველა საწარმომ, რომლის პროდუქციასაც შესაფუთი ნარჩენები მოჰყვება და ქალაქს ანაგვიანებს, თავადვე მიხედოს ამ პრობლემას და სანაგვე ურნები დადგასო.

ამ "მოწოდებას" სწრაფად გამოეპასუხა "გურჯაანის ნაყინი". ორგანიზაციის ხელმძღვანელის გურამ ბერიკაშვილის ინიციატივით, გაზეთის რედაქციაში მოწვეულ იქნა პრესკონფერენცია, რომელსაც ქალაქის დასუფთავების სამსახურის, ეკოლოგიური ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მაშინ წარმოიშვა აზრიც, რომ მეწარმეები ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად გაერთიანებულიყვნენ.

სხვისა რა მოგახსენოთ, მაგრამ "გურჯაანის ნაყინის" ხელმძღვანელობამ ამ საქმეს რამდენიმე აქცია მიუძღვნა. შარშან, აკადემიის სტუდენტების ხელით მოხატული დიდი სანაგვე ბუნკერები ქალაქის სხვადასხვა რაიონშიც განათავსა. გუშინ კი, ახალი ცოცხები, დიდი და პატარა აქანდაზები დაურიგა დედაქალაქის წარჩინებულ მეეზოვეებს, ნაყინითაც გაუმასპინძლდა. აქ ერთი სცენაც გათამაშდა - მთაწმინდის რაიონის დასუფთავების უფროსის მოადგილემ შენიშვნა მისცა ერთ მეეზოვე ქალბატონს, რადგან სიგელის მოლოდინში მყოფმა ქალბატონმა ნაყინის ქაღალდი, ურნის ნაცვლად, იქვე გაზონში ჩააგდო.



*აქციამ "სუფთა ქალაქი" მხიარულად და ხალისიანად ჩაიარა.*

დასუფთავების სამსახურების ასოციაციამ კი მხიარული და საქმიანი დილა მოუწყო ოც მეეზოვეს - ნაგვის ბუნკერიდან ამომძვრალმა "პა-სეანსელმა" ცუცამ მათ სიგელები გადასცა. მათთან ერთად, სიგელი "გურჯაანის ნაყინის" ხელმძღვანელმა გურამ ბერიკაშვილმაც მიიღო.

მეეზოვეებს სოციალურ სიდუხჭირეზე, სამთავრობო პრობლემებზე არ უსაუბრიათ: მადლობა გადაუხადეს როგორც ასოციაციას, ასევე საკუთარი რაიონების დასუფთავების ხელმძღვანელებს. ერთი ეგ იყო, რომ ქალბატონ ზოზეს სიგელი არ მიუღია, რაიონის ხელმძღვანელობას გამორჩა, ჯილდოზე წარედგინა ორმოცდაათწლიანი სტაჟის მქონე მეეზოვე ქალბატონი და მანაც, სიგელის სანაცვლოდ, ახალი ცოცხისა და აქანდაზის მიღებაზე უარი განაცხადა.

დასუფთავების ორგანიზაციის ასოციაცია ახალი შექმნილია. მასში გაერთიანებულ ორგანიზაციებს ამ სფეროში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ, ხოლო საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომის მაგალითი თბილისელებს გუშინ დილით უჩვენა.

# "03"-ს ოცდაათი ახალი მანქანა შეემატა

თამარ მაისურაძე

საქართველოს მთავრობის მიერ ჩამოთვლილ რამდენიმე პრიორიტეტს შორის, ერთ-ერთი, პირველადი უფასო სამედიცინო დახმარების ამოქმედება გახლდათ. მას შემდეგ, რაც მთელი საქართველოს მოსახლეობას სასწრაფო სამედიცინო დახმარება "03"-ით უფასო სარგებლობის საშუალება მიეცა, საქართველოს რამდენიმე რაიონში - მესტიაში, ხარაგაულში, დმანისსა და წალკაში სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური პირველად 26 მაისს ამოქმედდა.

გუშინ კი, სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურებს დამატებით 30 "ჰიუნდაისა" და "სობოლის" ფირმის სასწრაფო დახმარების მანქანები გადასცა. ცნობისთვის, ახალი მანქანები საქართველოს 21 ქალაქსა და რაიონში გადანაწილდა. 27 მათგანი ბაღდათის, ხონის, ქუთაისის, ჭიათურის, ზუგდიდის, სენაკის და სხვა რაიონების სამედიცინო დახმარების სამსახურებს გადაეცა, ხოლო სამი მანქანა თბილისის "03"-მა მიიღო. ახალი მანქანები რაიონული სასწრაფო სამედიცინო სამსახურის ხელმძღვანელებს ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილემ ვახტანგ სურგულაძემ, ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად, ფარმაცევტული ფირმის "მედფარმას" ბაზიდან გადაუნაწილა. ხელმძღვანელებთან საუბრისას გაირკვა, რომ რაიონებში სასწრაფო დახმარების ბრიგადები, ძირითადად, გზების პრობლემას უჩივიან, ამ საკითხის მოგვარება კი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პრეროგატივაა.



*სასწრაფო დახმარების ახალი მანქანები.*

უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარება "03" საქართველოს მასშტაბით 26 მაისს ამოქმედდა. ამ მიზნით, საქართველოს მაღალმთიან და ძნელადმისადგომ რაიონებს, ჯერ კიდევ მაისის თვეში "უაზის" ტიპის 120 ავტომანქანა გადაეცა.

გუშინ, სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის წარმომადგენლებმა მანქანების გადაცემის "ცერემონიალის" გარდა, სამედიცინო დახმარების ხელმძღვანელობასთან შეხვედრისას უფასო სასწრაფო დახმარების მუშაობის შედეგებზეც ისაუბრეს. როგორც გაირკვა, ამ ერთთვიანი პრაქტიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია სხვადასხვა საკითხებზე გარკვეული დასკვნების გაკეთება. მაგალითად, რა რაოდენობის ბენზინს ხარჯავს თითო სასწრაფო მანქანა ერთი თვის განმავლობაში და ა.შ.

მთელი საქართველოს მასშტაბით სასწრაფო სამედიცინო დახმარების 250 ბრიგადა მუშაობს. თბილისში 24 საათის განმავლობაში 50 ბრიგადაა მობილიზებული. დედაქალაქში დაფიქსირებული გამოძახებების რაოდენობა, საქართველოს მასშტაბით აღრიცხული გამოძახებების რიცხვს უტოლდება.


# პაციენტთა საყურადღებოდ

ამ პრეპარატთა შორის, რომელთა ფალსიფიცირებული ვერსიები გამოვლენილ იქნა საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე, სახელდება კომპანია "სერვიეს" ორიგინალური პრეპარატი პრედუქტალი.

ფრანგული ფარმაცევტული კომპანია "სერვიეს" საქართველოს წარმომადგენლობა თავს ვალდებულად თვლის გამოეხმაუროს მასობრივი ინფორმაციის საშუალებით (მათ შორის გაზეთ "24 საათის" ფურცლებზე - 25 ივნისი, №142) უკანასკნელ დღეებში გავრცელებულ ინფორმაციას ფალსიფიცირებულ პრეპარატთა შესახებ.

აღნიშნული ინფორმაციის გავრცელების შემდეგ კომპანიის ოფისში არ წყდება როგორც ექიმთა, ისე პაციენტთა სატელეფონო ზარები, რომლებიც გვთხოვენ სიცხადის შეტანას არსებულ სიტუაციაში. და ეს სრულიად გასაგებია, რამეთუ პრედუქტალი (ისევე როგორც მისი გაუმჯობესებული ვარიანტი - პრედუქტაბი MR) წარმოადგენს დღესდღეობით ერთადერთ მეტაბოლურ პრეპარატს გულის იშემიური დაავადების (სტენოკარდიის) სამკურნალოდ, რომელიც ოფიციალურადაა რეკომენდებული ევროპისა და აშშ-ის კარდიოლოგთა საზოგადოებების მიერ და, შესაბამისად, მას სრულფასოვანი ალტერნატივა არ გააჩნია.

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით, "სერვიეს" საქართველოს წარმომადგენლობა გაცნობებთ, რომ საქართველოს უმსხვილესი სააფთიაქო ქსელები, როგორებიცაა PSP, ავერსი, GPC, სამგორი-ფარმა და კრისტალი, ღებულობენ პრეპარატებს "სერვიეს" საწარმოო ცენტრიდან (ქ. ჟიდი, საფრანგეთი). შესაბამისად, მათ აფთიაქებში პრაქტიკულად გამორიცხულია ფალსიფიცირებული პრეპარატის მოხვედრა. ჩვენ თამამად გირჩევთ პრეპარატის შეძენას ასეთ აფთიაქებში. ამავდროულად, რეკომენდაციას გიწევთ, თავი შეიკავოთ პრედუქტალის (პრედუქტალ MR-ის) შეძენისაგან ბაზრობების ტერიტორიაზე, ჯიხურებში და სხვა საეჭვო ობიექტებში, რითაც თავიდან აიცილებთ ფალსიფიცირებულ პრეპარატს.

კომპანია "სერვიე" მზადაა დამატებით დააკმაყოფილოს თქვენი ინტერესი ქვემოთ მითითებული ტელეფონის საშუალებით.

**"სერვიეს" წარმომადგენლობა საქართველოში**
**ტელ. 75-42-24**

# "უსაზღვრო" ისტორიული სენტიმენტები

## რუსეთსა და ესტონეთს შორის სასაზღვრო შეთანხმება ჩავარდა

*მიმდინარე კვირა პოსტსაბჭოთა სივრცეში დიპლომატიური სკანდალით დაიწყო. რუსეთმა უარი თქვა ახლახან ხელმოწერილ სასაზღვრო შეთანხმებაზე ესტონეთთან, რომელსაც თავის დროზე ერთხმად უწოდეს კონსტრუქციული დიალოგის შედეგი. საქმეს ისიც ართულებს, რომ ესტონეთსა და რუსეთს შორის საზღვარი დღეს, ფაქტობრივად, ევროკავშირსა და რუსეთს შორის საზღვარს წარმოადგენს. დღეისთვის მხარეები პოზიციათა შეცვლას არ აპირებენ. ძნელი სათქმელია, ეს ინციდენტი რა როლს ითამაშებს რუსეთსა და ევროკავშირს შორის ბოლო დროს ნელ-ნელა მზარდ თანამშრომლობაზე.*

ნიკა თარაშვილი

**"იმის გამო, რომ ესტონეთის მხარემ არ შეასრულა აღებული ვალდებულებები, ჩვენ უკან ვიწვევთ ამ შეთანხმებაზე ჩვენს ხელმოწერას",** - განაცხადა ორშაბათს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა.

მოსკოვმა თანამედროვე დიპლომატიისთვის ერთობ უჩვეულო ნაბიჯი გადადგა: უარი თქვა ხელმოწერილ შეთანხმებაზე, რადგანაც, მოსკოვის განცხადებით, მეორე მხარემ ამ შეთანხმების რატიფიცირებისას დოკუმენტში "დაუშვებელი" დათქმები შეიტანა. საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით კი, ამგვარი ქმედების მართებულობა ფრიად საეჭვოა.

შეგახსენებთ, ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დაწყებული სასაზღვრო შეთანხმების პროცესის (დოკუმენტის ძირითად დებულებებზე უკვე 1999 წელს იქნა მიღწეული შეთანხმება) დასრულება ორი ქვეყნის მიერ 18 მაისს შეთანხმების ხელმოწერით გახდა შესაძლებელი. თითქოსდა, სასაზღვრო დავა მოგვარდა, რის შემდეგაც მხარეების მიერ დოკუმენტის რატიფიცირებაღა იყო დარჩენილი. გასულ კვირას ესტონეთმა მართლაც მოახდინა შეთანხმების რატიფიცირება, თუმცა ესტონელმა პარლამენტარებმა აუცილებლად ჩათვალეს მასზე ისეთი დათქმების გაკეთება, სადაც საბჭოთა კავშირის მიერ ესტონეთის ოკუპაციაზეა საუბარი. სწორედ ეს დათქმები გახდა რუსეთის გაღიზიანების მიზეზი.

სერგეი ლავროვის თქმით, არანაირი რატიფიცირება აღარ მოხდება, რადგანაც აღარ არსებობს თავად შეთანხმება. **"საზღვართან დაკავშირებული საკითხების დასარეგულირებლად საჭირო იქნება მოლაპარაკებათა თავიდან დაწყება",** - განაცხადა რუსმა დიპლომატმა, რითაც, ფაქტობრივად, პროცესის ნულიდან დაწყების მზადყოფნა დაადასტურა.

მინისტრის განცხადებამდე რუსეთის საგარეო უწყებამ მოსკოვში ესტონეთის ელჩს კარინ იანის ნოტა გადასცა, რამაც ესტონეთის მხარე დიდად გააოცა. ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია: ტალინი კვლავაც რჩება პოზიციაზე, რომ მისი მხრიდან ყველაფერი გაკეთდა რუსეთთან საზღვრის შესახებ შეთანხმების ძალაში შესასვლელად.

**"ესტონეთის მხარე არაერთხელ ადასტურებდა, რომ საზღვრის შესახებ შეთანხმებები არ უკავშირდება სხვა საკითხებს; ამიტომ, სიმართლეს არ შეესაბამება რუსეთის განცხადება, რომ ესტონეთმა სასაზღვრო შეთანხმებების შესახებ კანონს ახალი ასპექტები დაუმატა",** - ნათქვამია ბალტიისპირული სახელმწიფოს საგარეო უწყების მიერ გავრცელებულ დოკუმენტში.

უცნაურია, რამ გამოიწვია მოსკოვის ასეთი მკვეთრი ნაბიჯი - გასულ კვირას ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციაც აღნიშნავდა, რომ საბჭოთა კავშირმა თავის დროზე ესტონეთის ოკუპაცია მოახდინა.



*ისტორიულმა სენტიმენტებმა რუსეთ-ესტონეთის საზღვრის საკითხი კვლავაც ღიად დატოვა.*

თუმცა, შესაძლოა, რუსი დიპლომატების მიერ ყურადღება უფრო ტექნიკურ მხარეზე იყოს გამახვილებული. სხვათა შორის, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე კონსტანტინ კოსაჩევი ხაზგასმით აღნიშნავდა: "საზღვრის შესახებ შეთანხმება ესტონეთს უფრო სჭირდება, ვიდრე - ჩვენ (რუსეთს)."

**"ჩვენთვის საინტერესო არ არის დოკუმენტი, რომელიც, დოკუმენტი კი არა, ერთმანეთის მისამართით რევერანსების დაფიქსირება უფროა. ჩვენ გვჭირდება დოკუმენტი, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ დაუსვამს წერტილს საზღვრის შესახებ საკითხს",** - აღნიშნავს რუსი პარლამენტარი.

შექმნილი სიტუაციის გამო, შეფიქრიანებულნი ჩანდნენ ტალინშიც. **"რუსი პოლიტიკოსების მიერ შექმნილი ჩიხიდან გამოსავალი მხოლოდ უმაღლეს დონეზე შეხვედრა იქნება - ანუ მიზანშეწონილია, ვიფიქროთ ორი პრეზიდენტის მიერ ისეთი ერთობლივი დეკლარაციის ხელმოწერაზე, რომელიც სახელმწიფო სათათბიროში სასაზღვრო შეთანხმებების რატიფიკაციის საშუალებას მოგვცემდა",** - ამბობდა სამშაბათს ერთ-ერთი ესტონელი პარლამენტარი.

თუმცა, გუშინ რუსეთში ესტონეთის საელჩოს პრესმდივანმა განაცხადა, რომ ესტონეთი მიზანშეწონილად არ თვლის რუსეთთან საზღვრის შესახებ მოლაპარაკებების ხელახლა დაწყებას. **"იმედი გვაქვს, რუსეთის მხარე დეტალურად გააანალიზებს კანონს, რომლის რატიფიკაციაც ჩვენმა პარლამენტმა მოახდინა, და თავად შეუდგება შეთანხმებათა რატიფიცირებას",** - განაცხადა ესტონელმა დიპლომატმა ფრანეკ პერსიდსკიმ.

ასე რომ, ჯერჯერობით მხარეები დათმობას არ აპირებენ. როდემდე გაგრძელდება დიპლომატიური ომი რუსეთსა და ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის, ძნელი სათქმელია. საგულისხმოა, რომ რუსეთს კიდევ ბევრ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკასთან, მათ შორის, საქართველოსთან აქვს სასაზღვრო საკითხი ღიად დატოვებული.

# ლიბანის პარლამენტს ისევ პროსირიული მიმართულების ნაბი ბერი უხელმძღვანელებს

*ლიბანის პარლამენტის თავმჯდომარედ გუშინ ისევ ნაბი ბერი აირჩიეს. ის ფაქტი, რომ პროსირიული მიმართულების მქონე ნაბი ბერი მეოთხე ვადით უხელმძღვანელებს ლიბანში საკანონმდებლო ხელისუფლებას, ანტისირიული კოალიციის მხრიდან ერთგვარ დათმობად არის შეფასებული.*



*ნაბი ბერის სპიკერად ხელახლა არჩევა გამარჯვებული ანტისირიული ძალების შორსგამიზნული კომპრომისია.*

თიკო მაჭარაშვილი

ნაბი ბერი გუშინ ლიბანის პარლამენტის თავმჯდომარედ ოთხწლიანი ვადით მეოთხედ აირჩიეს. პროსირიული მიმართულების მქონე კანდიდატს 128 დეპუტატიდან ოთხმოცდაათმა მისცა ხმა. მას მხარს უჭერდნენ დამასკოს პოლიტიკის მხარდამჭერები და, რაც უნდა პარადოქსული იყოს, ყოფილი სპიკერის ხელახლა არჩევას მხარს უჭერდნენ, როგორც პროსირიული "ჰეზბოლა" და "ამალი", ასევე - ანტისირიულად განწყობილი დრუზები და სუნიტები.

37-მა დეპუტატმა კი, პროტესტის ნიშნად, თეთრი ბლანკები ჩაყარა. ბერიმ ვერც ამჯერად შეძლო ქრისტიანი დეპუტატების მხარდაჭერის მოპოვება. ქრისტიანული კოალიცია, რომელსაც "თავისუფალი პატრიოტული მიმდინარეობა", "ლიბანის ძალები" და ანტისირიულად განწყობილი ქრისტიანი მაჟორიტარი დეპუტატები შეადგენენ, ეწინააღმდეგებოდა ნაბი ბერის პარლამენტის თავმჯდომარის კანდიდატად ხელახალ დასახელებას.

ანტისირიული მიმართულების მქონე ბასემ საბაიმ მხოლოდ ერთი ხმა მიიღო. აშკარაა, ანტისირიული კოალიციის მხრიდან ბერის კანდიდატურის მხარდაჭერა ერთგვარი დათმობა იყო, რაც მათ საშუალებას მისცემს, პრემიერ მინისტრის კანდიდატად და მინისტრთა კაბინეტის შექმნისას დაასახელონ თავისი წარმომადგენლები.

67 წლის ნაბი ბერი "ამალის" მოძრაობას გასული საუკუნის 70-იან წლების ბოლოს შეუერთდა. ეს მოძრაობა 1970 წელს მუსა სადრმა ჩამოაყალიბა. ორი წლის შემდეგ პროფესიით ადვოკატი ნაბი ბერი 1980 წელს მოძრაობას უდგება სათავეში. პროსირიული მიმართულების მქონე ბერი ემხრობოდა ლიბანში სირიის ზეგავლენის გაძლიერებას. პირველად იგი პარლამენტში 1992 წელს შევიდა, როგორც სამხრეთ ლიბანის დეპუტატი. 1996 და 2000 წლებში იგი კვლავ აირჩიეს პარლამენტის წევრად. 2005 წლის 28 ივნისს მისი პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევა "ჰეზბოლას" მხარდაჭერამ განაპირობა. აპრილის ბოლოს ლიბანიდან სირიული ჯარების გასვლის შემდეგ ეს ორი ძირითადი შიიტური (მაგრამ, ერთმანეთთან დაპირისპირებული) პოლიტიკური ძალა გაერთიანდა.

**"ისრაელის საწინააღმდეგოდ განწყობილი მოძრაობის დაცვა საარჩევნო კამპანიის პერიოდში ჩვენი ძირითადი მიზანი იყო, რაც მომავალშიც ჩვენი პირველი ამოცანა იქნება,** - განაცხადა ბერიმ არჩევნების წინ, - **ქვეყანაში უნდა გატარდეს რეფორმები, დაიწყოს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა და გააქტიურდეს სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობა".**

ედმონდ ნაიმ, ლიბანის პარლამენტის ყველაზე უხუცესმა წევრმა (82 წლის ნაიმი ბლოკ "ლიბანური ძალების" წევრია) გამოაცხადა პარლამენტის თავმჯდომარის არჩევნებში ნაბი ბერის გამარჯვება და მოითხოვა ამნისტიის კანონის სასწრაფო მიღება, რომ გათავისუფლდეს პარტია "ლიბანური ძალებს" ლიდერი სამირ ჯაჯა, რაც "ლიბანში სირიის მმართველობის ხანის დასასრული" იქნება. ამასთანავე, მან მოსთხოვა პარლამენტს, კენჭი უყაროს ახალ საარჩევნო კანონს, რათა ყველა პარტიის ინტერესები დაკმაყოფილდეს.

# ნავთობის ფასის ზრდის გრძელვადიანი ტენდენცია

პირველი გვერდიდან

ექსპერტები შიშობენ, რომ ირანის ახალი პრეზიდენტი ქვეყნის ნავთობმრეწველობაში უცხოურ ინვესტიციებს შეზღუდავს, რაც ნავთობმოპოვებას შეაფერხებს.

უცხოური მედია ნავთობის ფასის ზრდის კიდევ ერთ მიზეზს ასახელებს. ექსერტების აზრით, ნავთობის ფასების უკანასკნელი ზრდა ბენზინზე და მაზუთზე საგრძნობლად გაზრდილმა მოთხოვნამ გამოიწვია - კერძოდ, უკანასკნელ დღეებში ამერიკაში ბენზინის ფასი 1 პროცენტით გაიზარდა და ბოლო 11 კვირის ახალი რეკორდი - გალონზე 1,6715 დოლარი შეადგინა. ამ მაჩვენებელს აბსოლუტურ რეკორდამდე, სულ რაღაც, 7,76 ცენტი აკლია. რაც შეეხება მაზუთის ფასს, იგი 2 პროცენტით გაძვირდა და დღეს აბსოლუტურ რეკორდს 2,25 ცენტით ჩამორჩება.

"ნავთობის ფასის 60-დოლარიან ნიშნულთან მოძრაობა გრძელვადიანი ტენდენციაა," - თვლიან ექსპერტები.

სიტუაციას ისიც ართულებს, რომ, მართალია, "ოპეკის" ქვეყნებმა ნავთობის მოპოვება მაქსიმუმამდე გაზარდეს, სხვა ნავთობექსპორტიორი ქვეყნების მიწოდების მოცულობა იმავე დონეზე დარჩა.

ასევე, უკანასკნელ წლებში სულ უფრო მატულობს დამატებითი საწარმოო საშუალებების არარსებობით გამოწვეული მღელვარება, რომელსაც, ექსპერტების აზრით, ნავთობის მიწოდების სერიოზული შეწყვეტის შემთხვევაში, ბუფერის როლის თამაში შეუძლია.

ნავთობის არსებული ფასების გათვალისწინებით, ბუნებრივი იქნებოდა ქვეყნის ეკონომიკასთან მიმართებაში რუსი ეკონომისტების ოპტიმიზმი. თუმცა, სიტუაცია სხვაგვარადაა. ნავთობის ფასების ზრდასთან ერთად რუსეთში განგაშიც იმავე ტემპით მატულობს.

პროგნოზებით, წელს ნავთობის ექსპორტი რუსეთს 90 მილიარდი დოლარის მოგებას მისცემს, თუმცა ეს ფაქტი ეკონომისტებში ოპტიმიზმის საბაბი არ ხდება. ყველაზე ავისმომასწავებლად ეკონომიკურ საკითხებში პრეზიდენტის მრჩევლის ანდრეი ილარიონოვის მოსაზრება გამოიყურება, რომელმაც ახალ სიტყვას - "ვენესუელიზაციას" - დაუდო საფუძველი. 1970-იან წლებში ვენესუელაში ნავთობს, მასობრივი კორუფციის, ხარჯების და ხელისუფლების უკმაყოფილების გამო, "ეშმაკის ქმნილება" უწოდეს. ამან ვენესუელა იმის კლასიკურ ნიმუშად აქცია, თუ როგორ შეიძლება ქვეყნის ეკონომიკის დანგრევა. ილარიონოვს სხვა ექსპერტებიც ეთანხმებიან იმაში, რომ ნავთობის მაღალი ფასებით განებივრებულმა რუსეთმა, შესაძლოა, ეკონომიკის მოდერნიზაციისთვის მიცემული შანსი ხელიდან გაუშვას.

რუსეთს კიდევ ერთის - "ჰოლანდიური ავადმყოფობის" - ეშინია. იმავე 1970-იან წლებში ჰოლანდიაში ეროვნული ვალუტის გამყარებამ ადგილობრივი მეწარმეები კონკურენტუნარიანობის გარეშე დატოვა. ნავთობდოლარების შემოდინება არა მარტო ვალუტის გამყარებას, არამედ ადგილობრივი მეწარმეების კონკურენტუნარიანობის დაქვეითებას უწყობს ხელს. უკანასკნელი სტატისტიკური მონაცემებით, რუსეთის მრეწველობა, თითქმის, არ გაზრდილა.

იკვრება წრე: ნავთობის მსოფლიო ბაზარზე "იუკოსის საქმით" შეშინებულ რუსეთს აკვირდებიან, ნავთობის ფასები კი განუწყვეტლივ იზრდება. რუსული Urals-ის ერთი ბარელის ფასი 50 დოლარს გადასცდა.

გასულ კვირას მოსკოვში რუსული ეკონომიკის აღორძინების "მცდელობას" პრემიერ-მინისტრ მიხაილ ფრადკოვსა და ეკონომიკური განვითარების მინისტრ გერმან გრეფს შორის კონფლიქტი მოჰყვა. მთავრობის სხდომაზე ფრადკოვმა "მთლიანი შიდა პროდუქტის გაორმაგება" მოითხოვა, რაზეც გერმან გრეფისგან ორმაგი უარი მიიღო.

# ერაყში უსაფრთხოების საკითხი კვლავ მოუგვარებელია

*ერაყში ტერაქტები კვლავ გრძელდება. სამშაბათს დანაღმული ავტომობილის ქვეყნის პარლამენტარის კორტეჟთან შეჯახების შედეგად ხუთი ადამიანი დაიღუპა. პრემიერ-მინისტრი იბრაჰიმ ჯაფარი, აშშ-ს თავდაცვის მინისტრის დონალდ რამსფელდის საპირისპიროდ, ქვეყანაში წესრიგის დამყარებისთვის აუცილებელ ვადად ორ წელიწადს ასახელებს. ამავდროულად, კოალიციის მიერ ადგილობრივი მმართველობისათვის ხელისუფლების გადაცემის წლისთავთან დაკავშირებით გაზეთმა "ვაშინგტონ პოსტ"-მა და ტელეკომპანია ეი-ბი-სი-მ გამოკითხვა ჩაატარა, რომელმაც ცხადყო - ამერიკელები ერაყიდან აშშ-ს ჯარების გამოყვანის საკითხთან დაკავშირებით აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის პოლიტიკას იზიარებენ და ერაყიდან ჯარების გაყვანის წინააღმდეგ გამოდიან.*

ნანა ნასყიდაშვილი

ბაღდადის ჩრდილოეთ ნაწილში ერაყის პარლამენტის უხუცესი წევრის, 87 წლის დარი ფაიადის კორტეჟზე დანაღმული ავტომანქანის შეჯახების შედეგად დეპუტატი, მისი ვაჟიშვილი და სამი მცველი დაიღუპნენ. დარი ფაიადი ქვეყნის პარლამენტის სპიკერის არჩევამდე, როგორც უხუცესი წევრი, აღნიშნულ საკანონმდებლო ორგანოს სხდომებს უძღვებოდა.

ქვეყნის სათავეში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ეს პარლამენტარის მკვლელობის უკვე მეორე შემთხვევაა. კიდევ ერთი ტერაქტი სამშაბათს დილით ერაყის დედაქალაქიდან 70 კილომეტრის დაშორებით, ქალაქ მუსაიბში განხორციელდა. აქ ადგილობრივი საავადმყოფოს გამშვებ პუნქტზე პოლიციელის ფორმაში გადაცმულმა კამიკაძემ თავი აიფეთქა. ინციდენტის შედეგად სამი ადამიანი დაიღუპა.

ბოლო ორი თვის განმავლობაში ერაყში განხორციელებული ტერაქტების შედეგად 1330 ადამიანია დაღუპული. ქვეყანაში ძალადობის მორიგი ტალღის დაწყებასთან დაკავშირებით ერაყის პრემიერ-მინისტრის იბრაჰიმ ჯაფარის ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრთან ტონი ბლერთან გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე გაკეთებული განცხადების თანახმად, ქვეყანაში წესრიგის აღდგენას ორი წელი დასჭირდება. იბრაჰიმ ჯაფარმა აღნიშნა ისიც, რომ ამ საკითხის მოგვარებაში მრავალ ფაქტორს, მათ შორის, ერაყის უშიშროების ძალების გაძლიერებასა და ქვეყნის ტერიტორიაზე მეზობელი სახელმწიფოებიდან ექსტრემისტთა გადმოსვლის აღკვეთას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. თავის მხრივ, ტონი ბლერი ერაყში ტერორიზმზე გამარჯვებას მსოფლიოში ტერორიზმზე გამარჯვებად აღიქვამს.

ჯაფარის სიტყვებს აშშ-ს თავდაცვის მინისტრის დონალ რამსფელდის გამოსვლას უპირისპირებენ, რომელშიც ის ერაყში სეპარატიზმზე გამარჯვების შესაძლებლობას 12 წელიწადში ხედავს. **"ტერორისტთა მსგავსი ქმედებანი, შესაძლოა, რვა, ათ ან, საერთოდ, თორმეტ წელიწადს გაგრძელდეს. ერაყში მყოფი უცხოეთის სამხედრო ნაწილები ამ პრობლემის მოგვარებით არ დაკავდებიან. ჩვენ აღნიშნულ ქვეყანაში ისეთი მდგომარეობა დავამყარეთ, რომლის მეშვეობითაც თავად ერაყელი ხალხი და უშიშროების ძალები შეძლებენ სეპარატისტთა დამარცხებას",** - აღნიშნა დონალ რასფელდმა ტელეკომპანია "ფოკს ნიუს"-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.



*ერაყში ჭერ არც მშვიდობაა და არც - სუვერენიტეტი.*

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ერაყში საერთაშორისო კოალიციის მიერ ქვეყნის მმართველობის ერაყელთა ხელში გადაცემის წლისთავთან დაკავშირებით საზეიმო განცხადებით სამშაბათს გამოვიდა. მაგრამ, დღევანდელ ვითარებაში, როდესაც ერაყის ტერიტორიაზე ათასობით უცხოელი ჯარისკაცია, ქვეყნის სუვერენიტეტზე ლაპარაკი ნაადრევია.

გაზეთმა "ვაშინგტონ პოსტ"-მა და ტელეკომპანია ეი-ბი-სი-მ 23-26 ივნისს ტელეფონის საშუალებით 1004 რესპონდენტი ერაყიდან აშშ-ს ჯარების გამოყვანის შესახებ გამოკითხა. ინტერაქტივის შედეგად გაირკვა, რომ რვიდან მხოლოდ ერთი ამერიკელია აშშ-ს ჯარების ერაყიდან გამოყვანის მომხრე. გამოკითხულთა უმრავლესობა ერაყის ტერიტორიაზე საჯარისო ნაწილების დარჩენას აღნიშნულ ქვეყანაში სტაბილიზაციის დამყარებამდე აუცილებელ პირობად მიიჩნევს. რესპონდენტთა 67 პროცენტს მიაჩნია, რომ ერაყის ომმა აშშ-ს მსოფლიოში იმიჯი შეულახა, ხოლო 1 პროცენტს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკუთარ აზრი არ გააჩნია. გამოკითხვის შედეგებმა ცხადყო, რომ ამერიკელთა უმრავლესობა აღნიშნულ საკითხში ჯორჯ ბუშის პოლიტიკას იზიარებს. **"თუ ამერიკა ერაყიდან ჯარებს ახლა გაიყვანს, ქვეყანა სამოქალაქო ომის ალში გაეხვევა. აშშ და მოკავშირე ქვეყნები ერაყის ნდობას დაკარგავენ. ჩვენი საჯარისო ნაწილების აღნიშნული ქვეყნის ტერიტორიაზე დარჩენა უსაფრთხოების საკითხთა მოგვარებამდე თავად ერაყელებს სურთ",** - აღნიშნა აშშ-ს თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ფრენკ კარლუჩიმ "რია ნოვოსტი"-სთან ინტერვიუში.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ გამოკითხულთა 53 პროცენტი, აშშ-ს ხელისუფლებისგან განსხვავებით, ტერორიზმთან ბრძოლაში მდგომარეობის გაუმჯობესებას ვერ ხედავს. ერაყში აშშ-ს მრავალნაციონალური საჯარისო ნაწილების ერთ-ერთი ხელმძღვანელის გენერალ ჯორჯ კეისის განცხადებით, სეპარატისტებმა ერაყის მთელ ტერიტორიაზე გავლენის გავრცელება ვერ შეძლეს. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალჩინოსან ედვარდ პეკს კი მიაჩნია, რომ ერაყის ტერიტორიიდან უცხო ქვეყნის საჯარისო ნაწილების გამოყვანამდე ქვეყნის სრულ სუვერენიტეტზე საუბარი დაუშვებელია. **"პრობლემაა ის ფაქტი, რომ დღეისთვის ერაყთან მიმართებაში სიმართლეს არავინ ლაპარაკობს და, იმ ინფორმაციის გამო, რომელიც ამერიკელ ხალხს მიეწოდება, ერაყში არსებული მდგომარეობის შესახებ მან არაფერი იცის",** - აღნიშნავს ექსპერტი, რომელიც პენტაგონის პოლიტიკის მიმართ კრიტიკულადაა განწყობილი.

## ორი სიტყვით

**ვატიკანი.** 28 ივნისს, მოციქულების - პეტრესა და პავლეს კათოლიკური დღესასწაულის მიწურულს, ვატიკანმა იოანე პავლე მეორის ბეატიფიკაციის პროცედურა დაიწყო. სან-ჯოვანი-ინ-ლატერანოს ტაძარში პირველი ოფიციალური ცერემონია კარდინალმა კამილო რუინიმ ჩაატარა.

მართალია, საეკლესიო კანონებით, ბეატიფიკაციის დაწყებისათვის საჭიროა 5 წლის გასვლა, მაგრამ, რომის ამჟამინდელი პაპის გადაწყვეტილებით, იოანე პავლე მეორის წმინდანად კურთხევის პროცედურის დასაწყებად აღნიშნული ვადის ამოწურვას არ დაელოდნენ. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**ირანი.** ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტომ მოულოდნელად ირანის ბირთვული ობიექტების მორიგი დათვალიერება დაიწყო.

ბირთვული ობიექტების, წინასწარი გაფრთხილების გარეშე, ინსპექტირების პრაქტიკას ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების პროტოკოლი უკვე 2 წელიწადზე მეტია, რაც იცნობს.

პრეზიდენტად არჩევის შემდეგ გამართულ პირველ პრესკონფერენციაზე, ირანის ბირთვული პროგრამის გაგრძელების გეგმებზე, მაჰმუდ აჰმადინეჯადის განცხადების შემდეგ, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტომ ინსპექტორთა მორიგი ჯგუფის გაუფრთხილებლად გაგზავნის შესახებ მიიღო გადაწყვეტილება. დღემდე ჩატარებული ინსპექტირების ოქმებით ჯერჯერობით არც ერთი დარღვევა არ გამოვლენილა ირანის ბირთვულ ობიექტებზე. **რია-ნოვოსტი**

■ ■ ■

**ირანი.** თეირანში 28 ივნისს ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის შესახებ ფილმების მეოთხე საერთაშორისო ფესტივალი გაიხსნა, რომელიც 1 ივლისამდე გაგრძელდება. ფესტივალზე ნაჩვენები იქნება 600-ზე მეტი ანიმაციური, მხატვრული, სატელევიზიო, მულტიპლიკაციური და დოკუმენტური ფილმი.

ნამუშევრები წარდგენილია 30 ქვეყნიდან, მათ შორის - რუსეთიდან, ავსტრალიიდან, არგენტინიდან, ბულგარეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან, გერმანიიდან, ინდოეთიდან, ინდონეზიიდან, იტალიიდან, კანადიდან, ლიბანიდან, ნიდერლანდებიდან, სერბეთიდან, ჩერნოგორიიდან, სირიიდან, აშშ-დან, თურქეთიდან, საფრანგეთიდან და იაპონიიდან.

საკონკურსო ფილმები თეირანის კინოთეატრებსა და კულტურის სახლებში იქნება ნაჩვენები. **ირნა**

# პარლამენტარები რკინიგზის დამოუკიდებლობას ეწინააღმდეგებიან

*შპს "საქართველოს რკინიგზის" ახალ ინიციატივას, რაც ამ სახელმწიფო საწარმოსთვის უფრო მეტი დამოუკიდებლობის მინიჭებას გულისხმობს, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში, სავარაუდოდ, სერიოზული წინააღმდეგობები მოჰყვება. ამ საკითხს დეპუტატები პარლამენტის უახლოეს სხდომაზე კიდევ ერთხელ მიუბრუნდებიან და საბოლოო გადაწყვეტილებასაც გამოიტანენ. ამ დროისთვის, შესაბამისმა კომიტეტებმა რკინიგზის ამ ინიციატივაზე საკუთარი დასკვნა უკვე მოამზადეს.*

მარიამ ჭაჭვაძე

დაახლოებით, ერთი თვის წინ, საქართველოს რკინიგზის გენერალურმა დირექტორმა დავით ონოფრიშვილმა, მგზავრთა გადაყვანაზე, ტვირთების, ბარგისა და ფოსტის გადაზიდვებზე, ტარიფებისა და დამატებით საფასურების დამოუკიდებლად შემუშავება და დაწესება მოითხოვა. სარკინიგზო კოდექსში შესატანი ცვლილებების კანონპროექტი კი ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ შეიმუშავა და პარლამენტს წარუდგინა.

**"ტარიფის დადგენის დროს ძირითადი კრიტერიუმი ტვირთების მოცულობა იქნება, შესაბამისად, ტარიფის დადგენა ინდივიდუალურად, ტვირთებთან მიმართებაში მოხდება. ანუ, ეს იმას ნიშნავს, რომ ტარიფები საბაზრო კონიუნქტურის შესაბამისად შეიცვლება,"** - ეს განცხადება ონოფრიშვილმა კანონპროექტის პრეზენტაციის დღეს გააკეთა.

მისივე თქმით, რკინიგზის დღეს მოქმედი სატარიფო პოლიტიკა საკმაოდ მოძველებულია და ის არანაირ ეკონომიკურ გათვლებს არ ეფუძნება. მეტიც, ქართულ რკინიგზაში დღემდე საბჭოთა კავშირის დროინდელი სატარიფო სისტემა მოქმედებს, რომელიც სატვირთო გადაზიდვებზე ზედა ზღვრული ტარიფების არსებობას ითვალისწინებს. ეს კი, ონოფრიშვილის მტკიცებით, საბაზრო ეკონომიკისა და ძლიერი კონკურენტების (რუსეთისა და ირან-თურქეთის სარკინიგზო დერეფნების) არსებობის პირობებში, საქართველოს რკინიგზის წარმატებულ ფუნქციონირებას ხელს უშლის.

კანონპროექტის ინიციატორების განცხადებით, ტარიფის დამტკიცების უფლების მიცემით რკინიგზას სრული ავტონომია მიენიჭება და გაიზრდება მისი, როგორც მეწარმე სუბიექტის, მოქნილობა საერთაშორისო და ადგილობრივი გადაზიდვების ბაზარზე.

ამ საკითხზე განსხვავებული მოსაზრება აქვს დეპუტატთა ერთ ნაწილს. ზოგი ცალსახად და ზოგიც ნაწილობრივ, რკინიგზის ამ ინიციატივას ეწინააღმდეგება.

მემარჯვენე ოპოზიციის წარმომადგენლის ზურაბ ტყემალაძის თქმით, რკინიგზის მონოპოლიური მდგომარეობიდან გამომდინარე, ის არასდროს არ დაუჭერს მხარს ამ კანონპროექტს, რადგან ამ შემთხვევაში არსებობს მომხმარებელთა უფლებების დარღვევის სერიოზული საშიშროება. **"რკინიგზა, როგორც ორგანიზაცია, თავისი ბუნებით მონოპოლისტს წარმოადგენს და ამიტომ არ შეიძლება, მას ტარიფების ერთპიროვნულად დაწესების საშუალება მიეცეს. ვფიქრობ, რომ ტარიფების რეგულირებას მხოლოდ ის ორგანო უნდა ახდენდეს, რომლის შექმნა უახლოეს მომავალში არის დაგეგმილი,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს ზურაბ ტყემალაძემ.

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის მიერ მომზადებული დასკვნა რკინიგზის ხსენებულ ინიციატივაზე დადებითია, თუმცა კომიტეტის წევრები ამბობენ, რომ ამას მხარს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუჭერენ, თუკი ეს დროებითი და არა მუდმივი ღონისძიება იქნება. კომიტეტის თავმჯდომარე ნიკო ლეკიშვილი ამბობს, რომ რკინიგზას გადაყვანა-გადაზიდვებზე ტარიფების დამოუკიდებლად დაწესების უფლება მხოლოდ სპეციალური მარეგულირებელი ორგანოს შექმნამდე შეიძლება ჰქონდეს. **"ადრე ამას ტრანსპორტის სამინისტრო აკეთებდა, რომელიც უკვე გაუქმებულია. ახლა, წესით, მარეგულირებელი ორგანო უნდა აკეთებდეს, რომელიც ჯერ არ შექმნილა. ამ საკანონმდებლო ვაკუუმის პირობებში ჩვენ რკინიგზის ინიციატივას, როგორც დროებით ღონისძიებას, მხარს აუცილებლად დავუჭერთ,"** - აღნიშნა ჩვენთან საუბრის დროს ნიკო ლეკიშვილმა.

სხვათა შორის, ამ საკითხზე ორიოდე დღის წინათ პარლამენტში გაკვრით იყო საუბარი, რომლის დროსაც ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა კანონპროექტის ავტორების მისამართით აღნიშნა, რომ მისთვის გაურკვეველია, თუ რატომ იქმნის რკინიგზა პრობლემას. მისი თქმით, საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობა აღნიშნული კანონპროექტით **"თავს ყულფში ყოფს, რადგან სამართალდამცავებს ნებისმიერ დროს შეეძლებათ, შეამოწმონ დაწესებული ტარიფის მიზანშეწონილობა ამა თუ იმ გადაზიდვაზე და იქ არსებულ დარღვევებზე სისხლის სამართლის საქმე აღძრან."**

ამ საფრთხის მიუხედავად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, "რკინიგზის" ხელმძღვანელის პოზიცია საკმაოდ პრინციპულია და ამ გადაწყვეტილების მთავარი საფუძველი "რკინიგზის", როგორც საწარმოს, მართვის მოქნილობის უზრუნველყოფაა. თუმცა დღეს, ჯერჯერობით, საკმაოდ რთული სათქმელია, თუ ვისი პოზიცია გადაწონის პარლამენტში.

## მოკლედ

### "ხუდონჰესის" მშენებლობის საკითხით ყაზახური კომპანიები დაინტერესდნენ

"ხუდონჰესის" მშენებლობის საკითხით ყაზახური კომპანიები დაინტერესდნენ. როგორც დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა, მდინარე ენგურზე ხუდონის ჰიდროელექტროსადგური შეიძლება კერძო ინვესტიციით აშენდეს. "შეიქმნება კონსორციუმი, სადაც ყაზახურ კომპანიებთან ერთად, მონაწილეობას ქართული და თურქული კომპანიები მიიღებენ. შესადგენია ბიზნეს-გეგმა, ცვლილებებია შესატანი თავად ჰესის სამშენებლო პროექტშიც. პროექტში ცვლილებები თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით განხორციელდება," - აღნიშნა მინისტრმა. მისი თქმით, "ხუდონჰესის" მშენებლობა ხანგრძლივ დროს მოითხოვს, თუმცა ეს პროექტი აუცილებლად განხორციელდება. "ხუდონჰესის" მშენებლობა გასული საუკუნის 80-იან წლებში დაკონსერვდა. მისი აშენების შემთხვევაში საქართველოს ენერგოსისტემა დამატებით 700 მეგავატ სიმძლავრეს მიიღებს. **ინტერპრესნიუსი**

### "აზერენერჯის" გენერალური დირექტორის ვიზიტი

კომპანია "აზერენერჯის" გენერალური დირექტორის ეტიბარ პირვერდიევის საქართველოში ვიზიტი მიმდინარე კვირის ბოლოსთვის გადაიდო. ენერგეტიკის მინისტრ ნიკა გილაურისთვის ვიზიტის გადადების მიზეზი უცნობია, თუმცა, როგორც გილაურმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ბოლო 5 წლის განმავლობაში საქართველოსა და აზერბაიჯანის ენერგოსისტემები არაეფექტურად ურთიერთთანამშრომლობდნენ. როგორც საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში აცხადებენ, ეტიბარ პირვერდიევის სტუმრობისას განიხილება ორმხრივი ერთობლივი ჯგუფის შექმნის საკითხი, რომელმაც საქართველოსა და აზერბაიჯანის ენერგოსისტემებს შორის პარალელურ რეჟიმში მუშაობის პრობლემა უნდა გადაწყვიტოს. ორი ქვეყნის ენერგოსისტემების პარალელურ რეჟიმში მუშაობის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების განხორციელება, სისტემებს შორის უკეთესი კოორდინაცია და თანამშრომლობა. პირვერდიევის თბილისში ვიზიტისას აზერბაიჯანის მიმართ არსებული 32 მლნ. კილოვატსაათი ელექტროენერგიის ვალის გადახდის საკითხიც განიხილება. "აზერენერჯის" გენერალური დირექტორი თბილისში დღეს უნდა ჩამოსულიყო. **ინტერპრესნიუსი**

### მსუბუქი მრეწველობის კორპორაცია პრემიერ-მინისტრს აბრეშუმის წარმოების აღდგენის რეკომენდაციას აძლევს

მსუბუქი მრეწველობის კორპორაცია საქართველოში ნატურალური აბრეშუმის წარმოების აღდგენას გეგმავს და ამასთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელთან მოლაპარაკებებს გამართავს. ამის შესახებ პრაიმ-ნიუსს კორპორაციის წარმომადგენელმა, "სამკერვალო საწარმოს" გენერალურმა დირექტორმა იური გოგოლაძემ აცნობა. მისი ინფორმაციით, კონსულტაციები პრემიერ-მინისტრთან ხუთშაბათს გაიმართება, მანამდე კი ნოღაიდელი სამკერვალოს მონახულებას გეგმავს. პრაიმ-ნიუსთან საუბარში გოგოლაძემ აღნიშნა, რომ კორპორაციის პროექტი, რომელიც პრემიერ-მინისტრთან ხუთშაბათს შეთანხმდება, სამკერვალოს ბაზაზე მსუბუქი მრეწველობის მრავალდარგობრივი კომპლექსის შექმნას ითვალისწინებს, სადაც იქნება სადემონსტრაციო დარბაზი, დიზაინ-კონსტრუქტორთა სააგენტო, სანედლეულო ბაზა, ტრიკოტაჟისა და ტყავ-ფეხსაცმლის წარმოება. ამჟამად ფუნქციონირებს მხოლოდ სამკერვალო, რომელიც გერმანული კომპანია "ლებეკის" დაკვეთებს ასრულებს. საწარმო კვირაში 400 ერთეულ ქალის კოსტიუმს უშვებს, რომლის რეალიზებასაც გერმანელი პარტნიორი გერმანიის, ბენილუქსისა და სკანდინავიის ქვეყნებში უზრუნველყოფს. გოგოლაძის ინფორმაციით, საწარმო ყოველთვიურად სახელმწიფო ბიუჯეტში სოციალური და საშემოსავლო გადასახადების სახით 5 000 ლარს რიცხავს. სამკერვალო, სადაც 70 მუშაა დასაქმებული, საექსპორტო პროდუქტს ქმნის და, შესაბამისად, დღგ-თი არ იბეგრება. როგორც გოგოლაძემ აღნიშნა, სამკერვალო ნედლეულად გერმანული ქიმიური წარმოების პოლიეთილენის ქსოვილს იყენებს, თუმცა მისთვის პრიორიტეტულია ადგილობრივ ნედლეულზე მუშაობა. გოგოლაძე პრემიერ-მინისტრთან დაგეგმილ შეხვედრაზე, ნატურალურ აბრეშუმთან ერთად, ადგილობრივი შალის წარმოების აღდგენის წინადადებითაც წარდგება. მისი განმარტებით, ნატურალური ბოჭკოს მწარმოებელი "მაუდისა" და "აბრეშუმის წარმოების" ამუშავება მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებითაც, რომ ევროპის ბაზარზე ნატურალურ ძვირადღირებულ ქსოვილზე დიდი მოთხოვნილებაა. **პრაიმ-ნიუსი**

# გილაური მოსახლეობას "გაგებას" სთხოვს და დაპირებებით ქვებავს

### ქართული ენერგოსისტემა "ზედკრულ" "კავკასიონზე" დამოკიდებული აღარ იქნება

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის ნიკა გილაურის გუშინდელი პრესკონფერენციის მთავარი თემები კომუნალური და ინდივიდუალური გამრიცხველიანება და სომხეთთან დამაკავშირებელი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა იყო. მინისტრი კომუნალურ გამრიცხველიანებას საქართველოს ენერგოსისტემაში არსებული მძიმე მდგომარეობიდან ერთადერთ გამოსავალს უწოდებს და მოსახლეობას მოუწოდებს, მთავრობის ამ გადაწყვეტილებას გაგებით მოეკიდოს. ახალი ელექტროგადამცემი ხაზის აშენებით კი, საქართველოს ენერგოსისტემა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის "კავკასიონის" ალტერნატიული გზის მიღებას გეგმავს.*



ქართული ენერგოსისტემა აღარ იქნება დამოკიდებული "ზედკრულ" მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზ "კავკასიონზე".

დიანა ჩაჩუა

**"მოსახლეობას ელექტროენერგიის გადასახადის გადახდა არ სურს, თუმცა 24-საათიანი ელექტრომომარაგება სურს. რა თქმა უნდა, კომუნალური გამრიცხველიანება იდეალური გამოსავალი არ არის, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ეტაპია. მეორე ეტაპზე ინდივიდუალური გამრიცხველიანება დაიწყება,"** - აცხადებდა გუშინ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური. მინისტრი ელოდება, რომ 2006 წლის ოქტომბრისათვის საქართველოს ენერგოსისტემაში პრობლემები აღარ იქნება. **"სწორედ ამისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია კომუნალური გამრიცხველიანება,"** - აღნიშნა ნიკა გილაურმა.

ენერგეტიკის მინისტრი გუშინ დარწმუნებით აცხადებდა, რომ საქართველოს რეგიონებში 9600 ტრანსფორმატორზე კომუნალური მრიცხველების დამონტაჟების შემდეგ, ელექტროენერგიის მოხმარების აღრიცხვიანობა გაუმჯობესდება, ხოლო მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ოდენობა შემცირდება.

გილაურის ინფორმაციით, ამჟამად ქვეყნის რეგიონებში (აჭარის და კახეთის გარდა) 9 600 კომუნალური მრიცხველია დამონტაჟებული. გადახდის მაჩვენებლების შესაბამისად, ელექტროენერგია მიეწოდება ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის და კომერციული და სახელმწიფო დაწესებულებების 70 პროცენტს, დანარჩენს გადაუხდელობის გამო ელექტროენერგია არ მიეწოდება.

კომუნალური გამრიცხველიანების პროცესი უახლოეს მომავალში აჭარის რეგიონშიც დაიწყება.

კომუნალური გამრიცხველიანების პროგრამა რეგიონულმა ელექტროგამანაწილებელმა - "საქართველოს გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ" განახორციელა. სამუშაოები, რომლებიც 6 მლნ ლარი დაჯდა, 3 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. კომუნალური მრიცხველები ტრანსფორმატორებზე დამონტაჟდა, საიდანაც ელექტროენერგიას, საშუალოდ, 50-60 აბონენტი იღებს. აბონენტის ინდივიდუალური გადასახადის დაანგარიშება კომუნალური მრიცხველის ჩვენების აბონენტთა რიცხვზე გაყოფით ხდება.

შეგახსენებთ, რომ სწორედ ეს უკანასკნელი ფაქტი ხდებოდა ხოლმე ბოლო პერიოდში რეგიონებში გამართული ენერგოაქციების გამართვის მიზეზი. ნიკა გილაური მიიჩნევს, რომ კომუნალური გამრიცხველიანება რეგიონების ელექტრომომარაგების გაუმჯობესების იდეალური საშუალება არ არის, თუმცა ამ ეტაპზე ეს ყველაზე მისაღებად მიაჩნია. **"მოსახლეობა უნდა დაგვეხმაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ მთავრობა ყველა პრობლემას ვერ გადაწყვეტს. ბევრი პოპულისტი გამოჩნდება, რომელიც ჩვენს ამ პოლიტიკას გააპროტესტებს, თუმცა მოსახლეობამ სწორი დასკვნები უნდა გამოიტანოს,"** - აცხადებდა გუშინ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი.

ინდივიდუალური გამრიცხველიანება საქართველოს ცხრა დიდ ქალაქში ერთ თვეში დაიწყება. ენერგეტიკის სამინისტროს ცნობით, ამჟამად მიმდინარეობს ტენდერი, სადაც ინდივიდუალური მრიცხველების დასამონტაჟებლად კომპანიის შერჩევა მიმდინარეობს.

**"ტენდერში 39 კომპანია მონაწილეობს, მათ შორის არიან ქართული, რუსული, უკრაინული, ირანული და ჩინური კომპანიები. ამ პროგრამისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 15 მილიონი ლარი გამოიყოფა,"** - განაცხადა გილაურმა.

ცნობისათვის, ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროგრამა თავდაპირველად "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" 110 ათას აბონენტს შეეხება.

**"პროგრამაში მონაწილეობას მოსახლეობაც მიიღებს. თითოეული აბონენტი 30 ლარს წინასწარ გადაიხდის. ამ თანხას კომპანია მოგვიანებით ან დავალიანებაში ან მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურში გაქვითავს",** - აღნიშნა ენერგეტიკის მინისტრმა.

ინდივიდუალური გამრიცხველიანების პირველი ეტაპი მიმდინარე წლის ბოლოს დასრულდება. 2006 წლის 1 ივნისისთვის კი ინდივიდუალური გამრიცხველიანება უკვე 16 ქალაქში იქნება დასრულებული.

საინტერესოა, რომ 2006 წლის დასაწყისისთვის საქართველოს სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის ალტერნატიული ხაზი ექნება. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული ენერგოსისტემა აღარ იქნება დამოკიდებული "ზედკრულ" მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზ "კავკასიონზე". ნინოწმინდის, ალავერდის და ლალვარის გადამცემი ხაზების შემდეგ, ახალი გადამცემი ხაზი მეოთხე იქნება, რომელიც საქართველოს ენერგოსისტემას სომხეთთან დააკავშირებს.

ხაზის მშენებლობას, რომელსაც "გარდაბანი-რაზდანი" დაერქმევა, სავარაუდოდ, 10-12 მილიონი დოლარი დასჭირდება და მას ქართული მხარე დააფინანსებს. **"ამის შემდეგ სომხეთიდან 400 მეგავატი სიმძლავრის იმპორტის განხორციელება იქნება შესაძლებელი, რაც ნიშნავს, რომ ახალ გადამცემ ხაზს "კავკასიონის" ჩანაცვლება შეეძლება,"** - აღნიშნა გილაურმა.

მშენებლობაზე მოლაპარაკებები რამდენიმე დღის წინ ერევანში გაიმართა. ამ საკითხთან დაკავშირებით ნიკა გილაური ერევანში გამგზავრებას კვირის ბოლოს გეგმავს.

# "თელასი" საბიუჯეტო ორგანიზაციებს 10 ივლისს გათიშავს

*გასული ორი დღის განმავლობაში, "თელასსა" და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის მოვლენები დრამატულად ვითარდებოდა. "თელასი" საბიუჯეტო ორგანიზაციებს დენის გამორთვით მას შემდეგ დაემუქრა, რაც ფინანსთა სამინისტრომ 27 ივნისს მისი საბანკო ანგარიში დააყადაღა. ენერგოკომპანიამ, საპასუხოდ, გუშინ საბიუჯეტო ორგანიზაციებს დავალიანების დაფარვისთვის ვადა 17 საათამდე მისცა. საბოლოოდ, ფინანსთა სამინისტროსა და კომპანია "თელასის" ხელმძღვანელობას შორის გამართული მოლაპარაკებების შედეგად გადაწყდა, რომ "თელასი" სახელმწიფო ბიუჯეტისადმი არსებულ დავალიანებას ეტაპობრივად გადაიხდის, ფინანსთა სამინისტრომ კი, თავის მხრივ, ამ კომპანიის საბანკო ანგარიშზე ყადაღა მოხსნა. საბიუჯეტო ორგანიზაციებს და დევნილებით კომპაქტურად დასახლებულ დაწესებულებებს დენის საფასურის გადახდის ვადა 10 ივლისამდე გაუხანგრძლივდა.*

დიანა ჩაჩუა

გუშინ, "თელასის" მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციების მიმართ დაგეგმილი სადამსჯელო ღონისძიება ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა მოიწონა. როგორც მან პრესკონფერენციაზე განაცხადა, "თელასი" ყოჩაღად მოიქცა, რადგან უკვე დროა, დავალიანების არსებობის შემთხვევაში გამანაწილებელმა ენერგოკომპანიებმა ურჩ გადამხდელებს ელექტრომომარაგება შეუწყვიტონ.

**"დავალიანება შეიძლება ენერგეტიკის სამინისტროსაც გააჩნია, თუმცა ამას აუცილებლად გავარკვევ და შესაბამისი პასუხისმგებელი პირი დავალიანების არსებობისათვის პასუხს აგებს,"** - განაცხადა გილაურმა.

ენერგეტიკის სამინისტროს "თელასის" მიმართ მართლაც აქვს დავალიანება. ენერგოკომპანიის ურჩ გადამხდელებს შორისაა ასევე: პრეზიდენტის ადმინისტრაცია, შინაგან საქმეთა, თავდაცვის, იუსტიციის, კულტურის და განათლების სამინისტროები, სააღსრულებლო და საზღვრის დაცვის დეპარტამენტები, საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველო, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი, ცენტრალური არქივი და სხვა.

"თელასი" სახელმწიფოსგან აფხაზეთიდან დევნილებისთვის მიწოდებული ელექტროენერგიის საფასურის დაფარვასაც ითხოვს, რაც დაახლოებით 37 მილიონი ლარია. ენერგოკომპანიის ცნობით, ამის შესახებ ყველა უწყებას წერილობითი შეტყობინება გაეგზავნება.

მთლიანობაში, სახელმწიფოს საბიუჯეტო ორგანიზაციებს "თელასის" მიმართ 4,8 მლნ ლარის დავალიანება დაუგროვდა.

თავის მხრივ, ფინანსთა სამინისტროს განცხადებით, "თელასს" სახელმწიფოს მიმართ 3 მილიონ 600 ათასი ლარის დავალიანება გააჩნია, რომელიც 2000-2003 წლებში დაუგროვდა.

**"ფინანსთა სამინისტრო და ფინანსური პოლიცია კომპანია "თელასის" ახალ მეპატრონეს "ეი-ი-ეს"-ის დროინდელ 3,6 მილიონი ლარის ოდენობის დღგ-ს დავალიანებას ედავება. აღნიშნული დავალიანება "თელასს" აღიარებული აქვს, თუმცა ორმხრივი შეთანხმების შედეგად, ვალი შეღავათიანი ვადებითა და პირობებით უნდა გადაეხადა. იგივე შეთანხმების შესაბამისად, "თელასი" საბიუჯეტო ორგანიზაციებს დავალიანებას უვადებდა, რომელიც, დაახლოებით, 5 მლნ ლარს შეადგენს,"** - განმარტავდნენ გუშინ ენერგოკომპანიაში. მათივე განცხადებით, შეთანხმება ძალაში აღარ არის, რადგან იგი უკვე დაირღვა.

# შანსი ქართველი ბიზნესმენებისთვის

### ჩაერთეთ "საქართველო-იტალიის პარტნიორობის პროგრამაში" და მოძებნეთ თქვენი იტალიელი პარტნიორი

*გუშინ, სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" "საქართველო-იტალიის პარტნიორობის პროგრამის" ფარგლებში გამართულ სემინარზე იტალიის მხარემ ქართველ მეწარმეებს მათი პარტნიორობის გეგმა და იტალიელი ინვესტორების პრიორიტეტები გააცნო. პროექტის დახმარებით, ქართულმა საწარმომ, შესაძლოა, მისი პროფილის, ზომის, პერსპექტიულობის და საჭიროებების შესაბამისი იტალიელი პარტნიორი, ინვესტორი, მომწოდებელი ან დისტრიბუტორი მოძებნოს.*

დიანა ჩაჩუა

**"სანამ საქართველოში ელჩად დამნიშნავდნენ, იტალიელ მეწარმეებში საქართველოს რეპუტაცია არც ისე სახარბიელო იყო. 90-იან წლებში საქართველოში ჩამოსული ბევრი იტალიელი მეწარმე იძულებული იყო, თქვენი ქვეყანა დაეტოვებინა. ასე რომ, მე ჩემს თავთან ნაძლევი დავდე, რომ ამ სფეროში სიტუაციას გამოვასწორებდი. სწორედ ეს იყო ჩემი აქ ჩამოსვლის ერთ-ერთი მიზეზი,"** - აცხადებდა გუშინ იტალიის ელჩი საქართველოში ფაბრიციო რომანო "საქართველო-იტალიის პარტნიორობის პროგრამის" ფარგლებში გამართულ სემინარზე.

მიუხედავად იმისა, რომ "საქართველო-იტალიის პარტნიორობის პროგრამა" სულ ცოტა ხნის წინ დაიწყო, პროექტის ორგანიზატორების თქმით, იტალიელმა ბიზნესწრეებმა უკვე დიდი ინტერესი გამოამჟღავნეს საქართველოში არსებული ბიზნესშესაძლებლობების მიმართ.

მაინც რა არის "საქართველო-იტალიის პარტნიორობის პროგრამა"? პროგრამა საქართველოში არსებული საწარმოებისთვის სასურველი იტალიელი პარტნიორების მოძიებას გულისხმობს. ქართველი და იტალიელი ბიზნესმენების დაახლოებას კი საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაცია და ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოში, იტალიის კამპანიის რეგიონის კაზერტას პროვინციის მეწარმეთა კავშირთან ერთად განახორციელებს. პროექტი იტალიის ეკონომიკის სამინისტროს თანადაფინანსებით ხორციელდება.

კაზერტას პროვინცია, რომლის მეწარმეთა კავშირი აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობს, თავისი სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობის გამო, რეგიონში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ქალაქს წარმოადგენს. მსოფლიოში ცნობილი საკონსულტაციო ფირმა KPMG-ს მიერ ჩატარებული მხარის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება-შესწავლის ბოლო მონაცემებით, კაზერტა კაპიტალდაბანდების თვალსაზრისით ევროპის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო რეგიონია.

"საქართველო-იტალიის პარტნიორობის პროგრამის" შედეგად, ქართული საწარმოსთვის შესაძლოა, მათი პროფილის, ზომის, პერსპექტიულობის და საჭიროებების შესაბამისად, იტალიელი პარტნიორი, ინვესტორი, მიმწოდებელი, ან დისტრიბუტორი იქნას მოძიებული. შეიქმნება პროექტის მონაცემთა ბაზა. ინფორმაცია პროექტის ინტერნეტ-გვერდის (www.igepp.com) საშუალებით, სპეციალური პაროლით იქნება ხელმისაწვდომი.

"საქართველო-იტალიის ეკონომიკური თანამშრომლობის პროექტის" კვლევაში მონაწილეობის მსურველ კომპანიებს გუშინ სემინარზე სპეციალური კითხვარი დაურიგდათ.

**"აღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს ქართველი და იტალიელი მეწარმეების დაახლოებას და შემდგომში ერთობლივი პროექტების შექმნას,"** - განაცხადა საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ისაკაძემ. მან ხაზი გაუსვა, რომ იტალიელების მხრიდან უკვე არის დაინტერესება, მათ შორის, საქართველოს ოქროს საწარმოებზე. გიორგი ისაკაძის თქმით, ამ პროექტის ერთ-ერთი ხიბლი ის არის, რომ ის არ არის ლოკალიზებული მხოლოდ თბილისზე. 5 ივლისიდან, პროექტი დედაქალაქს გასცდება და რეგიონებისთვისაც ხელმისაწვდომი გახდება. გიორგი ისაკაძე იმედოვნებს, რომ ოქტომბერში უკვე გამოვლინდება ქართულ-იტალიური საწარმოს შექმნის რეალური ტენდენციები.

აღსანიშნავია, რომ ოქტომბერში, თბილისში საქართველო-იტალიის მეორე ბიზნეს-ფორუმი გაიმართება. ამის შესახებ გუშინ, საქართველოში იტალიის ელჩმა ფაბრიციო რომანომ ოფიციალურად განაცხადა.

# არასამთავრობოები საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შესატანად "იბრძოლებენ"

*მაშინ, როცა საქართველოს ხელისუფლება საგადასახადო კოდექსის გამკაცრებას გეგმავს და აპირებს, მეწარმე არა მხოლოდ 100 ათასი ლარის დამალვისთვის, არამედ - 25-ათასიანი "გადაცდომისთვისაც" დაიჭიროს, არასამთავრობოები დღეს არსებულ კოდექსსაც ლიბერალურობას და სირთულეს უწუნებენ. გუშინ ექვსი არასამთავრობო ორგანიზაციისაგან შედგენილი კოალიცია "სამოქალაქო ინტერესების დაცვის პროგრამის" ფარგლებში სასტუმრო "თბილისი მარიოტში" შეიკრიბა და ახალი საგადასახადო კოდექსი განიხილა.*

შეხვედრას საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა და ეკონომისტთა ასოციაციების წარმომადგენლები და მეწარმეები ესწრებოდნენ.

საგადასახადო კოდექსისადმი პრეტენზიები, უმთავრესად, ადმინისტრირების გართულების, ფაქტობრივად, უმოქმედო ფინანსური ამნისტიის, საქონლის აღიცხვის ჟურნალის დაკანონებისა თუ საბაზრო ფასის ორმაგი ინტერპრეტაციის მისამართით გამოითქვა.

საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის პრეზიდენტის მოადგილის, დავით ნარმანიას განცხადებით, ფინანსთა მინისტრისა და მთავრობის დადგენილებების საფუძველზე 50-ზე მეტი სხვადასხვა სახის ცნობა და ფორმა შემოიღეს. ამან კი ბიუროკრატიის ხარისხი კიდევ უფრო გაზარდა. **"საინტერესოა ის ფაქტიც, რომ რომ თითოეული ქაღალდის საფასურად მეწარმეები 1 ლარამდე იხდიან,"** - აღნიშნა ნარმანიამ.

მისივე განცხადებით, ფედერაციის ძალისხმევის მიუხედავად, დღემდე ვერ მოიპოვეს ინფორმაცია იმ მეწარმეთა რაოდენობის შესახებ, რომელთაც ფინანსური ამნისტიით ისარგებლეს. ბიზნესმენთა ფედერაციაში აცხადებენ, რომ შესაბამისი სამსახურები არც ამ მიმართულებით ბიუჯეტში მოზიდული თანხების მოცულობაზე აწვდიან ინფორმაციას.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა თამბაქოზე აქციზის განაკვეთის ზრდის უარყოფით შედეგებს. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, არნახულად გაიზარდა კონტრაბანდის მასშტაბები, ხოლო ადგილობრივი წარმოება სრულიად ჩაკვდა.

არასამთავრობო ორგანიზაციები საგადასახადო კოდექსში ცვლილების მისაღწევად ერთობლივად მოქმედებას გეგმავენ.

*24 საათი*

# დამნაშავეთა სამყაროს მოჭიდავეებიც შეემატნენ

*გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომლებმა თბილისში, იპოდრომის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი, საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების წევრი, საქართველოს შვიდგზის ფალავანი ალექსანდრე დავითაშვილი, საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების ყოფილი წევრი გიორგი რევაზიშვილი და ალექსანდრე დავითაშვილისი ძმა დავით დავითაშვილი. სპეცოპერაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მიერ იყო ორგანიზებული და მას თავად დეპარტამენტის დირექტორი ირაკლი კოდუა ხელმძღვანელობდა.*





*წინასწარი ინფორმაციით, ალექსანდრე დავითაშვილს და გიორგი რევაზიშვილს ბრალი ფულის გამოძალვაში წარედგინებათ.*

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები იპოდრომის ტერიტორიაზე, დაახლოებით, პირველ საათზე გამოჩნდნენ, თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ოპერაცია შედარებით ადრე იყო დაგეგმილი. შს სამინისტროს პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ფარული ჩანაწერით, ცნობილი მოჭიდავეები იპოდრომის ტერიტორიაზე საბერძნეთის მოქალაქეს გივი იორდანოვს შეხვდნენ. ჩანაწერიდანვე ჩანს, რომ იორდანოვს რევაზიშვილისა და დავითაშვილისთვის წინასწარ შეთანხმებული თანხა რამდენიმე დღეში უნდა მიეტანა. მართალია, გაცილებით ადრე ჩაწერილი ფარული გადაღებით და ფარული სატელეფონო მოსმენითაც ირკვევა, რომ, შესაძლოა, იორდანოვმა იცოდა, რისთვისაც უნდა მიეცა მოჭიდავეებისთვის ფული, მაგრამ შეხვედრის დასრულების შემდეგ იგი ხმამაღლა იმეორებს: **"რისთვის ვიხდი ამ ფულს, ეს მაინც მითხარით, არაფერი ვიცი".**

წინასწარი ინფორმაციით, ალექსანდრე დავითაშვილს და გიორგი რევაზიშვილს ბრალი ფულის გამოძალვაში წარედგინებათ. შს სამინისტროს ცნობით, ისინი საბერძნეთის მოქალაქეს 8 ათას დოლარს სძალავდნენ. როგორც შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, სატელეფონო საუბრებში დავითაშვილის და რევაზიშვილის მხრიდან იორდანოვის მიმართ პირდაპირი მუქარაა დაფიქსირებული, რაც შესაძლოა, ახალი ბრალდების საფუძველიც გახდეს.

ჩაწერილ საუბარში იქნებ მართლაც არის მუქარა, მაგრამ რა თანხაზეა საუბარი? ცნობილი მოჭიდავეების ახლობლების განმარტებით, გივი იორდანოვს დავითაშვილის ვალი ჰქონდა, რომელსაც არ უბრუნებდა, ამიტომ, ამ შემთხვევაში, დანაშაულზე საუბარი ზედმეტია. სხვათა შორის, ფარულ სატელეფონო ჩანაწერში, როდესაც იორდანოვს დავითაშვილი და რევაზიშვილი ელაპარაკებიან, საბერძნეთის მოქალაქე ფულის დაბრუნებას არ აპროტესტებს - მეტიც, იგი თანხის მისაცემად მოჭიდავეებს გარკვეულ დროს სთხოვს.

ერთი სიტყვით, ცნობილი ქართველი მოჭიდავეების დაპატიმრებამ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა უკვე გამოიწვია. ერთსაათიანი სპეცოპერაციის შემდეგ ცნობილ მოჭიდავეებთან ერთად სამართალდამცველებმა ალექსანდრე დავითაშვილის ძმა დავით დავითაშვილიც დააკავეს, რომელსაც სამართალდამცველებმა პოლიციის ყალბი საბუთი აღმოუჩინეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობასთან საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის ხელმძღვანელის ალექსანდრე დავითაშვილის მხარდასაჭერად გუშინ სპორტსმენები შეიკრიბნენ. მათ დანაშაულებრივ ქმედებებში დავითაშვილის შესაძლო მონაწილეობა გამორიცხეს.

*24 საათი*

# ახალი დეტალები ლევან კალაძის ოჯახისთვის ფულის გამომძალველებზე

*ცნობილი ფეხბურთელის კახი კალაძის ძმის ლევან კალაძის გატაცებასთან დაკავშირებით ყველაფერი უცვლელია - ანუ ქართველ სამართალდამცველებს, მიუხედავად ბოლო პერიოდში რამდენჯერმე გაკეთებული სკანდალური განცხადებისა, რეალურად სათქმელი არაფერი აქვთ. დღემდე უცნობია ლევან კალაძის ადგილ-სამყოფელი; უცნობია, ცოცხალია თუ არა იგი.*

თამარ კაციტაძე

სამაგიეროდ, ძალოვანი უწყებების მიმართ პრეტენზია გაუჩნდათ იმ საქმის ადვოკატებს, რომლებიც კალაძის საქმის ერთი დეტალისთვის, კერძოდ, თანხის გამოძალვისთვის დაკავებულებს იცავენ. დაახლოებით, ოთხი თვის წინ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა ორი პიროვნების დაკავებასთან დაკავშირებით ინფორმაცია გაავრცელა. საუბარი იყო ლევან კალაძის მამისთვის კარლო კალაძისთვის 20 ათასი დოლარის გამოძალვაზე, რის სანაცვლოდაც, მას შვილთან დაკავშირებით გარკვეული ინფორმაცია უნდა მიეღო. მაშინ პოლიციამ ქარელში მცხოვრები იური ნოზაძე და გიორგი გონგლაძე დააკავა, დამატებით ინფორმაციის გავრცელებაზე კი უარი განაცხადა.

აღნიშნული საქმის დეტალები გუშინ არასამთავრობო ორგანიზაციის, "კავშირი კონსტიტუციის 42-ე მუხლი", მიერ გამართულ პრესკონფერენციაზე ადვოკატმა დიმიტრი ხაჩიძემ გაავრცელა, რომელიც გიორგი გონგლაძის ინტერესებს იცავს.

დიმირტი ხაჩიძის განცხადებით, მიმდინარე წლის 27 მარტს კარლო კალაძის ოჯახში უცნობმა პიროვნებამ დარეკა და კარლო კალაძეს უთხრა, რომ მას ჰქონდა დაზუსტებული ინფორმაცია ლევან კალაძის ადგილსამყოფელის შესახებ. ინფორმატორთა მოთხოვნებისა და დამატებითი დეტალების გასარკვევად კი კარლო კალაძე უნდა მისულიყო მცხეთის გზაზე მდებარე გრიბოედოვის ძეგლთან და ენახა იქ დატოვებული წერილი. წერილში ინფორმატორები, ინფორმაციის სანაცვლოდ, 20 ათას დოლარს ითხოვდნენ, პასუხი კარლო კალაძეს უნდა მიეტანა ქარელის რაიონის სოფ. მოხისში მდებარე რკინიგზის ბაქნის მოპირდაპირე მხარეს.

გატაცებულის მამამ მომხდარი პოლიციას შეატყობინა და სპეცოპერაციაც დაიგეგმა. ოპერაციის შედეგად დათქმულ ადგილზე დააკავეს იური ნოზაძე და გიორგი გონგლაძე. დაკითხვისას გაირკვა, რომ დაკავებულებმა ლევან კალაძის ადგილსამყოფელის შესახებ არაფერი იცოდნენ. როგორც იური ნოზაძემ ჩვენებაში აღიარა, მას მხოლოდ თანხის გამოძალვა სურდა.

**"ძიების ეტაპზევე გამოიკვეთა, რომ ამ დანაშაულთან არანაირი შეხება არ ჰქონდა გიორგი გონგლაძეს, რომელიც იური ნოზაძის ნათესავია და დანაშაულის ჩადენის ადგილას სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა. ნოზაძემ მას გაყოლა სთხოვა, ისე, რომ სად და რისთვის მიდიოდა, არ დაუზუსტებია. ამას იგი ჩვენებაშიც ადასტურებს",** - აღნიშნა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გონგლაძის ადვოკატმა ხაჩიძემ.

ადვოკატის მტკიცებით, მიუხედავად იმისა, რომ გონგლაძემ დანაშაულის შესახებ არაფერი იცოდა, რასაც გამოძიებაც მიხვდა, მას ნოზაძესთან ერთად ბრალი თაღლითობის მუხლით წარუდგინეს. ადვოკატი, ერთი მხრივ, მიიჩნევს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი უდანაშაულოდ არის დაკავებული და უკანონო პატიმარი დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლონ; და მეორეც - იგი გამოძიების მხრიდან დაშვებულ ლაფსუსებზეც საუბრობს.

**"გამოძიებას დაავიწყდა, რომ თაღლითობა არის სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით ან მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებით და დამთავრებულად ითვლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დამნაშავე დაეუფლება ნივთს და მისი განკარგვის შესაძლებლობა ექნება,** - განაცხადა დიმიტრი ხაჩიძემ და დასძინა, - **გამოძიებას ერთმანეთში აერია თაღლითობა და გამოძალვა, რომელიც მოთხოვნის წაყენების მომენტიდან ითვლება დამთავრებულად. კონკრეტულ შემთხვევაში, ქმედება მხოლოდ მას შემდეგ ჩაითვლებოდა დამთავრებულად, თუ დაზარალებული კარლო კალაძე გადაუხდიდა მათ მოთხოვნილ თანხას. ასე რომ, ქმედება არ უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც დამთავრებული დანაშაული".**

ადვოკატი დიმიტრი ხაჩიძე მიიჩნევს, რომ გონგლაძის დაკავება მოხდა კანონის უხეში დარღვევით - დაკავების ოქმში არაა მითითებული, რა საფუძვლით ან რა ვითარებაში დააკავეს გონგლაძე, სად შედგა დაკავების ოქმი. საქმეში არსებული არც ერთი მტკიცებულება ირიბადაც კი არ მიუთითებს, რომ აღნიშნული დანაშაული ჩადენილია გიორგი გონგლაძის მიერ - პირიქით, წინასწარი გამოძიების მიერ ჩატარებული გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნაში გარკვევითაა მითითებული, რომ წერილი შესრულებულია არა გონგლაძის, არამედ იური ნოზაძის მიერ.

**"ბოლოს, გამოძიების კიდევ ერთი კურიოზი - დღეისთვის პატიმრობაში იმყოფება არა იური ნოზაძე, რომელიც არ უარყოფს, რომ უშუალოდ მან დაგეგმა და შეასრულა დანაშაული, არამედ გიორგი გონგლაძე, რომელსაც წარმოდგენაც არ ჰქონდა ნოზაძის თაღლითური გეგმების შესახებ. საინტერესოა, რისთვის სჭირდება გამოძიებას უკანონო პატიმრები"?** - ასეთი კითხვით დაასრულა პრესკონფერენცია ადვოკატმა.

# საგადასახადო სამსახურში სპეცოპერაციებს კიდევ ელიან

*ქრთამის აღების ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა გუშინ საგადასახადო სამსახურის ექვსი მაღალჩინოსანი, თითქმის, ერთდროულად დააკავეს. თუმცა, მოგვიანებით საგადასახადო სამსახურის ეჭვმიტანილ თანამშრომელთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. მათი აყვანა ერთდროულად განხორციელდა ბათუმში, თბილისსა და კასპში.*

დაკავებულთა ვინაობა გუშინ მთელი დღის განმავლობაში გასაიდუმლოებული იყო. მომხდართან დაკავშირებით სამართალდამცველები არანაირ კომენტარს არ აკეთებდნენ. ცნობილი იყო მხოლოდ ის, რომ დაკავებულებმა, ქრთამის სახით, 150 ათსი ლარი აიღეს. დღის ბოლოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ზოგიერთი დაკავებულის ვინაობა დაასახელა: ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის კონტროლის უფროსი თენგიზ გაბელია, ქალაქ თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოადგილე გიორგი კიკალიშვილი, ლევან ნიკოლეიშვილი, ლევან მაღრაძე და სხვა თანამდებობის პირები.

ოფიციალური ინფორმაციით, 2005 წლის 1 ივნისს შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტში ინდივიდუალური მეწარმის განცხადება შევიდა, რომლის მიხედვითაც, ირკვეოდა, რომ საგადასახადო დეპარტამენტის რამდენიმე მუშაკი მას, საგადასახადო შემოწმების აქტის შედგენისა და საწარმოს ლიკვიდაციაში დახმარების სანაცვლოდ, ქრთამის სახით, 150 ათას ლარს სთხოვდა. იმავე დღეს შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტში ამ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. გამოძიებით ირკვევა, რომ თბილისის საგადასახადო ინსპექციის მთავარი საგადასახადო ინსპექტორების მიერ შედგენილი 2004 წლის 31 დეკემბრის შემოწმების შუალედური აქტით, ინდივიდუალურ მეწარმეს, ბიუჯეტის სასარგებლოდ, 3 მილიონი ლარის გადახდა დაეკისრა. 2005 წლის მაისის ბოლოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის კონტროლის უფროსმა თენგიზ გაბელიამ, ქრთამის სახით, 150 ათასი ლარი მოითხოვა, რის სანაცვლოდაც, ინდმეწარმეს დაჰპირდა, რომ საწარმოს ლიკვიდაციას მოახდენდა, რითაც მეწარმე თავიდან აიცილებდა ბიუჯეტის სასარგებლოდ 3 მილიონი ლარის გადახდას.



*სპეცოპერაციის დროს ამოღებული 150 ათასი ლარი.*

ოფიციალური ინფორმაციითვე, პირობის თანახმად, 2005 წლის 17 ივნისს თენგიზ გაბელიამ 20 ათასი ლარი აიღო, ხოლო 28 ივნისს რესტორან "იმერეთში", სადაც გაბელია მოქალაქე ლევან მაღრაძესთან ერთად იმყოფებოდა, მას 130 ათასი ლარი გადაეცა.

**"ამჟამად აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დაკავებულია 10-მდე პირი. საქმეზე ისევ მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები, როგორიცაა - ჩხრეკა, ამოღებები და ოთახების დალუქვა. დანაშაულში მონაწილე სხვა მაღალი თანამდებობის პირების დადგენისა და მათი პასუხისგებაში მიცემის მიზნით, მიმდინარეობს ოპერატიული მუშაობა. დაკავებულები გამოძიებასთან აქტიურად თანამშრომლობენ",** - ასეთი გახლავთ შინაგან საქმეთა მინისტრისა და გენერალური პროკურორის ერთობლივი ინფორმაცია.

**"ეს გახლავთ ქრთამის აღების უპრეცედენტო შემთხვევა, თუმცა - არა ერთადერთი. საგადასახადო სამსახურში ბევრი მსგავსი დანაშაული ხდება",** - აცხადებენ ვანო მერაბიშვილი და ზურაბ ადეიშვილი. მათივე თქმით, უახლოეს ხანში საგადასახადოს თანამშრომელთა მიერ ჩადენილი სხვა დანაშაულებიც გამოაშკარავდება და, შესაბამისად, დაკავებულთა და მათ მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობაც გაიზრდება.

*24 საათი*

# პროტესტი კოლონიის სახურავიდან

რუსთავის N1 კოლონიაში გუშინ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობა იყო მობილიზებული. კოლონიის ტერიტორიაზე მშენებარე კორპუსის სახურავზე მყოფი ერთ-ერთი მსჯავრდებული კორპუსის სახურავიდან აპირებდა გადმოხტომას. როგორც გაირკვა, პატიმარი იარაღის უკანონოდ შენახვის ბრალდებით გასამართლებული ვალერი შულკოვი გახლდათ. შულკოვი ასეთი საქციელით მასზე განხორციელებული ფიზიკური ზეწოლის ფაქტს აპროტესტებდა. პატიმრის განმარტებით, თვითმკვლელობის მცდელობის საბაბი გახდა კოლონიის უფროსი ნიკა კვანტალიანი, რომელმაც მას უმიზეზოდ სცემა. მშენებარე შენობის სახურავიდან ჩამოყვანილი პატიმრის განცხადებებთან დაკავშირებით გუშინ მთელი დღის განმავლობაში კომენტარებს აკეთებდნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელები. N1 საპყრობილის უფროსმა ნიკოლოზ კვანტალიანმა პატიმრის საქციელი ასე ახსნა:

**"მას საჯარიმო იზოლატორში მოთავსება არ სურდა და ამის გამო ავიდა სახურავზე, ვითომ აპირებდა თვითლიკვიდაციას, მაგრამ თვითონვე ჩავიდა საჯარიმო იზოლატორში".**

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის შოთა კოპაძის თქმით კი, პატიმარი კოლონიაში ცივ იარაღს ამზადებდა, რის გამოც, ის სხვა დაწესებულებაში უნდა გადაეყვანათ.

**"წინა დღეს კოლონიაში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად მისი საკნიდან ამოღებულია კუსტარული წესით დამზადებული დიდი რაოდენობით სხვადასხვა სახის აკრძალული, თვითნაკეთი ცივი იარაღი. ჩხრეკისას პატიმარზე ფიზიკური ზემოქმედება არ ყოფილა, არანაირ ცემის ფაქტს ადგილი არ ჰქონია. მას თავის მოკვლის სურვილი რომ ჰქონოდა, დამერწმუნებით, რომ ამის მოხერხებას შეძლებდა",** - ასე ხსნის შოთა კოპაძე მომხდარს.

ინციდენტის ამოწურვის შემდეგ გავრცელებული ინფორმაცია თვითმკვლელობის მცდელობის თაობაზე უარყო თავად მსჯავრდებულმაც. მან პროტესტის მიზეზად კოლონიაში არსებული მკაცრი პირობები დაასახელა.

გუშინდელ ფაქტზე მოკვლევას აწარმოებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შიდა მოკვლევის სამსახური. სამართალდამცავები ცდილობენ, გაარკვიონ, როგორ შეძლო პატიმარმა კოლონიის ტერიტორიაზე მდებარე მშენებარე სამსართულიანი შენობის სახურავზე ასვლა უპრობლემოდ.

*24 საათი*

## მოკლედ

### N7 საპყრობილის დირექტორის მოადგილე პატიმრობაში დატოვეს

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის N7 საპყრობილის დირექტორის მოადგილე დავით ვარდოსანიძე, თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, წინასწარ სამთვიან პატიმრობაში დარჩა. სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 20 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და თავისუფლების უკანონო აღკვეთაში ბრალდებულ ვარდოსანიძეს აღმკვეთი ღონისძიება შეეფარდა. ვარდოსანიძე საპყრობილეში მომხდარი ინციდენტის გამო აღძრულ საქმეზე 18 ივნისს დააკავეს. შემთხვევა სახალხო დამცველის აპარატის თამაშრომლის გიორგი ონიანის საპყრობილეში შესვლასა და იქ ფარულ ვიდეოგადაღებას უკავშირდება. ონიანს გადაღებული ვიდეომასალის საპყრობილიდან გატანისას შეექმნა პრობლემა და საპყრობილის ადმინისტრაციას დაუპირისპირდა. მას 2 საათის განმავლობაში საპყრობილიდან არ უშვებდნენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

### "ჯარისკაცთა დაღუპვის ფაქტები სერიოზული მსჯელობის საგანი უნდა გახდეს"

"დახურულ სამხედრო სისტემაში - სამხედრო, სასაზღვრო და სარეზერვო ნაწილებში - ჯერ კიდევ დაუდგენელი მიზეზებით მომხდარი თვითმკვლელობები და ადამიანთა დაღუპვის ფაქტები უკვე საგანგაშო ციფრს უახლოვდება. ეს ყოველივე სერიოზული მსჯელობის საგანი უნდა გახდეს", - აცხადებს სამედიცინო ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი. 2005 წლის აპრილის შემდეგ ქართულ ჯარში ჯარისკაცთა სიკვდილიანობის მეხუთე შემთხვევა დაფიქსირდა, მათ შორის - ოთხს თვითმკვლელობის კვალიფიკაცია მიენიჭა, ხოლო ერთ-ერთი ჯარისკაცი გართულებული ფილტვების ანთებით დაიღუპა. მაია ნიკოლეიშვილი, როგორც თავად აცხადებს, აპირებს მიმართოს საქართველოს თავდაცვის მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს, რათა დაარწმუნოს იგი, რომ ჯარზე საზოგადოებრივი კონტროლის დაწესება აუცილებელია. "ანალოგიური წინადადებით მივმართავ საზღვრის დაცვის დეპარტამენტსაც. გახდება თუ არა ჯარისკაცთა თვითმკვლელობების სერია საზოგადოებრივი მსჯელობის საგანი, ეს მათ კეთილ ნებაზე იქნება დამოკიდებული", - აცხადებს მაია ნიკოლეიშვილი. **მედიანიუსი**

### საზღვაო ძალების სარდლის მოადგილის მანქანაში მსხდომ პირებს ნარკოტიკები აღმოუჩინეს

ხობის რაიონის სოფელ ხეთაში სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო და საპატრულო პოლიციამ, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, "ვილისის" მარკის ავტომობილი დააკავა. მანქანა საზღვაო ძალების სარდლის მოადგილეს კობა ღურწკაიას ეკუთვნის. ავტომანქანას ღურწკაიას მძღოლი ვიტალი ხიზანიშვილი მართავდა. მის გარდა, მანქანაში ორი პიროვნება - სერგო ყუფარაძე და გიორგი ალანიაც ისხდნენ. მათ სამართალდამცავებს წინააღმდეგობა გაუწიეს, რის გამოც, პოლიცია იძულებული გახდა, იარაღი გამოეყენებინა.

ვიტალი ხიზანიშვილი აყვანისას მსუბუქად დაიჭრა. ჩხრეკისას მათ გასაყიდად მომზადებული დაფასოებული ნარკოტიკული ნივთიერება აღმოუჩინეს. საქმე გამოსაძიებლად სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო შს სამმართველოს გადაეცემა. **ჯი-ეიჩ-ენი**


**უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი**

________________________________________

**ა ნ კ ე ტ ა**

**სახელი, გვარი**......................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**......................................

**საკონტაქტო ტელეფონი**......................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" [illegible];
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური [illegible];
6. მეტროს სადგური [illegible];
7. მეტროს სადგური [illegible];
[illegible]
8. მეტროს სადგური [illegible];
9. მეტროს სადგური [illegible];
10. ვაჟა-ფშაველას 45 [illegible] შენობის [illegible] სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: [illegible] თბილისი, წერეთლის გამზ. 77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

გურამ ოდიშარიას სვეტი

## გასაუბრება 1998-2004 წლების დღიურთან

გაგრძელება

* არის სიმართლე, რომელსაც ძალიან ადვილად შეუძლია ქვეყნის დაღუპვა. ხშირად ასეთი სიმართლეები იწყებენ და ვერ ამთავრებენ ომებს. ასეთი "სიმართლეების" ავტორები თანამედროვე პოლიტგენეტიკოსებია.

* 1920 წელს "ნიუ-იორკ თაიმსში" დაიბეჭდა წერილი იმის შესახებ, რომ მთვარეზე გაფრენა შესაძლებელია, რომ ფიზიკის კანონები იძლევა ამის საშუალებას. წერილი სისულელედ მონათლეს, მერე კი მთვარეზე მართლაც გაისეირნეს ადამიანებმა. დღეს იწერება წერილები იმის თაობაზე, რომ დროში მოგზაურობა შესაძლებელია, რომ ამის საშუალებას ფიზიკის კანონები იძლევა. ამ წერილებსაც სისულელედ ნათლავენ.

* ძალიან გვჭირდება, მაგრამ არა გვაქვს სხვადასხვა პროექტის სამონიტორინგო ხელსაწყო, სახელმწიფო - რეზულტატმზომები.

* დანაშაული ყველაფრის პოლიტიზება, მაგალითად, თუნდაც ღორიული ლექსების კრებულისა.

* სახლი - ეს არის ერთ-ერთი პირველი, რომელსაც ბავშვები ხატავენ. "სახლი" - ეს არის ერთ-ერთი პირველი სიტყვა, რომლითაც ბავშვები უცხო ენის შესწავლას იწყებენ. "უსახლკარო" - ეს ყველაზე უბედური ადამიანის სინონიმია.

* ერთ-ერთ შეხვედრაზე ჩემი სტუდენტობის დროინდელი მეგობარი, სოხუმელი აფხაზი ქალბატონი მეუბნება - "შენ ქართველი მწერალი ხარ. მაგრამ შენ ხომ სოხუმელი მწერალიც ხარ. არ დაივიწყო ეს". რაც დრო გადის, ხშირად მახსენდება მისი სიტყვები.

* ჩვენ ერთმანეთის მამული რგოლები ვართ, [illegible] ერთმანეთს მხარი სიტყვებით, თორემ ყველანი ერთად ჩავიძირებით.

* აკაკი წერეთელს აქვს ვრცელი ლექსი "ღამურა", რომელშიც მოთხრობილია: ერთმა თაგუნამ ფრინველობა ინატრა. ღმერთმა შეუსრულა ოცნება და ფრთები შეასხა, მაგრამ ფრთოსანი თაგვი არც ფრინველებმა მიიღეს და არც თაგვებმა. სამწუხაროდ, ჩვენმა საზოგადოებამ, სხვადასხვა მიზეზების გამო, მრავალ ადამიანს, განსაკუთრებით კონფლიქტის შემდეგ, ღამურის ადგილი მიაკუთვნა.

* როდესაც მშვიდობის მაჩუ-პიკჩუს აგების თაობაზე [illegible] ქვები დაუგროვებიათ, [illegible] ქვებს "დაღლილ ქვებს" უწოდებდნენ და ეცოდებოდათ კიდეც.

* სართოდ, დიდ თევზებს პატარა თევზებით იჭერენ, დღეს ზოგჯერ - ხელოვნურით. სართოდ, "დიდ კაცებსაც" პატარა ადამიანები იჭერენ, ხანდახან კიდევ - ხელოვნური ადამიანებით. არიან ასეთებიც.

* კონფლიქტის დიაგნოსტიკა და თერაპია ბევრადაა დამოკიდებული მოლაპარაკეებზე და პირველი შეხვედრების პოზიციაზე.

* მიმდინარეობს ქართული [illegible] - ქართულად [illegible] სამშობლოს უხრეხებება.

* ისტორია, თავისი არსებობის ნებისმიერ დროს, პოლიტიზებული იყო.

* ბევრს გვავიწყდება, რომ თბილისი საქართველოს მეორე სახელი კი არა, მისი ერთ-ერთი რგოლია.

* მშვიდობა ბავშვის ნაბიჯებით დაიარება ამ ქვეყანაზე, ომი ურჩხულის ნაბიჯებით დაბოგინობს.

* კომპიუტერი ცივილიზაციის ყინულოვან ოკეანეში ჩაიძირა ძველი სამყაროს "ტიტანიკი".

* ზოგჯერ ადამიანები ადვილად ემორჩილებიან ხან გიჟებს და ხანაც გარეწრებს; [illegible]

* საინტერესო ესპანელი გავიცანი - მან დონ-კიხოტის შესახებ ყველაფერი იცის, მხოლოდ დონ-კიხოტის დროინდელ ესპანეთ მეფეზე და მის პოლიტიკაზე - არაფერი.

* როგორ ღირსეულად ჟღერს "Prodeo Larratus" ("ხელმოფარებული მივიწევ წინ"). როგორი ტრაგიკული და პოეტური - "კამიკაძე" ("ღვთიური ქარი").

* ოზონის ხვრელის გაფართოებასთან ერთად ფართოვდება კაცობრიობის უფსკრული, [illegible]

* ტელევიზიით აჩვენებენ ერთ ძველ რესტორანს. დიქტორი: ამ რესტორანს სხვადასხვა დროს სტუმრობდნენ ცნობილი ადამიანები: კენედი, ეიზენჰაუერი, ჩერჩილი, ლევინსკი... [illegible]

* მეგობარი ოსი ქალბატონი მიყვება, სნაიპერის ტყვიამ ცხინვალში, კონფლიქტის დროს [illegible] არა მგონია, სნაიპერს ჩემი მოკვლა უნდოდა, - მეუბნება იგი, ალბათ, მეხუმრებოდა, ეს ალბათ, სნაიპერის ფლირტი იყო.

წარმოუდგენელია, სნაიპერის ასეთი იუველირული პროფესიონალიზმი. და თუნდაც ეს ასე ყოფილიყო, კიდევ უფრო წარმოუდგენელია, სნაიპერის უგვანობა, რომელიც ასე ეფლირტავება ლამაზ ქალს.

* საზოგადოება, რომელიც დიდხანს ითმენს სახელმწიფო უსამართლობას, უზნეო ხდება.

* ჩვენ ვცხოვრობთ პოსტკონფლიქტური კონფლიქტების კონფლიქტურ პერიოდში.

* საზოგადოება დღეს ენდობა არტისტს, რომელიც განასახიერებს გმირს და არ ენდობა თავად გმირს.

* ამერიკიდან დაგვიბრუნდა რამდენიმე საუკუნის წინათ იქ გადასახლებული ევროპა, სხვაგვარად განათლებული და განვითარებული. მოკლედ, ნაბოლარა ძე მობრუნდა და ოჯახში თავისი ახალი წესები შემოაქვს. ჩვენც მას ისევე ვხვდებით, როგორც მამა დახვდა ძე შეცდომილს.

* თუ საქმე გულწრფელად არ კეთდება, იმ საქმეს ღმერთი არ მფარველობს.

* შეხვედრებისა და ურთიერთობისას იკვეთება ქვეყნიერებისათვის ადრე უცნობი, ახალი, საერთო სამშობლოს კონტურები.

* ხანდახან, მეგობრებთან საუბრისას ვგრძნობ, როგორ თანამონაწილეობენ ჩვენს სივრცეში უცნობი, უხილავი ადამიანები. ზოგი მათგანი გარდაცვლილია, ზოგიც - ცოცხალი.

* რაც უნდა უიმედო იყოს დიალოგი, მაინც არ მივატოვოთ. ეს მძიმე ავადმყოფის მიტოვებას უდრის.

* აი, ადამიანი სსრკ-ს მუზეუმიდან.

გაგრძელება იქნება

გადარჩენილი ფოტოები

## მენატრები!



სოხუმი, 1984 წელი. მარცხნიდან: ნაირა ფილია, ნათელა ბერიკაშვილი, ტოლიკ შონია.

**პროექტი "თქვენი აფხაზეთი"**
ჩვენი პოვნა შეგიძლიათ: გაზეთი **"24 საათი"**, ყოველ ოთხშაბათს საქართველოს რადიო, პირველი არხი, **FM 102,4 10სთ და 25 წთ-დან, ყოველ ორშაბათს**

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

# რას მოგვიტანს "კარგი"?!

*საქართველოს რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის სავარაუდო აღდგენის პროექტმა შეფასება - "კარგი" თითქმის ყველასგან დაიმსახურა, მაგრამ იგივე შემფასებლებისგან იმდენი კითხვა დაისვა, რომ ეს ერთი მაღალი შეფასების არსებობა გაუგებარი გახდა. სწორედ ასეთი ვითარება გამოიკვეთა მამუკა ყუფარაძის მიერ "სტუდია რე"-ში გამართული მორიგი დიალოგის დროს, რომელსაც ესწრებოდნენ აფხაზეთის მთავრობის მეთაურის მოადგილე მანუჩარ ახალაია, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გია გვაზავა, დეპუტატი ჯემალ გამახარია, იურისტი დავით უსუფაშვილი, პარლამენტარი კახა კუკავა, სოხუმის უნივერსიტეტის პრორექტორი თემურ ჩილაჩავა და დიალოგის ახალგაზრდა მონაწილეები.*

ზაზა ფაჩაშვილი

რკინიგზის სავარაუდო აღდგენის პროექტმა ქართველი და აფხაზი ხალხი ერთნაირად ააფორიაქა, რისი მიზეზი სრული გაურკვევლობაა. დანამდვილებით ვერავინ ამბობს, რას მოუტანს რკინიგზა ურთიერთუნდობლობით გატანჯულ ამ ორ ერს. რკინიგზის აღდგენის მომხრე არასამთავრობოებს მიაჩნიათ, რომ ეს მოვლენა ხელს შეუწყობს გათიშული მხარეების ურთიერთინტეგრაციას. ისინი პროექტის ჩავარდნის შესაძლებლობასაც აღიარებენ, მაგრამ მიაჩნიათ, რომ ქართულ მხარეს ამის არ უნდა ეშინოდეს, ვინაიდან რკინიგზის გადაკეტვის ბერკეტი მის ხელში იქნება.

მოწინააღმდეგენი კი პირდაპირ აცხადებენ, რომ საქართველოს კონტროლის მექანიზმს რეალურად არავინ დაუთმობს და რკინიგზის აღდგენით აფხაზეთი საბოლოოდ დაიკარგება.

ოფიციალური ხელისუფლების კომენტარი, ჩვეულებისამებრ, ოფიციალურ აბდაუბდას წარმოადგენს და რაიმე კონკრეტული დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, ჯერჯერობით, არ იძლევა. ერთადერთი, რაც ამთავითვე ნათელია, რუსეთისა და სომხეთის მომგებიანი პოზიციაა; მაგრამ ამით ჩვენ და აფხაზებს რა?!

ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში უფრო მეტი კითხვა ჩნდება, ვიდრე პასუხი.

**გია გვაზავა:** "რკინიგზის გახსნა კარგია, მაგრამ არის მეორე მხარეც - რას მოიგებს ამით საქართველო? სად იქნება ქართული საბაჟო? ვინ გააკონტროლებს ხაზს? რა შუაშია რკინიგზის გახსნა და გალში დევნილების დაბრუნება, როცა იქ ხალხი, ასე თუ ისე, ისედაც ბრუნდება?"

**დავით უსუფაშვილი:** "მე მგონია, რომ რკინიგზის გახსნა პოლიტიკურად და ეკონომიკურად თავისთავად კარგია, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველაფერი კარგად შესრულდება. მიმაჩნია, რომ ქართველი ბიზნესმენები გააქტიურდებიან და ქვეყანაში გარკვეული ეკონომიკური შემოსავალი იქნება. თუ აფხაზებიც იხეირებენ, ძალიან გამიხარდება, ვინაიდან ისინი სხვა ეკონომიკური პროექტებითაც დაინტერესდებიან. ეს კი ინტეგრაციისთვის ძალიან კარგი იქნება."



დიალოგი "სტუდია რე"-ში.

ზაზა ფაჩაშვილის ფოტო

**კახა კუკავა:** "კი, მაგრამ ამ ხელისუფლებისგან კარგად დაგეგმილი ცოტა რამ გვინახავს და ამ შემთხვევაში გაკეთდება ყველაფერი სწორად? მართლაც ვის ხელში იქნება ადმინისტრირება? ვინ გააკონტროლებს საბაჟოს და ტვირთს? გაუგებარია, რა პოლიტიკურ დივიდენდებს მიიღებს საქართველო?"

**ჯემალ გამახარია:** "საბაჟო უნდა იყოს ფსოუზე, ადმინისტრირება უნდა იყოს საქართველოს რკინიგზის ხელში და უნდა დაიწყოს დევნილების დაბრუნება. ამ შემთხვევაში რკინიგზის აღდგენა ჩემთვის მისაღები იქნებოდა, მაგრამ ჯერ გადაწყვეტილი არაფერია. შეთანხმებაა მხოლოდ იმაზე, რომ მხარეები დიალოგისთვის მზად არიან."

**თემურ ჩილაჩავა:** "რკინიგზის გახსნით ეკონომიკურად იხეირებს რუსეთი და სომხეთი, ნაწილობრივ - საქართველო, მაგრამ არა მგონია, რომ ამით ქართველ და აფხაზ ხალხს ფსიქოლოგიური ბარიერი მოეხსნას."

**მანუჩარ ახალაია:** "თავისთავად, რკინიგზის გახსნა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ მართლაც უამრავი დეტალია გასათვალისწინებელი და საქართველოს ხელისუფლება ამისათვის ყველაფერს გააკეთებს. ვერ დავეთანხმები იმათ, ვინც ამთავითვე პესიმისტურ დასკვნებს აკეთებს და შევახსენებ, რომ ჯერჯერობით მხოლოდ მოლაპარაკების პროცესი დაიწყო. გარწმუნებთ, რომ ამ პროცესში ჩვენი ხელისუფლება დამკვირვებლის როლში არ იქნება და ყველა დეტალს გაითვალისწინებს".

რკინიგზის შესახებ მოლაპარაკებები ივნისის დასაწყისში განახლდება.

თვალსაზრისი

# მოლაპარაკებათა პროცესს ახალი მიდგომები სჭირდება

რომან სახვაძე

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მხრიდან საგრძნობლად გაიზარდა ინტერესი ე.წ. გაყინული კონფლიქტების მოგვარების საკითხის მიმართ. შესაბამისად, გაიზარდა დაინტერესება აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებისადმიც. ნიშანდობლივია, რომ რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ, საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით, განახლდა პირდაპირი, ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებები. თუმცა, ადრინდელის მსგავსად, აფხაზური მხარე მოლაპარაკების პროცესში აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ნებისმიერი რანგის წარმომადგენლის მონაწილეობას აპროტესტებს.

სწორედ ამ ფაქტორის გამო პრაქტიკულად ჩაშლის საშიშროების წინაშე იდგა 7-8 აპრილს ჟენევაში გამართული მოლაპარაკებები - აფხაზურმა მხარემ დელეგაციაში აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის თავმჯდომარის ყოფნა გააპროტესტა. საბოლოოდ, იმ არგუმენტის მოშველიებით, რომ მთავრობის თავმჯდომარე იმავდროულად საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის წარმომადგენელიცაა ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებათა პროცესში, აფხაზები მოლაპარაკებებში ირაკლი ალასანიას მონაწილეობას დათანხმდნენ.

მოლაპარაკებათა პროცესის ეფექტურად წარმართვას, გარკვეულწილად, ხელს უშლის ის გარემოებაც, რომ არ არსებობს ერთი, მაკოორდინირებელი ფუნქციის სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც საკუთარ თავზე აიღებდა პასუხისმგებლობას აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების პროცესზე.

პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლის სტატუსი ერთ პირს აქვს მინიჭებული, პარალელურად კი არსებობს კონფლიქტების დარეგულირების პროცესში სახელმწიფო მინისტრის ოფისი. გარდა ამისა, ფუნქციონირებს აფხაზეთის ავტონომიის უმაღლესი საბჭოც, რომელმაც, ლეგიტიმაციის ვადის ამოწურვის გამო, სრულად დაკარგა დევნილთა ნდობა, ხოლო ადამიანები, რომლებიც მოღვაწეობენ 1990 წელს არჩეულ სტრუქტურაში, თანამედროვე პოლიტიკურ მოთხოვნებს ვერ და არ პასუხობენ.

მთავრობაში განხორციელებული საკადრო ოპტიმიზაციის შედეგად (მმართველობითი რგოლის 2400 თანამშრომლიდან 1000 თანამშრომლამდე დაყვანა), აგრეთვე, სხვადასხვა სტრუქტურების გაუქმების შემდეგ, აფხაზეთის მთავრობის რეპუტაციაც გამოსწორდა. ამავე დროს, არსებობს საფუძვლიანი მოსაზრება, რომ ავტონომიის მთავრობა ადეკვატურად მაინც ვერ აფასებს მდგომარეობას და ბოლომდე ვერ პასუხობს დევნილთა რეალურ ინტერესებს.

მიუხედავად ჩატარებული რეორგანიზაციისა, ავტონომიის მთავრობაში ფუნქციონირებს ისეთი სტრუქტურები, რომელთა არსებობის საფუძველი გაურკვეველია. ამის ნათელი მაგალითია ავტონომიის ეკონომიკის სამინისტრო, რომელსაც, წესით, აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ქონების აღრიცხვა, განფასება და პრივატიზაციის პროცესის ჩატარება უნდა ეხებოდეს. რატომ არის შეუძლებელი ამ საქმიანობის განხორციელება, ვფიქრობთ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. ავტონომიის სტრუქტურებში მოქმედებს გაგრის მერია, სოხუმის მერია და გამგეობა, ოჩამჩირის გამგეობა, გუდაუთის გამგეობა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტი, სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი, წარმომადგენლობა იმერეთში, წარმომადგენლობა აჭარასა და გურიაში, ფინანსთა სამინისტრო და სხვა უამრავი ისეთი სტრუქტურა, რომელთა არსებობის მიზანშეწონილობის დასაბუთება ძალიან რთულია. თუ დასახელებული და სხვა სტრუქტურების არსებობის საფუძველი დევნილი მოსახლეობის ნაწილის დასაქმებაა, უმჯობესი იქნებოდა, გამოყოფილი თანხა მცირე და საშუალო ბიზნესში ჩადებულიყო და დევნილთა დასაქმება სწორედ კერძო სექტორში მომხდარიყო. ხოლო, თუ აღნიშნული და სხვა უწყებების ფუნქცია დევნილთა დახმარებაა, ამას, მართალია ცუდად, მაგრამ ისედაც ახერხებს ფედერალური სტრუქტურის დევნილთა სამინისტრო.

დევნილობაში არსებული სტრუქტურებიდან ყურადღებას იპყრობს არაერთი სამინისტრო და მათი ბიუჯეტი. მაგალითად, საინტერესოა განათლებისა და კულტურის სამინისტროს მდგომარეობა. ჯერ ერთი, ცენტრში აღნიშნული სფეროები (განათლება და კულტურა) გამიჯნულია, მეორეც, ამ სტრუქტურის ბიუჯეტი, ასიგნებების ჩათვლით, მილიონ ლარს უტოლდება, ხოლო პარალელურად ფუნქციონირებს მეცნიერებათა აკადემია, რამდენიმე ჟურნალი, სახელმწიფოს (ავტონომიის) დოტაციაზე მყოფი ორი თეატრი და ა.შ. გაერთიანებულ განათლებისა და კულტურის სამინისტროში 82 თანამშრომელი მუშაობს, თუმცა, ვერ ხორციელდება, ვთქვათ, გალის რაიონის სკოლების მდგომარეობის მუდმივი მონიტორინგი, არსებული მდგომარეობის შესწავლა და გადამოწმება. აგრეთვე, ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო შეუძლებელია ადაპტირება განათლების სფეროში დაწყებულ რეფორმასთან. აღსანიშნავია, რომ მთავრობაში ფუნქციონირებს განათლების, კულტურის, ჯანდაცვისა და სოციალური საკითხების დეპარტამენტი, რომლის ფუნქციებიც არსებითად არ განსხვავდება განათლებისა და კულტურის სამინისტროს ფუნქციებისგან.

ნახსენები განათლების სამინისტრო მხოლოდ პირობითი მაგალითია და ზოგად წარმოდგენას ქმნის საერთოდ აფხაზეთის სტრუქტურებისა და ბიუჯეტის შესახებ. იგივეს თქმა შეიძლება სხვა უწყებებზე, რომლებიც ადეკვატურად და რეალურად უნდა ასახავდნენ დევნილთა ინტერესებს და ყველაფერს უნდა აკეთებდნენ, რომ აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების პროცესი მიმდინარეობდეს.

კონფლიქტის დარეგულირებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კონტროლის შენარჩუნება აფხაზეთის ტერიტორიის იმ ნაწილზე, რომელზეც საქართველოს იურისდიქცია ვრცელდება.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ კრიტიკა, რომელიც კოდორის ხეობაში შექმნილი ვითარების გამო აფხაზეთის მთავრობის მიმართ ისმის, უსაფუძვლოა. რეალურად, ავტონომიის ამ სახის მთავრობას არ აქვს გადაწყვეტილებების განხორციელების მექანიზმები და ხეობაში ვითარება ამ მიზეზითაც იძაბება.

კოდორის მიმართულებით საჰაერო მიმოსვლა ინტენსიურად ვერ ხორციელდება, პასუხისმგებელი, რომ თბილისიდან თუ ქუთაისიდან მოსახლეობის მიგრაცია და ჰუმანიტარული ტვირთის გადაზიდვა მიმდინარეობდეს, არა აფხაზეთის მთავრობა, არამედ ფედერალური ხელისუფლების სტრუქტურაა.

ხეობაში ვითარების დაძაბვის მიზეზი ისიცაა, რომ თავდაცვის სამინისტროს გადაწყველიტილებით მიიღეს ბატალიონ "მონადირის" გაუქმების გადაწყვეტილება.

აღნიშნულ სტრუქტურაში ნახევრადგასამხედროებული ფორმირების დაშლას წინგადადგმულ ნაბიჯს უწოდებენ, მაგრამ, გაურკვეველია, "მონადირის" დაშლისა და მისი 400 მებრძოლის, ხეობის დამცველი ადამიანების, უსახსროდ, უსაქმოდ და უყურადღებოდ დატოვების შემდეგ, ვინ უნდა დაიცვას რეგიონი, რომელიც ქვეყნის მთლიანობის სადარაჯოზე ყოველთვის იდგა.

არსებობს იდეა, რომ ხეობაში რომელიმე ოფიციალური შენაერთი განთავსდეს, თუმცა, ამის განხორციელება რამდენიმე ფაქტორის გამო შეუძლებელია.

მთავარი კი ის არის, რომ საქართველოს მისწრაფება აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირებისა კითხვის ქვეშ დადგება. უდავოა, რომ ნებისმიერი შეიარაღებული ძალის გადაადგილება კონფლიქტის ზონის მიმდებარე ტერიტორიაზე, საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღქმული იქნება როგორც პარამილიტარისტული ქმედება აფხაზეთის მიმართულებით და პირდაპირი ნიშანი იქნება იმისა, რომ საქართველო არ იცავს დეკლარირებულ მიდგომას კონფლიქტის მხოლოდ მშვიდობიანი გზით დარეგულირების შესახებ.

აფხაზეთის მთავრობა ამ მიმართებითაც უძლურია. მის სტრუქტურებში შემუშავებული პროექტები კოდორის ხეობის რეაბილიტაციის შესახებ, მხოლოდ პროექტებია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კითხვა, საჭიროა თუ არა ამ სახის მთავრობის არსებობა დევნილობაში, მეტისმეტად აქტუალურია. პასუხი ამ კითხვაზე საინტერესოა იმის გამოც, რომ ბოლო პერიოდში საგრძნობლად გააქტიურდა მოლაპარაკებათა პროცესი, ხოლო დევნილობაში მყოფი მთავრობის ამ სახით არსებობა განახლებული სამშვიდობო პროცესის ხელისშემშლელ ფაქტორად აღიქმება.

არადა, როგორც კომპეტენტური პირები ამბობენ, ქართულ სახელმწიფოში აფხაზეთის დაბრუნების ისეთი შანსი, როგორიც დღეს ქვეყანას აქვს, საომარი მოქმედებების დასრულების დღიდან არ ყოფილა.

ახალი რეალობებიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დგება აღებული კურსის განუხრელად დაცვისა და მოლაპარაკებათა პროცესის ინტენსიურად განახლების საკითხიც. ალბათობა იმისა, რომ მოლაპარაკებათა პროცესი არ გაგრძელდება ან გაგრძელდება ქვეყნისთვის საზიანო მიმართულებებით, ჯერ კიდევ მაღალია.

ამის გამო, ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ კონფლიქტის დარეგულირების პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობდეს და გათვალისწინებული იყოს დევნილი მოსახლეობის რეალური ინტერესი, რომლის თანახმადაც პრიორიტეტულია არა მდგომარეობის გაუმჯობესება გარემოში, რომელშიც დევნილი მოცემულ ეტაპზე ცხოვრობს, არამედ, საკუთარ სახლში დაბრუნება. ამდენად, დევნილებისთვის უფრო მნიშვნელოვანია არა დრომოჭმული სტრუქტურების არსებობა, არამედ იმ სახის გადაწყვეტილებები, რომლებიც აფხაზეთის ქართულ სახელმწიფოში დაბრუნების პროცესს დააჩქარებს.

გამოკითხვა

# უნდა მიეცეთ თუ არა კომპენსაცია იმ დევნილებს, რომლებიც აფხაზეთში დაბრუნებას აღარ მოისურვებენ?

**მერაბ ბარათაშვილი**, ისტორიკოსი, 40 წლის: "რაც უფრო გადაიდება დევნილების დაბრუნების პროცესი, მით მეტი ადამიანი მოახდენს ადაპტირებას იმ გარემოში, სადაც ახლა ცხოვრობს და მით უფრო გაუცხოვდება აფხაზეთი მისი დევნილი შვილებისთვის. რასაკვირველია, არ დაავიწყდებათ მშობლიური კუთხე, მაგრამ მოგონებები და გრძნობები დროთა განმავლობაში გაფერმკრთალდება. აფხაზეთის სეპარატისტულ მთავრობასაც ეს უნდა, იმიტომ ლაპარაკობენ მოჰაჯირების დაბრუნებაზე, იმიტომ ეშინიათ ქართველების დაბრუნების (თუნდაც იმათი, ვინც იარაღით ხელში არ იბრძოდა), რომ აფხაზები ისევ უმცირესობაში არ აღმოჩნდნენ. კომპენსაციის საკითხი კი მთავრობამ დევნილების აზრის გათვალისწინებით უნდა გადაწყვიტოს".

**გიორგი ხვედელიძე**, სტუდენტი, 19 წლის: "აფხაზეთში დაბრუნება ისეთი ნატვრაა, არა მგონია, ბევრი ადამიანი იყოს ისეთი, ვინც ამ ნატვრაზე უარს იტყვის და კომპენსაციას აიღებს. თუმცა, ალბათ, ასეთებიც იქნებიან. მე ვფიქრობ, რომ მათ, ვინც დევნილის სტატუსზე უარს იტყვის, კომპენსაცია არ უნდა მიეცეთ. მთლიანობაში ხომ გაიყიდა აფხაზეთი, ახლა ცდილობენ, ნაწილ-ნაწილ გაყიდონ. თითოეულ ადამიანს რომ 3 ათას ევროს გადაუხდიან და ლტოლვილის სტატუსს ჩამოართმევენ, ესაა სწორედ აფხაზეთის ნაწილ-ნაწილ, თითო-თითო ადამიანად გაყიდვა"

**ქრისტინა ბიკოვა**, დროებით უმუშევარი, 22 წლის: "უარს არავინ იტყვის, რატომ უნდა თქვან, მე ვფიქრობ, ყველას აქვს დაბრუნების სურვილი."

**ბორის გოგოლაძე**, პენსიონერი: "უმრავლესობას, რა თქმა უნდა, ექნება იქ დაბრუნების სურვილი, მაგრამ ისეთებიც იქნებიან, ვინც უარს იტყვის - ეს ის კატეგორია იქნება, ვინც ხელი მოითხო, ახალი ცხოვრება ნახა. მათ კომპენსაცია არ უნდა მიეცეთ. კომპენსაცია უნდა მიიღოს იმან, ვინც იქ ცხოვრებას თავიდან დაიწყებს."

**მაყვალა გოშაძე**, ეკონომისტი, 53 წლის: "ძალიან მეეჭვება, რომ არსებობდეს ასეთი ვინმე, ვინც დაბრუნებას კომპენსაციას არჩევს. თბილისი რითი სჯობია სოხუმს? "

**მაია კ-ვა**, სოხუმიდან დევნილი, 25 წლის: "მე პირადად სოხუმში არ დავბრუნდები, ზღვა არ მიყვარს. მე-7 კლასში ვიყავი, რომ წამოვედით. ახლა აქ მყავს ნაცნობ-მეგობრების წრე, მეზობლებთანაც კარგი ურთიერთობა მაქვს. დედაჩემი და მამაჩემი, ალბათ, დაბრუნდებიან, ბაბუას და ბებიას ხომ ნატვრად აქვთ აფხაზეთი. მე ჩემი ოჯახით (დევნილი მეუღლე და ორი შვილი მყავს) თბილისიდან არსად წავალ."

**ირინა ბერიძე**, ჟურნალისტი, 43 წლის: "მუდმივად საცხოვრებლად შეიძლება არ დაბრუნდეს ყველა, მაგრამ სახლისა და კარ-მიდამოს დაბრუნებაზე ვინ იტყვის უარს, თუკი უსაფრთხოება გარანტირებული იქნება? გალის რაიონში კი რეალურია ეს პროცესი, მაგრამ დანარჩენ აფხაზეთში როდის დაიწყება, ან თუ დაიწყება საერთოდ, ღმერთმა უწყის. ისე, ზოგადად, დევნილების დაბრუნება აფხაზებისთვისაც სასარგებლო იქნება. ეკონომიკური თვალსაზრისით, გალში დევნილების დაბრუნებამ ცოტა გამოაცოცხლა იქაურობა, პროდუქცია იქმნება, სიცოცხლე იგრძნობა. ასე იქნება მთელ აფხაზეთში, თუ დევნილები დაბრუნდებიან. სულ რომ არაფერი აწარმოონ, დანარჩენ საქართველოსთან ექნებათ კავშირი, დამსვენებლები ჩავლენ, ეკონომიკური ურთიერთობა აღდგება, დიდძალი საერთაშორისო დახმარება წამოვა და ფული გაჩნდება. მაგრამ, გასაგები მიზეზების გამო, აფხაზები პროცესს ამ კუთხით არ განიხილავენ და მათ ინტერესშია, რაც მეტი დევნილი იტყვის უარს სტატუსზე და კომპენსაციას აიღებს."

**დავით გეგელაშვილი**, იურისტი, 26 წლის: "ადამიანები საერთოდ მიდიან საქართველოდან და დაბრუნებაზე აღარ ფიქრობენ. ამიტომ, რა გასაკვირია, რომ ზოგიერთმა დევნილმა უკან დაბრუნება აღარ მოინდომოს. კომპენსაციის საკითხი ამ შემთხვევაში ისე უნდა მოგვარდეს, როგორც გარკვეული მოსაზრებების საფუძველზე, მთავრობა გადაწყვეტს."

**ლეილა ქ.** აფხაზეთიდან (სოხუმი) დევნილი, 50 წლის: "მე, პირადად, დაბრუნების იმედი არა მაქვს, თორემ რატომ არ დავბრუნდები? თავიდან დავიწყებ ყველაფერს, ოღონდ ამის საშუალება იყოს. ვინც დაბრუნებაზე უარს იტყვის და თბილისში, ქუთაისში, ან სხვაგან ცხოვრებას არჩევს, რატომ არ უნდა ჰქონდეს ამის უფლება? ასეთ ადამიანებს, ალბათ, გარკვეული კომპენსაცია უნდა მიეცეთ."

**მანანა ქართველიშვილი**, დროებით უმუშევარი, 47 წლის: "თუკი ვინმეს გაუცხოება დაემართა იმ კუთხის მიმართ, ეს მისი ბრალი არ არის, ეს ობიექტური მიზეზით მოხდა. ბევრ მათგანს საკუთრება უკვე გაუჩნდა, ბინები შეისყიდეს. იძულებით დევნილებს იძულებით ხომ არ დავაბრუნებთ? ადამიანებს უნდა ჰქონდეთ უფლება, აირჩიონ - კომპენსაცია ან დევნილის სტატუსი. ეს მხოლოდ პიროვნების გადასაწყვეტი უნდა იყოს და არა - საზოგადოების."

ოპერისა და ბალეტის თეატრი საჯარო ბოდიშს ელის



B2

მალე ესპანელი გავხდები



B4

შესანიშნავი ოთხეული



B5

# "მას-მოდა - 2005"

## პოდიუმზე გამოსული ტელეჟურნალისტები სტუმრად პრეზიდენტს ელოდებიან

თამარ ხორბალაძე

*შეეჩვიეთ ნანა ლეჟავას ხილვას "რუსთავი2"-ის მიკროფონით ხელში ცხელ წერტილში - ბესლანში, კიევში, ბაქოში? გგონიათ, რომ გურამ დონაძე მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეც-ოპერაციების დროს პოზიორობს კამერებისა და საზოგადოების წინ? ან იქნებ ფიქრობთ, რომ "იმედის" თეა ბოლქვაძე სულ ისეთი სერიოზულია, როგორც კანცელარიის დერეფნებში? ან "მზის" საინფორმაციოს წამყვანად დაჯდომის შემდეგ ვაკო ავალიანი აღარ იცილებს ჰალსტუხს? მიგაჩნიათ, რომ პარლამენტარი მარიკა ვერულაშვილი პრეზიდენტის ვოიაჟების წყალობით მოდისთვის ვერ მოიცლის? ნანუკა ჟორჟოლიანი და ნათია მიქიაშვილი კრიმინალური ისტორიებით ერთობიან? თათია თოფურია ხალისით მხოლოდ "იმედის" და მერიის პროექტებში მღერის? ნანა ინწკირველი თავს კომფორტულად მხოლოდ ტანკზე შემოსკუპებული გრძნობს? ირმა ნადირაშვილი სულ საპარლამენტო ინტრიგების გახსნაზე ფიქრობს? "იმედის" ირმა გეგეჭკორი მხოლოდ ძმები ბუშებისთვის კადრულობს კითხვის დასმას? "პირველარხელი" მალხაზ ონიანის პოდიუმზე ხილვა კი ფანტასტიკის სფეროდანაა?*

*დიზაინერი და ფსიქოლოგი ეკა (დადუ) თადუმაძე და მისი პროექტი "მას-მოდა 2005" 4 ივლისს "ტელესახეებთან" დაკავშირებული წარმოდგენებისა და სტერეოტიპების "დამსხვრევას" აპირებს. ტელეკომპანიების "რუსთავი 2", "იმედი", "მზე", "პირველი არხი", რადიო "ფორტუნას" 29 ჟურნალისტი და ოთხი ყველასათვის კარგად ცნობილი "პიარშიკი" 4 ივლისს, ღამის 10 საათზე, საგანგებოდ მიწვეული სტუმრების წინაშე მოდელების როლში წარდგებიან და სპეციალურად მათთვის შექმნილ კოსტიუმებს "გამოამზეურებენ". "გავაკეთოთ ერთი ძალიან კარგი დღე ჟურნალისტებისთვის და არა მხოლოდ მათთვის" - ასეთი გახლდათ დიზაინერის და მისი ჟურნალისტი მეგობრების ჩანაფიქრი, რომელიც საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა სპონსორებისთვის - კომპანია "თელიანი ველის", "ცენტრ-პოინტისთვის" და კიდევ მთავარი სპონსორისთვის, რომელმაც გადაწყვიტა, ბოლომდე "ინკოგნიტოდ" დარჩეს. ამიტომ პროექტის ავტორი ეკა თადუმაძე მადლობას "ზოგადად ქართულ ბიზნესს" უხდის.*

**- რატომ ჟურნალისტები? გყავდა ნაცნობი ჟურნალისტები მანამ, სანამ ამ პროექტის განხორციელებას გადაწყვეტდი?**

- ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო მათთან ურთიერთობა. ჩემი რამდენიმე ბავშვობის მეგობარი არის ჟურნალისტი, აქედან გამომდინარე, გარკვეული ნაცნობობა მქონდა და, ალბათ, ამანაც ითამაშა როლი.

გარდა ამისა, ჟურნალისტები ყველას ჰგონია მკაცრები, კრიტიკულები, სერიოზულები, ამ დროს კი - მათი უმრავლესობა ქალია. ყველას, ალბათ, ფარული სისუტე აქვს, თავისი ფარული ინტერესი. როცა კოსტიუმს ვაკეთებ, ვცდილობ, დავიჭირო მათი ხასიათი. გამომდინარე იქიდან, რომ ჟურნალისტები არიან საკმაოდ ძლიერი ინდივიდები, მათთან ურთიერთობა ძალიან საინტერესოა. მინდოდა დამენახა, როგორები არიან ისინი საინფორმაციო გადაცემებს მიღმა.

მომღერალი, მსახიობი ისედაც სცენაზე დგას, ამიტომ მისი ხილვა მოდელის ამპლუაში, შესაძლოა, არც ისე საინტერესო იყოს. სხვა საქმეა საინფორმაციოს ჟურნალისტი, რომლის საქმიანობა საკმაოდ შორსაა მოდელის პოზიციისგან.

**- რამდენად პასუხობენ ისინი იმ სტერეოტიპებს, რომლებიც მათ შესახებ საზოგადოებაში არის შექმნილი? რამდენად მოსალოდნელები აღმოჩნდნენ ქართველი ჟურნალისტები შენთვის?**

- მუშაობის პროცესში ისინი აღმოჩნდნენ აბსოლუტურად განსხვავებულები. გაცილებით უფრო კარგები, ბევრად უფრო საინტერესოები. სხვათა შორის, მხოლოდ ქალი ჟურნალისტები არ გვყავს - ჩვენებაში მონაწილეობას მიიღებენ კაცებიც - ვაკო ავალიანი, გურამ დონაძე, ირაკლი და ვანო მაისურაძეები და მალხაზ ონიანი.

**- რამდენად მარტივი აღმოჩნდა ჟურნალისტების დათანხმება მოდელობაზე?**

- დათანხმება თავის თავზე ჩემმა მეგობარმა - ეკა საათაშვილმა აიღო (აგნესა ფილმიდან "უძინართა მზე" (რედ)). ვერ გეტყვით ზუსტად როგორ, მაგრამ ჟურნალისტების უმრავლესობამ თანხმობა განაცხადა. გვყავს ასევე რამდენიმე ადამიანი, ვისაც პრესასთან ურთიერთობა ავალია, ანუ "პიარები" და რადიო "ფორტუნას" თანამშრომლები.



ეკა (დადუ) თადუმაძე

**- მაგრამ მიიღეთ უარიც?**

- უარი თქვეს ეკა ხოფერიამ, სოფო მოსიძემ, ნინო შუბლაძემ, კაცებიდან უარი მივიღე ლევან ჯავახიშვილისგან, რაც ძალიან გამიკვირდა. კიკალამაც (დათო კიკალიშვილი) უარი მითხრა, თუმცა მისგან არ გამკვირვებია, რადგან არ ვიცნობ, ლევანს კი ვიცნობ და მისი უარი, უბრალოდ, გამიკვირდა. ზოგმა სხვამაც გვითხრა. ვერ გეტყვით რატომ, ალბათ, ყველას ჰქონდა თავისი მიზეზი.

**- მედიაში დღეს საკმაოდ ბევრი ტელესახეა. რა ნიშნით შეარჩიეთ ჟურნალისტები?**

- რომ არ სწყენოდათ, ძირითადად საინფორმაციოს ტელეწამყვანებზე შევჩერდით. თითქმის ყველას შევთავაზეთ გამოსვლა, თუმცა, ალბათ, ზოგი მაინც გამოგვრჩა, რასაც მომავალში აუცილებლად გამოვასწორებთ...

**- რამდენად პრეტენზიულები აღმოჩნდნენ ქართველი ტელესახეები?**

- ნაკლებად. ძირითადად მეუბნებოდნენ, რომ - რაც გინდა, ის გამიკეთე, თუმცა კოსტიუმის კეთების პროცესში გარკვეული კორექტივები, ცხადია, შედიოდა. საბოლოოდ ხომ ეს კოსტიუმები მათ უნდა ატარონ - მინდა აღვნიშნო, რომ სპონსორის დახმარებით ჩვენ ამ კოსტიუმებს გადავცემთ თავად ჟურნალისტებს.

ამასთან, მე მივეცი მათ ნაჭრის შერჩევის თავისუფლება. საკმაოდ დიდი არჩევანიც გვქონდა ნაჭრების, რომლებიც სპეციალურად ამ ჩვენებისთვის პარიზიდან ჩამოვიტანეთ. როცა შემოდიოდნენ, პირველ რიგში ვეკითხებოდი, თუ რომელი ნაჭერი მოსწონდათ - ამის მიხედვით ვხვდებოდი მათ ხასიათს, გემოვნებას - იმის მიხედვით, თუ როგორი ფერები მოსწონს, როგორი ფაქტურა...

ერთადერთი პრობლემა, უნდა გამოგიტყდეთ, ის იყო, რომ, როგორც აღმოჩნდა, ჟურნალისტები არიან ძალიან დაკავებულები, კიდევ უფრო მეტად, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს - ზოგს ცალია საღამოს, ზოგს - ღამე, ზოგს - დილით ადრე, ზოგს - საერთოდ არ სცალია. ამიტომ მე, ცხადია, მიხდებოდა, რომ ყოველი მათგანისთვის შემერჩია და მომერგო დრო. ეს საკმაოდ რთული პროცესი იყო, თუმცა მათი სამუშაოს ტემპების და დატვირთვის შემხედვარე კიდევ უფრო მომინდა, რომ მეჩუქებინა მათთვის ერთი ძალიან კარგი დღე.

**- რამდენად სერიოზულად მიუდგნენ ამ საქმეს?**

- ძალიან სერიოზულად მიუდგნენ. თავიდან იყო პატარა უხერხულობის მომენტი, რადგან ფიქრობდნენ, რომ მე მათგან მოვითხოვდი ნამდვილი მოდელებივით სიარულს, ქცევას. თუმცა, მათგან მე ეს სულაც არ მჭირდებოდა. პირიქით - ამ პროექტის მთავარი ხიბლი თითოეული ჟურნალისტის ინდივიდუალურობაა.

**- კოსტიუმები უკვე მზად არის?**

- კი, მზად არის.

**- რამდენად მოულოდნელები იქნებიან ტელესახეები მაყურებლისთვის?**

- საერთოდ, თავიდან მინდოდა, რომ გამეკეთებინა მათთვის ის, რასაც არ ელოდება საზოგადოება ამ ადამიანებისგან. თუმცა, ზოგან გამოვიდა ეს, ზოგან - არა.

**- არ წამოვიდნენ ამაზე?**

- ზოგი ვერ წამოვიდა. მე არც დამიძალებია, რადგან ვთვლი, რომ მთავარია - თავად იგრძნონ კომფორტულად თავი ამ კოსტიუმებში.

**- რამდენად კომპლექსიანები არიან ქართველი ჟურნალისტები?**

- არა, სულაც არ არიან კომპლექსიანები. იმდენად მოსწონთ ის მომენტი, რომ უნდა გამოვიდნენ პოდიუმზე. ამ როლში თავი, ალბათ, იმდენად სასიამოვნო და სახალისოა, რომ საკმაოდ ბუნებრივები არიან.

**- იყო შემთხვევები, რომ თავიდან უარი თქვეს და შემდეგ თავად მოითხოვეს პროექტში ჩართვა?**

- ვერ გეტყვით. შესაძლოა, ვიღაცას, ვინც თავიდან უარი თქვა, შემდეგ მოუნდა კიდეც პროექტში ჩართვა, თუმცა - აღარ და ველარ თქვა ეს. ისე - თავიდან დაგეგმილი მონაწილეების რიცხვი ისედაც გაიზარდა 25-დან 33-მდე.

**- რატომ, ბევრმა მოინდომა მონაწილეობა?**

- დიახ.

**- იმიტომ, რომ ეს მათთვის რეკლამაა?**

- ეს მათთვის, უბრალოდ, საინტერესო პროექტია.

**- თქვით, რომ პროექტი, შესაძლოა, მომავალშიც გაგრძელდეს. რაზეა დამოკიდებული ეს?**

- მხოლოდ იმაზე, რომ მომავალშიც ვიარსებებთ ყველა - იქნებიან ცნობილი და კარგი ჟურნალისტები, იქნება და გაიზრდება ქართული ბიზნესი, რომელიც ისევ დაინტერესდება ასეთი პროექტით. შევეცდებით, ვიპოვოთ ახალი სახეები, გავაფართოოთ პროექტში მონაწილე მედიასაშუალებების რიცხვი.

**- როგორ შეხვდნენ ამ იდეას იმ მედიასაშუალებების ხელმძღვანელები, ვისი ჟურნალისტებიც ამ პროექტში იღებენ მონაწილეობას?**

- ვერ გეტყვით, მე მგონი, არავითარი წინააღმდეგობა ჟურნალისტებს არ შეხვედრით, თორემ ამის შესახებ მეცოდინებოდა.

**- ვის ელოდებით ჩვენებაზე?**

- ეს იქნება დახურული ღონისძიება. დასწრება იქნება მხოლოდ მოსაწვევებით. ჟურნალისტების და ჩემი დიდი სურვილია, რომ ჩვენებაზე საქართველოს პრეზიდენტი მოვიდეს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მას განსაკუთრებულად ველით.

**- სად გაიმართება ეს ღონისძიება?**

- სავაჭრო ცენტრ "ჯი-თი-სი"-ში. "კოლმეურნეობის მოედანზე" არის ძალიან დიდი და კარგი სავაჭრო ცენტრი, სადაც არის საკმაოდ დიდი, საინტერესო სივრცე, რისი კარგად გაკეთებაც შეიძლება და რომელიც ბევრ სტუმარს დაიტევს.










## თეატრები

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
რალფ კნიგი
ET CETERA
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**კინოს სახლი**
"პორნოგრაფიული კავშირები"
დას: 18:00 სთ.

**რუსთაველი**
"შპიონი ძიძა"
დას: 13:00; 15:00; 17:00 სთ.

"მისტერ და მისის სმიტები"
დას: 19:00; 21:30 სთ.

## გამოფენები

**შარდენი**
თანამედროვე ქართველ მხატვართა ნამუშევრების საზაფხულო გამოფენა

**ვერნისაჟი**
70-იანი წლების ქართველ ავანგარდისტთა ნამუშევართა ჯგუფური გამოფენა
"რეპრესირებული ხელოვნება 17 წლის შემდეგ.
კოლაჟი, ობიექტი"

**ბაიას გალერეა**
მაია ზაალიშვილის ფოტონამუშევართა გამოფენა

**უნივერსი**
თვითნასწავლ მხატვარ ქალთა მხატვრული ნამუშევრების გამოფენა "ცისარტყელა"

**ჰობი**
"საუკეთესო ანტინარკოტიკული პლაკატი"

**ქარვასლა**
გამოფენა "სპეციალურად მარტივი/ალტერნატიული პროდუქციის კულტურის წარმოქმნა"
(ახალი გერმანული დიზაინის თვალსაჩინო მაგალითი; 122 ექსპონატი; აქცენტი გაკეთებულია ავეჯზე, განათებასა და საცხოვრებელ ობიექტებზე)

**TMS**
სანდრო ანთაძის ნამუშევართა გამოფენა
(ფერწერა)

**შარდენი**
გოგა კუპრაძის ნამუშევართა მემორიალური გამოფენა

**ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი**
დმანისის არქეოლოგიური აღმოჩენების განახლებული ექსპოზიცია

"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

**ბავშვთა სურათების გალერეა**
თათა ჯანაშიას ნამუშევრების გამოფენა

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

*მოკლედ*

# "ხელოვნების ზეიმი" ბათუმში

"ფესტივალი "ხელოვნების ზეიმი" წელს ბათუმში გაიმართება", - განაცხადა "ლიანა ისაკაძის ფონდის - ხელოვნების კაპიტალის" მენეჯერმა მანანა დავითაშვილმა. მისივე თქმით, ფესტივალზე ბათუმის თეატრში 27-29 ივლისს დაგეგმილია ქართულ-გერმანული კამერული ორკესტრის პრეზენტაციაც. "როგორც ყოველთვის, ფესტივალი წელსაც უამრავ უცხოელ მუსიკოსს უმასპინძლებს. ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ ალექსანდრ კნიაზევი (ვიოლენჩელო) მოსკოვი, ვლადიმერ ტარასოვი (ჯაზ-დრამი) ლიტვა, იუსტუს ფრანცი (დირიჟორი და პიანისტი) გერმანია და სხვები", - აღნიშნა დავითაშვილმა. მისივე ინფორმაციით, ლიანა ისაკაძე ბათუმში დაგეგმილ სამივე კონცერტში მიიღებს მონაწილეობას.

ფესტივალს წელსაც კომპანია "მინისა და მინერალური წყლების კომპანა" დააფინანსებს. "ხელოვნების ზეიმი" მესამედ იმართება; შარშან და შარშანწინ ფესტივალს ბორჯომმა უმასპინძლა.
***ინტერპრესნიუსი***

# ჩვენება "ქვინში"

სავაჭრო ცენტრში "ქვინი" დღეს დიზაინერის მაია ზაალიშვილის კოლექციის ჩვენება გაიმართება. ზაალიშვილის კოლექციის გარდა, ჩვენებაზე სავაჭრო ცენტრში არსებული მაღაზიების საგაზაფხულო-საზაფხულო სამოსი იქნება წარმოდგენილი. მაია ზაალიშვილი მაყურებელს ავანგარდულ მოდელებს შესთავაზებს. კოლექციებს რკინისა და ჯაჭვის აქსესუარებში შემოსილი სამოდელო სააგენტო "ფავორიტის" მოდელები აჩვენებენ.
***ინტერპრესნიუსი***

# ოპერისა და ბალეტის თეატრი საჯარო ბოდიშს ელის

სოფო კილასონია

გუშინ ღამით ოპერისა და ბალეტის თეატრის გენერალური დირექტორი დავით საყვარელიძე იტალიაში გაემგზავრა. მისი ვიზიტის მიზეზი რომის, ფლორენციისა და გენუის ოპერის თეატრების დირექტორებთან დანიშნული შეხვედრებია. როგორც თავად შეგვპირდა, ამასთან დაკავშირებით დაბრუნების შემდეგ დაწვრილებით მოგვიყვება. ჩვენი გუშინდელი საუბრის თემა კი არც ჩვენი თეატრის სამომავლო გეგმები იყო და არც მისი მიზნები. დავით საყვარელიძის ინიციატივით შემდგარი ჩვენი საუბარი ერთ-ერთი ქართული ტელეკომპანიიის დილის საინფორმაციო გამოშვებას შეეხებოდა. თეატრის დირექტორმა რაოეს-თელასის მიმართ რადიკალური პოზიცია დააფიქსირა.

როგორც გაირკვა, რაოეს-თელასის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა საინფორმაციო გადაცემას ურჩ გადამხდელთა ნუსხა გადასცა. დასახელებულთა შორის ოპერისა და ბალეტის თეატრიც ყოფილა. ამ ფაქტმა, როგორც თეატრის დირექტორმა აღნიშნა, პირადად იგი და თეატრის მთელი ხელმძღვანელობა აღაშფოთა. აღშფოთების მიზეზი კი ძალიან მარტივია: ოპერისა და ბალეტის თეატრს არავითარი დავალიანება არა აქვს და კომპანიის არაფერი ჰმართებს.

**"ურჩი გადამხდელი" - ასეთი შეფასება ჩვენს თეატრს ნამდვილად არაფრით დაუმსახურებია. ჩვენ ყველანაირი მიმდინარე გადასახადი გასტუმრებული გვაქვს, მათი დაფარვა ნამდვილად არ გვიჭირს. ასეთი დამოკიდებულება არათუ ჩვენს თეატრს, არამედ ჩვენს მუშაობას არ შეეფერება. რაოეს-თელასის აღმასრულებელმა დირექტორმა სერგეი კაპლამ არცთუ ისე დიდი ხნის წინ-**


*დათო საყვარელიძე გაბრაზებულია*

**ათ თვითონ შემოგვთავაზა დახმარება და მხარდაჭერა. ჩვენ ერთობლივი პროექტები და ურთიერთთანამშრომლობა დავგეგმეთ. ამ ყველაფრის ფონზე ორმაგად მიკვირს, რა ხდება. ჩვენ უნდობლობას ვუცხადებთ ამ კომპანიას. მე და მთელი თეატრი თელასისგან საჯარო ბოდიშს ველით, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩათვალონ, რომ ჩვენი სახით მათ სერიოზული მტერი გაიჩინეს. ჩვენ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხელს შევუშლით მათ და, საერთოდ, რუსული კომპანიების საქართველოდან წასვლის დიდი მხარდამჭერებიც გავხდებით."**

დავით საყვარელიძის ასეთი კომენტარის შემდეგ ძნელი და ზედმეტია რაიმეს დამატება. ერთია მხოლოდ: როგორც ჩანს, ოპერისა და ბალეტის თეატრი საკუთარ იმიჯს ძალიან უფრთხილდება და სხვებისგანაც იგივეს მოითხოვს.

# თევზები, პეპლები და „რემბრანდტი" კოპალაში

ნათია ლურსმანაშვილი

გუშინ გალერეა "კოპალაში" ახალგაზრდა მხატვრის თეიმურაზ გაგნიძის ნამუშევრების პირველი პერსონალური გამოფენა გაიხსნა. თევზი მხიარული ფერებით, უჩვეულო ზომის ვარდი (ვარდების რევოლუცია ალბათ ამ შემოქმედის მუზადაც იქცა), პეპელა, ასევე მხიარული და მჭახე ფერებით და პირველი განყოფილებისთვის საკმაოდ შეუსაბამო, თითქოს რემბრანდტის სტილში შესრულებული ნამუშევრები - გამოფენას ნამდვილად ეტყობოდა, რომ საქმე გვაქვს დამწყებ, მაგრამ იმედისმომცემ მხატვართან.

თუმცა, იქ დამსწრე მხატვრებმა, მისმა მასწავლებლებმა კოლეგის მიმართ თბილი სიტყვები არ დაიშურეს და ვერც აღფრთოვანება დამალეს. მათი აზრით, ეს საოცრად ლამაზი და ზუსტად შესრულებული ნამუშევრებია. თვით ნატურმორტებიც კი ბუნებრივი და ცოცხალი მოტივებით გამოირჩევა. **"ეს ის შემთხვევა არ არის, რომ დახატო მხოლოდ პროფესიონალურად, კარგად და ა.შ. ეს არის ვირტუოზული ტექნიკა, ეს საოცარი ხელოვნებაა. ასეთი რუდუნებით და სიკეთით შესრულებულ ნამუშევარს ვერ ნახავთ. ისეთი ენერგეტიკული მუხტი, რომელსაც ეს ნამუშევარი ატარებს და მიგიზიდავს, ძალიან ცოტაა",** - გულწრფელად აღფრთოვანდა გია გუგუშვილი და მცირე საყვედურიც მიიღო - არ შეიძლება პირველ გამოფენაზე სულ დახარჯო ის სიტყვები, რასაც სიცოცხლის ბოლომდე გავანაწილებდითო.


*თეიმურაზ გაგნიძე, ჯოვანი ვეფხვაძე და გია გუგუშვილი.*

შემფასებლებმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვეს იმას, რომ მხატვარი არ ყვება მოდურ ტენდენციებს და თითქოს შეჯიბრებაშიც კი იწვევს კლასიკოსებს. თუმცა, ეს მიმართულება მას ძველმოდურს არ ხდის, რადგან მის ნახატებში თანამედროვე მხატვრის ხელი იგრძნობა. მოიწონეს ის ფაქტიც, რომ თეიმურაზს მხატვარი მშობლების გავლენა არ ეტყობა და სრულიად განსხვავებული ტექნიკით მუშაობს. განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებს თეიმურაზ გაგნიძის სადიპლომო ნამუშევარი - ნატურმორტი ვაშლით. ყურადღება ხვდა წილად ავტოპორტრეტსაც - საკმაოდ ძნელია, მხატვარმა საკუთარი თავი სრულ ანფასში დახატოსო.

ბატონმა ჯოვანი ვეფხვაძემ აღიარა, რომ სასწავლებელში ვერც კი ამჩნევდა დღევანდელ ნიჭიერ მხატვარს, თუმცა მისმა სადიპლომო ნამუშევარმა დიდი მოწონება დაიმსახურა და ყველაზე ფასეულადაც კი მიიჩნევს მის ნახატებს შორის.

მე კი ჩემს დილეტანტურ მოსაზრებას მოგახსენებთ ორიოდე სიტყვით. თეიმურაზი უდავოდ კარგად ფლობს ფუნჯს, რემბრანდტსაც სიამოვნებით გამოიწვევდა, თუმცა, ჯერჯერობით მხოლოდ საშუალოდ თუ ჰბაძავს დიდ მასწავლებლებს. ზაფხულის ამ ცხელ და უჰაერო საღამოს მესიამოვნა კიდეც, ცოცხალი ფერები რომ შემეფეთა. არც შესასვლელთან მდგარ მოლბერტს დავუტოვებივარ გულგრილი - შემახსენა სად მივდიოდი. მხატვრის სასარგებლოდ ვიტყოდი, რომ ალბათ თითოეულ სანტიმეტრზე გულდასმით მუშაობდა და ეს შრომა ნამდვილად იგრძნობოდა ყველა ნამუშევარში.

თავშეყრის მიზეზი კი საკმაოდ სიტყვაძუნწი ადამიანი აღმოჩნდა. ორიოდე სიტყვით გადაუხადა მადლობა დამსწრე საზოგადოებას დაფასებისთვის და გალერეა "კოპალას" - დახმარებისთვის.

# ქველმოქმედების სახელით

## ჟურნალისტები და მომღერლები სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად

ია ვეკუა

1985 წლის ზაფხულში ლონდონის "უემბლისა" და ფილადელფიის ჯონ კენედის სახელობის სტადიონებზე მუსიკოს ბობ გელდოფის თაოსნობით გრანდიოზული საქველმოქმედო კონცერტები გაიმართა. იმ დროს მსოფლიოს საუკეთესო მომღერლები ეთიოპიაში ხანგრძლივი გვალვის გამო დაზარალებული ხალხის დასახმარებლად შეიკრიბა და საერთო ძალებით 40 მილიონი ფუნტის შეგროვებაც შეძლეს. დაახლოებით ამავე სახის ღონისძიება რამდენიმე დღეში თბილისშიც გაიმართება. მართალია, არც მისი ორგანიზატორები არიან გელდოფები და ვერც მაკარტნი დახურავს კონცერტს, მაგრამ მისი ჩატარების მიზეზი რეალურად არსებობს.

რამდენიმე ხნის წინ საქართველოს მაღალმთიანი რაიონები, სამეგრელო, შემდეგ კი მცხეთა-მთიანეთი ხანგრძლივმა და უჩვეულოდ მძლავრმა წვიმებმა წალეკეს. იქაური მოსახლეობის ნაწილი არა მხოლოდ სახნავ-სათესის, სახლების გარეშეც დარჩა. ხელისუფლებამ თავისი გასაკეთებელი გააკეთა - დამეწყრილ-ჩამორეცხილი რეგიონები მოინახულა და მუხლებამდე ტალახშიც იარა. არ ვიცი, შარვლებზე შემხმარი ტალახი რამდენ ხანს ახსენებდათ სტიქიით დაზარალებულებს, მაგრამ ფაქტია, რომ მათ დასახმარებლად ალტერნატიული გზებიც გახდა საჭირო.

მაისის წვიმებმა კიდევ ერთი იდეა ჩამორეცხა - 17 მაისს რამდენიმე აქტივისტს ქართული ჟურნალისტების დღე უნდა აღენიშნა. იდეის ავტორებმა თეონა ფირანიშვილმა, თინიკო კაცაძემ და ნათია დონგუზაშვილმა საესტრადო ღონისძიებათა გამართვაში კარგა ხნის წინ გამობრძმედილ


*ტელემარათონის ორგანიზატორები.*

კომპანია "ფორტუნა 97-თან" და თბილისის საკრებულოსთან ერთად ჟურნალისტების დღეს ოდნავ შეუცვალეს პროფილი. გასაგები მიზეზების გამო მათ გადაწყვიტეს, რომ ტელემარათონი "ქართული მასმედია სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად" ჩაეტარებინათ.

ამ ნაკლებად საზეიმო მიზეზის მიუხედავად, დიდი საკონცერტო დარბაზის სტუმრებს 30 ივნისს მაინც საინტერესო სანახაობა ელით. საინტერესო თუნდაც იმიტომ იქნება, რომ სცენაზე მომღერლები და სხვადასხვა ტელე-ჟურნალ-გაზეთების ჟურნალისტები დუეტში იმღერებენ. მათ ერთმანეთი საკუთარი სურვილით აირჩიეს და რეპერტუარიც თავად შეარჩიეს.

ტელემარათონში მონაწილე დუეტების ჩამონათვალი, დაახლოებით, შემდეგია: პარლამენტარი მარიკა ვერულაშვილი "ქართული ხმების" დათო არჩვაძეს "შეუამხანაგდება", ინგა გრიგოლია გიო ხუციშვილის მეწყვილე გახდება, მომღერლობით ისედაც კარდგად ცნობილი ნინო არაზაშვილი ქართული ესტრადის ყველაზე გემრიელ ლუკმას გაუსინჯავს გემოს და მერაბ სეფაშვილთან ერთად წაიღიღინებს. ალბათ, საინტერესო იქნება კოკა ყანდიაშვილისა და ეთერ კაკულიას, ირაკლი მაისურაძისა და ეკა კვალიაშვილის, დიმა ობოლაძისა და პანჩოს დუეტები. მათ სვლას გააგრძელებენ ეკა ბერიძე და "ფორტე", ლევან ჯავახიშვილი და ნუკრი კაპანაძე, თათია თოფურია და თემურ თათარაშვილი, ნიკო გომელაური და ეკა კახიანი.

ზოგ ჟურნალისტს სიმღერის გარკვეული გამოცდილება უკვე აქვს, რადგან მსგავს ექსპერიმენტებში ხშირად მონაწილეობენ, თუმცა რამდენიმე მათგანი ერთგვარი პრესის ქვეშ აღმოჩნდება. მაგალითად, მაია სიხარულიძეს, ლიზა ვადაჭკორიასა და ვინის, როგორც ღვაწლმოსილ "პრესპრესელებს" ("მაესტროს" გადაცემა), ძალების მაქსიმალური მობილიზება დასჭირდებათ, რათა იმათი კრიტიკის ქარცეცხლი არ დაატყდეთ, ვისაც თავად ასე თამამად მიუთითებენ ნაკლზე.

ყველაზე დიდი გამოცდის ქვეშ მაინც "202-ელი" ლინზა დადგება, რადგან დუეტში ანა ჯაკთან ერთად მოუწევს სიმღერა. ვისაც ლინზას ცოტა ხნის წინანდელი ეთერი ახსოვს, რომლის დროსაც ამ სტიუარდესა-მომღერალთან კინაღამ ზედმეტად თბილი და ახლო ურთიერთობები დაამყარა, ადვილად წარმოსადგენია, რის ფასად დაუჯდება სცენაზე თავის შეკავება.

მას შემდეგ, რაც ყველაფერი მშვიდობიანად ჩაივლის, ჟურნალისტები გია მაჭრაშვილის მიერ ნიკო გომელაურის ლექსზე სპეციალურად მათთვის დაწერილ სიმღერას შეასრულებენ. ამ ნომრისთვის ჟურნალისტთა ცალკე ჯგუფია შერჩეული. საღამოს "იმედელი" თამუნა გომართელი და ლევან ჯავახიშვილი წაიყვანენ, ღონისძიების პირდაპირი ტრანსლაციაც, სწორედ, ამ არხის ეთერით განხორციელდება.

თუმცა, ამ ყველაფერში მთავარი ცეკვა-თამაში არ არის. როგორც გახსოვთ ღონისძიება საქველმოქმედოა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარებას ითვალისწინებს. ვისაც ქველმოქმედების სურვილი გაუჩნდება, შეუძლია საკუთარი სურვილი ცხელი ხაზის მეშვეობით დააფიქსიროს. მარათონის ანგარიშზე პირველი თანხა უკვე შესულია: ფარმაცევტულმა კომპანია "ავერსმა" 5 ათასი ლარი გადარიცხა, "ალდაგმა" 1 500 დოლარი, ხოლო "ჯეოსელმა" 2 ათასი ლარი.

30 ივნისის ტელემარათონზე შეგროვებული თანხა, პირველ რიგში მცხეთა-მთიანეთში დაზარალებულებს მოხმარდება, ხოლო თუ ქველმოქმედები მეტს გაიმეტებენ, შესაძლოა, დახმარება დასავლეთ საქართველოსაც ეყოს.

# კიდევ ერთი და ბოლო პრემიერა

სოფო კილასონია

გუშინ საღამოს ოპერისა და ბალეტის თეატრში მორიგი პრეს-კონფერენცია გაიმართა. ნინო ანანიაშვილმა მედიას ამჯერად უკვე მეხუთე საპრემიერო სპექტაკლთან დაკავშირებით უმასპინძლა. საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელს გვერდს უმშვენებდა ახალი სპექტაკლის დამდგმელი ქორეოგრაფის ასისტენტი ემილიო მარტინსი. მიუხედავად იმისა, რომ "ამაო სიფრთხილე" ჩვენს სცენაზე უწინაც გადიოდა, ამ სახელწოდების ახალი სპექტაკლი სრულიად ახალი დადგმა და ახლებურად გადაწყვეტილი ძველი ლიბრეტო გახლავთ.

30 ივნისს, 1, 2 და 3 ივლისს ოპერისა და ბალეტის თეატრი კოვენტ-გარდენის სპექტაკლს, ფედერიკ ეშტონის დადგმას "ამაო სიფრთხილეს" წარმოადგენს. სპექტაკლი მოწვეულმა ქორეოგრაფებმა ალექსანდრ გრანტმა და ემილიო მარტინსმა დადგეს. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტებთან ერთად წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ დიდი თეატრის სოლისტები ანასტასია გორიაჩევა, გენადი იანინი და დანიის სამეფო თეატრის სოლისტი სებასტიან კლობორგი.

"ამაო სიფრთხილე" საბალეტო დასების პატარა სამკაულად არის აღიარებული. ამ სპექტაკლს თითქმის ყველანაირი რედაქციით გამორჩეული სიხალისე და ელფერი შეაქვს რეპერტუარში. არაერთხელ მსმენია კოვენტ-გარდენის სპექტაკლზე, როგორც ერთ-ერთ საუკეთესოდ განხორციელებულ



ვახო ხაჯალიას ფოტო

ემილიო მარტინსი და ნინო ანანიაშვილი პრესკონფერენციაზე.

საბალეტო დადგმაზე, თუმცა, 30 ივნისს თბილისელი მაყურებელი მას საკუთარი თვალით ნახავს და დასკვნებსაც თავად გამოიტანს. "ჩვენი ქვეყანა ძალიან პოლიტიზებულია. მინდა ხალხმა გაიგოს, რომ ჩვენ მეხუთე პრემიერა გვაქვს, მოვიდეს თეატრში და ცოტა ხნით მაინც დაივიწყოს ყველა ის საშინელება, რასაც ყოველდღე ისმენს საინფორმაციო გამოშვებებიდან," - გვითხრა ქალბატონმა ნინომ შეხვედრის დასასრულს, თუმცა, მანამდე ჯერ ქართველ და სტუმარ მსახიობებს გავესაუბრე, შემდეგ კი დამდგმელი ქორეოგრაფის სამუშაო რვეულსა და პარტიტურას გადავხედე.

"ამაო სიფრთხილე" იმ საბალეტო დადგმათა შორისაა, რომელთან მიმართებაშიც ქორეოგრაფები ძალიან თამამად იქცევიან. მისი პრემიერა პირველად 1789 წელს გაიმართა და მას შემდეგ სიუჟეტის გარდა, მუსიკა, სათაური, მოკლედ, ყველაფერი, განუწყვეტელ ცვლილებებს განიცდიდა, სხვადასხვა სცენაზე სხვადასხვაგვარ სახესა და მანერას იძენდა. 1950 წელს ცნობილმა ინგლისელმა ქორეოგრაფმა ფრედერიკ ეშტონმა ინგლისის სამეფო თეატრის სცენაზე ფერდინანდ ჰეროლდის მუსიკა ქორეოგრაფიულად აამღერა და "საკუთარი" "ამაო სიფრთხილე" შექმნა. მას ამ საქმეში ჯონ ლანჩბერი, პარტიტურის ახალი რედაქციის ავტორი დახმარებია. იმისთვის, რომ სპექტაკლს სრულყოფილი სახე მიეღო, თანაავტორმა ჰაროლდის ეპოქის ანუ მეთვრამეტე საუკუნის კომპოზიტორების როსინისა და დონიცეტის ოპერებიდან ნაწყვეტები გამოიყენა და სპექტაკლში ჩართო. ამას გარდა, ჯონ ლანჩბერმა ბალეტს რამდენიმე ფრაგმენტი დაუბრუნა 1789 წლის ორიგინალიდან. კომპოზიტორი თურმე ნიმუშად იყენებდა ადანის "ჟიზელს", რომელიც თავის დროზე 13 წლის შემდეგ შექმნილა. "ამაო სიფრთხილე" წლების განმავლობაში წარმატებით იდგმებოდა ჩვენი თეატრის სცენაზე. პირველად 1907 წელს ელენე დემეტრაშს პეტერ ჰერტელის მუსიკაზე დაუდგამს, ხოლო მოგვიანებით ბალეტის ახალი რედაქცია ზურაბ კიკალეიშვილმა განახორციელა.

ოდნავ მივიწყებულ სპექტაკლს 30 ივნისს მაყურებელი თეატრში ისევ იხილავს. წამყვან როლებს ჯერ ანასტასია გორიუჩევა და ლაშა ხოზაშვილი, შემდეგ კი მარიამ ალექსიძე, ცისია ჩოლოყაშვილი, სებასტიან კლობორგი და ედუარდ ბაბლიძე შეასრულებენ. ერთ სპექტაკლში გაერთიანებული, ქორეოგრაფიულად წარმოდგენილი სამი ავტორის მუსიკის ხილვის მსურველთათვის თეატრი ოთხ საპრემიერო წარმოდგენას გვთავაზობს, რის შემდეგაც საბალეტო დასი სექტემბრამდე დაგვემშვიდობება.

თვალსაზრისი

# ქვეყანაშია ფერები მუქი (?) თუ ქალაქი, რომელიც ჩემს ქალაქს არ ჰგავს...

ლენა კილაძე
არქიტექტურის მეცნიერებათა კანდიდატი

*თბილისის არქიტექტურული სახის შენარჩუნებაზე წერილის დაწერის იდეა ჯერ კიდევ შარშან გაზაფხულზე გამიჩნდა, როდესაც თბილისი "გაკრიჭეს" და მთელი მისი სილამაზე თუ ნაკლი თვალნათლივ გამოჩნდა. ბევრი ცნობილი არქიტექტორი მიიჩნევდა, რომ ხეები ნამდვილ არქიტექტურას მალავს ან სულაც ამახინჯებსო. თბილისიც გაკრიჭეს, ოღონდ არა ამ მაღალი იდეალებიდან გამომდინარე... "გაშიშვლებულ" ქალაქთან შეხვედრა ძალიან მტკივნეული აღმოჩნდა. ნუთუ ხეები მართლა ასე ეხმარებოდნენ ქალაქს შენიღბვაში? და ახლა ყველა თავისი ნაიარევით წარდგა ჩვენ წინაშე, განძარცვული, როგორც "შიშველი ხელმწიფე" ანდერსენის ზღაპარში?! სად გაქრა მისი სისადავე ან დახვეწილობა? სად გაქრა მასშტაბი, რიტმი, კონტექსტის შეგრძნება? რატომ ჩაენაცვლა ასე იოლად ძველ, ისტორიულ ნაგებობებსა და ქალაქური არქიტექურის ძეგლებს ახალი, ჭყეტელა ობიექტები. როგორ შეძლეს არქიტექტურულმა ახალმშენებმა შეავიწროონ და გააქრონ წარსული? თუმცა, ალბათ ისევე, როგორც ყველგან, ისინი ხომ მთელი ძალისხმევით მიიწევენ წინ და ანადგურებენ ყოველივეს, რაც გზაზე ხვდებათ, განსაკუთრებით კი იმას, რაც მათ ხედვას არ შეესაბამება... თვითმყოფადი, ეროვნული, სახასიათო კი თვალსა და ხელს შორის იკარგება, იკარგება ქართული არქიტექტურის სამეტყველო ენა.*

დღეს ქალაქში არსებულ პრობლემებს სხვა, კიდევ უფრო თვალშისაცემი პრობლემა - ფერი დაემატა. თბილისში სკანდინავიურ ფერთა სიჭრელემ იმატა. ნაირფერად აფერადდა ქალაქი. ფერები თითქოს ცდილობენ "გამოაცოცხლონ" ქალაქი, მაგრამ სინამდვილეში უსუსურს ხდიან მას, რადგან თვითმყოფადობას უკარგავენ და შენობის დეფექტებს მხოლოდ ზედაპირულად მალავენ (ისიც ხანმოკლე დროით). აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ამ სიჩქარეში შენობებს არანაირი რესტავრაცია არ უკეთდება და ასეთი შეღებვა მხოლოდ აზიანებს მათ, ამასთან, ხშირად შენობები იღებება მათი სტრუქტურის გაუთვალისწინებლად (ქვის წყობა, დეკორი... ავტორისეულ ჩანაფიქრზე აღარ ვლაპარაკობთ).

თბილისში დაბრუნებულს, ქალაქზე ახალი მზრუნველობის ტალღა აეროპორტის გზიდან მომხვდა თვალში. ქალაქში ბოლო ათწლეულის განმავლობაში პრაქტიკულად არანაირი სარემონტო სა-


ვახო ხაჯალიას ფოტო

ბავშვთა სურათების გალერეა.

მუშაო არ ჩატარებულა და, რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდა, რომ ქალაქის ხელისუფლებამ მასზე ზრუნვა დაიწყო.

ეს სიხარული რამდენიმე დღეში, როდესაც აკლიმატიზაციის შემდეგ ქალაქში გავისეირნე, შფოთის გრძნობით შემეცვალა. ქალაქზე "მზრუნველობის" ეს პროცესი ამერიკის პრეზიდენტის სტუმრობასთან დაკავშირებით დაიწყო და თბილისში "კოსმეტიკური გალამაზების" მიზნით საერთოდ არნახული ფერები გაჩნდა. ბარათაშვილის დაღმართზე და აბანოთუბანში აივნების ფერთა მონაცვლეობა ბავშვთა გალერეამ დააგვირგვინა, რომელიც ბარბის სახლს დაემსგავსა. კოლმეურნეობის მოედანზე (პუშკინის N10) მდგომი ქალაქური არქიტექტურის ერთ-ერთი ძეგლი აგურისფერი კონტურებით "გამდიდრდა" - უკეთ გამოჩნდაო. ვისთვის?

სამწუხაროდ, ეს ეიფორიული ტალღა დღეს ვერასა და ვაკეს გადაედო და როდესაც მელიქიშვილის ქუჩა და ჭავჭავაძის გამზირი ყვითელი, ვარდისფერი, ცისფერი, მომწვანო ფერების მონაცვლეობით შეიმოსა, გადავწყვიტე, ჩემი აზრი აუცილებლად გამომეთქვა ქალაქში ფერის ხმარების პრობლემებზე.

ქართულ არქიტექტურაში, ისევე როგორც ხელოვნებაში, ფერს ყოველთვის გადამწყვეტი საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა. ფერის აღქმა ქართველთათვის (და არა მარტო ქართველთათვის) მითიური და მგრძნობელობითი იყო. ფერების სამყაროსთან მთელი მითოლოგია იყო დაკავშირებული.

საერთოდ, თითოეულ ფერს თავისი შინაარსი აქვს და ეს შინაარსი სხვადასხვა კულტურაში სხვადასხვაა. ყველა კულტურას "თავისი" ფერთა გამა ან, უფრო სწორად, ფერთან დამოკიდებულების საკუთარი ტრადიცია აქვს, რომელიც სათავეს იღებს მითოლოგიიდან, ბიოკლიმატური პირობებიდან, გეოგრაფიული მდებარეობიდან და ა.შ. სხვადასხვაა ფერის აღქმაც სხვადასხვა კულტურაში.

მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე ფერის ფსიქოემოციური ზეგავლენის უნარი და მისი თბოგამტარობითი თვისებები (სხივის არეკვლის თუ შეჩერების უნარი). სრულიად სხვადასხვა განცდას იწვევს ჩვენში ყვითელი, თეთრი, წითელი, ცისფერი თუ შავი ფერი. ჩვენ რეალურად, "ფიზიკურად" აღვიქვამთ "თბილ" და "ცივ" ფერებს. უტილიტარული თვალსაზრისით ფერებს შეუძლიათ მზისგან დაცვა ან პირიქით, მისი ნაკლებობის დროს "გათბობა". არქიტექტურულ გარემოში ფერთა არასწორ ხმარებას შეუძლია ფსიქოლოგიური დისკომფორტი გამოიწვიოს. ეს დისკომფორტი თავიდან გარეგნულად შეიძლება არ გამომჟღავნდეს, მაგრამ ყოველთვის სტრესს, "შფოთის გრძნობას" და ემოციურ დისბალანსს იწვევს, რადგან "ფერის ფსიქიკური ზემოქმედების ძალას უნარი შესწევს სულის ვიბრაცია გამოიწვიოს" (ვ. კანდინსკი).

ფერის სიმბოლური მნიშვნელობები ყველაზე მძაფრად და თვალნათლივ ხატწერაში ჩანს, სადაც ყოველ ფერს თავისი მნიშვნელობა აქვს. ქართული ხუროთმოძღვრებისთვის სახასიათო ფერთა გამა ყოველთვის ნათელი და სადა იყო. ამას განაპირობებდა აღმოსავლეთ ქრისტიანული ხელოვნების კონცეფცია, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული მხატვრული ტრადიცია და, რაღა თქმა უნდა, გეოკლიმატური პირობები - სამხრეთის მცხუნვარე მზე, თბოარეკვლის, თბოიზოლაციის კანონები, რომელიც არქიტექტორებს ყოველთვის ძალიან ნათელ და სადა ფერებს კარნახობდა.

რა ლოგიკით ენაცვლება დღეს ფერები ერთმანეთს თბილისში? ან რატომ? ვისი კონცეფციაა ასეთი სიჭრელე? ქალაქის მთავარი მხატვრის? ქალაქის არქიტექტურული სამსახურის? არსებობს კი საერთოდ რაიმე კონცეფცია? თუ უნდა ვიფიქროთ, რომ მხოლოდ ამ ფერის საღებავების პარტიის გასაღებითაა ვინმე დაინტერესებული? ვის დაეკითხა ქალაქის ხელისუფლება და რატომ არ იქნა განხილული და შეთანხმებული ეს კონცეფცია არქიტექტურულ და სამოქალაქო საზოგადოებასთან? ეს ხომ ბავშვთა სათამაშო მოედანი არაა. ეს ხომ ჩვენი დედაქალაქია.

როგორც ბატონმა მერმა ბრძანა - თავიდან არ მოსწონდათ და ახლა მიეჩვივნენო. რატომ და რას უნდა მივეჩვიოთ? უგემოვნებობას? ასეთი მიდგომით ცოტა ხანში ნამდვილად არაფერი არ გვექნება საჩვენებელი და თბილისი საპატიო ადგილს დაიკავებს თურქეთის პატარა ქალაქთა სიაში, მრავლად რომ არის ტრაბზონის მიმდებარე ტერიტორიაზე - მხოლოდ იქ შეიძლება ნახოთ ასე აფერადებულ-აჭრელებული არქიტექტურა, რომელიც რეალურ სახეს კარგავს და ფერის სიმკვეთრით ცდილობს დამალოს თავისი უსუსურობა!

თბილისი ნელ-ნელა სათამაშო ქალაქს ემსგავსება, ქალაქს, რომლის ცენტრალური გამზირის განაშენიანება აჭრელებულ ასაწყობ სათამაშოებს უფრო მოგვაგონებს... ქალაქს, რომელშიც ყველას შეუძლია ბავშვობის განუხორციელებელი სურვილები აისრულოს...

არ მინდა ჩემი საყვარელი ქალაქი ბარბის სახლს დაემსგავსოს, მიუხედავად იმისა, რომ ბარბი იმ ქვეყნის საყვარელი სათამაშოა, რომელიც ჩვენ დიდ დახმარებას გვპირდება. არ მინდა ამის სანაცვლოდ ქართულმა არქიტექტურამ მთლიანად დაკარგოს თვითმყოფადობა და ასე უნიჭოდ ჩაებას გლობალიზაციის არქიტექტურულ ფერხულში. "ევრორემონტიანი" და ასე "გალამაზებულ-გამოცოცხლებული" თბილისი ჩემი თბილისი ნამდვილად აღარაა.

ძალიან არ მინდა, რომ ეს წერილი განიხილოთ (ან განიხილონ) უსაფუძვლო (ან საფუძვლიანი) კრიტიკის სახით - ეს ჩემი, როგორც არქიტექტორის და, უბრალოდ, მოქალაქის გულისტკივილია. იმედი მაქვს, მას სხვებიც გამოეხმაურებიან და ერთიანი ძალისხმევით მოვახერხებთ ჩვენი ქალაქისთვის სასიკეთო ცვლილებების განხორციელებას, რაც მთავარია, ქართული არქიტექტურის სამეტყველო ენის შენარჩუნებას, რადგან, სამწუხაროდ, დღეს საუბარი ეროვნულობაზე, თვითმყოფადობაზე მხოლოდ პოპულიზმის დონეზე რჩება. ქართული არქიტექტურის სამეტყველო ენა კი იკარგება. იკარგება ის, რაც განასხვავებდა ქართულ (და მათ შორის თბილისურ) არქიტექტურას სხვა ქვეყნების არქიტექტურისგან. ქართული და თბილისური არქიტექტურის სამეტყველო ენის სპეციფიკის გააზრებისა და შენარჩუნების გარეშე კი შეუძლებელია თანამედროვე ქართული არქიტექტურის განვითარება.

მინდა მივმართო ყველას, ვისაც გული შესტკივა ჩვენს ქალაქზე და ვინც მუშაობს და იმუშავებს ძველ ქალაქში, მის დაგეგმარებაზე, ცალკეული შენობის რესტავრაციასა თუ თუნდაც მის გარეგნულ შეღებვაზე, გაიაზროს, რომ ეს არაა მისი საკუთრება და არაა მხოლოდ მისი ქალაქი, ეს უკვე ისტორიაა, ჩვენი ურბანული მემკვიდრეობაა და მას სათანადო მოპყრობა ესაჭიროება. არავის, რაგინდ მაღალი თანამდებობაც არ უნდა ეკავოს, არა აქვს უფლება, მხოლოდ თავისი სურვილით თუ გემოვნებით იხელმძღვანელოს. ნუთუ ერთიანობა, სამოქალაქო აზროვნება კვლავ ასე შორსაა ჩვენგან და მერაბ მამარდაშვილის მიერ ათწლეულების წინ ნანატრი მოქალაქეობრივი აზროვნება და პასუხისმგებლობა კვლავ საოცნებო სფეროს განეკუთვნება?!

სამსონ ლეჟავას სვეტი

# ნიკო ფიროსმანაშვილის სამყარო



მხატვრობის ერთ-ერთი ფუნქცია ალბათ ისიცაა, რომ ადამიანის აღქმა გაანთავისუფლოს მხოლოდ ბანალური, ჩვეული, ყოველდღიური ყოფის რიტმიდან, და "გადართოს" მისი ცნობიერება მეტი სიღრმისეულობის მიმართულებით. არც ისაა უმნიშვნელო, რომ ნამდვილ მხატვრობას ძალუძს დაგვანახოს, თუ შეგვაგრძნობინოს სამყარო სულ სხვა რიგის განცდით, თითქოსდა ახალი თვალით.

ფიროსმანაშვილის შემოქმედებაში მსგავსი მიდგომა ძირეულია, გადამწყვეტი. თუმცა, ამისათვის ოსტატს არ სჭირდება, თუ გნებავთ, სიურეალისტთა თავისთავად საკმარისად ეფექტური, და ძლიერ ზემოქმედი "ტრიუკები". საქმე ისაა, რომ ფერმწერი საგნის თვით არსს შეუდარებელი უშუალობით სჭვრეტს, და ჭვრეტის მთელ ამ ინტენსიურობას - საკვირველად პირდაპირი, უტყუარი და შეუმცდარი ხერხებით გადმოსცემს. ზღვრული განზოგადოების დროს, მასთან ყოველთვის ძალუმია ხელშესახებითობა, სიცოცხლისეულობა. გიორგი ხოშტარიამ, ჩინებული ანალიზის შედეგად, აჩვენა, თუ რაოდენ ნაირგვარი, ხშირად უეცარი და პარადოქსული შეხამებები გამოარჩევს ამ უდიდეს შემოქმედს, და თანაც იგი დაუჯერებელი ბუნებრიობითა და თავისუფლებით ახორციელებს ყოველსავე ზემოთ თქმულს.

სახელმოხვეჭილი მოქანდაკე ჰენრი მური გამოჰკვეთდა, რომ მხატვარმა უნდა გადმოსცეს თავად ფორმა, მთელი თავისი პირველადობით - ყოველგვარი დანაშრევებისა თუ "დანაზარდების" გარეშე. ამ თვალსაზრისით, ფიროსმანაშვილი სრულებით გამორჩეულია. იმდენად ძლიერია მასთან მთლიანობის ხარისხი, რომ იგი არსებითად, კულმინაციურად შეიძლება იქნას აღიარებული. იგი თითქოს კი არ ძერწავს ფორმას, არამედ პირდაპირ "აცხადებს", ერთგვარად "ჰბადებს" მას. ასეთი რამ ხშირი როდია ხელოვნების ისტორიაში.

ნიკალა ურთიერთს უხამებს თავდაჭერილობასა და "ძლევამოსილებას" ფორმისა, "მომჭირნეობასა" და იქვე - შეფარულ, მაგრამ აქტუალურ სახვით სიმდიდრეს, ზოგჯერ თითქოსდა ნიშნობრიობასა და თავისებურ "ხორცშესხმულობას". ასეთი თანამყოფობა მექანიკური როდია, არამედ ბირთვისებურად მტკიცედ ორგანიზებული სინთეზის გამოხატულებას წარმოადგენს, რომლის თვისობრიობაზე ასევე ძალიან საგულისხმოა გიორგი ხოშტარიას დაკვირვებები.

ძალიან საინტერესოა ფიროსმანაშვილის მხატვრობის მრავალგანზომილებიანობა, სულ სხვადასხვა რიგის სივრცეში ბუნებრივი არსებობის დროს (იქნება ეს დუქნის ინტერიერი, სარეკლამო აბრისათვის განკუთვნილი, ქუჩის სივრცესთან მოკონტაქტე გამოსახულების სპეციფიკური ალაგი, მუზეუმის გარემო, თუ ხელოვნების მოყვარულის, დავუშვათ კოლექციონერის - სამყოფელი).

ერთხანს მის ტილოებს ძალიან კონკრეტული ფუნქცია ეკისრა დუქანთა რამდენადმე "ჰედონისტურ"სივრცეში (ამ პრობლემატიკაზე ანგარიშგასაწევ მოსაზრებებს გვთავაზობს ერასტ კუზნეცოვი). ერთი რამ ცხადია: ოდესღაც ეს ნაწარმოებები, თავისი დამახასიათებელი სცენებით, შეიძლებოდა, ვისმე მოქეიფეთა "თანამონაწილეებადაც" კი წარმოედგინა. ასეთი ასპექტი არაა მოკლებული გარკვეულ საფუძველს - გავიხსენოთ როგორც დარბაისელი, ისე ზოგჯერ უფრო კვიმატი, ლხინისა და ზეიმის ატმოსფეროში ჩართული პერსონაჟები. ამასთანავე, თუგინდ ყველაზე მოწესრიგებულად წარმართული, ტრადიციული ქართული სუფრის არახელწამოსაკრავ რიტუალურობასთან შედარებითაც კი, აქ, ამ ტილოებში, ამაღლებულობის სულ სხვა ხარისხი გვეძლევა - ჩანს იმდაგვარი (თუმც კი ქართული სუფრისათვის არსობრივად ნიშანდობლივი) ტრაპეზულობა, რომელიც ყოველგვარ, კონკრეტულ თანამეინახეთა ყველაზე საუკეთესო თავყრილობასთან შედარებითაც, გაცილებით ზეაწეულია, ზოგან კი ნამდვილ ფრესკულობას მიახლოვებულიც: თავისი გარინდებულობით, იერატიულობითა და განწმენდილობით. ზემოთ კვიმატი პერსონაჟებიც ვახსენე, მაგრამ საბოლოო ჯამში, ისინიც ხომ აუცილებლად ერთვებიან ყოვლადი, ნებისმიერ კონკრეტულ პერსონაჟზე ამაღლებული, დიდი სამყაროს "ჰოლისტურ" წყობაში.

საგულისხმოა კიდევ ერთი რამ: ფიროსმანაშვილთან, მიუხედავად მისი სრულიად აშკარად თვალშისაცემი ინდივიდუალურობისა, გადამწყვეტია არა "თვითგამოხატვა" (თუნდაც უნივერსალური ხედვის პრეტენზიით), არამედ ღირსეული თავმდაბლობით წარმოჩენა თვალხილული სამყაროს უარსებითესი თვისობრიობისა - რაც ჩვენ გვეძლევა ხატოვანების მთელი სისავსით. აქ "მე" კი არ მოდის წინა პლანზე, არამედ ღვთიური შესაქმის სიდიადის ხილვაა წარმმართველი. სწორედ ამ ნიშნით არის ნიკო ფიროსმანაშვილი ღრმად რელიგიური მხატვარი, რასაც ადასტურებს მისი თითქმის ყოველი ნაწარმოები (და არა მხოლოდ ისეთი ქმნილებები, სადაც ჩანს, მაგალითად, მაცხოვრის ამაღლების, აღდგომისა თუ სხვა, მართლმადიდებელ ქრისტიანთათავის სასოების აღმძვრელი "თემები").

ფიროსმანაშვილის ფენომენი მართლაც ამოუწურავია, მისი შემოქმედება კი მარად მიმზიდი. იგი, ერთი მხრივ გეგონება - ახლობელია, უდიდესი ადამიანური სითბოთია გამსჭვალული, თითქოსდა "შენიანიც" კია, და ამასთანავე - შორია, შეუმეცნებელი, სრულებით გამოუცნობი...

ინფოთეკა

## ტრავმამ ხელი შეუშალა ადრიანოს ვარჯიშში

"როიტერსის" ცნობით, ბრაზილიის ეროვნული ნაკრების ფორვარდმა გუშინდელი ვარჯიში დროზე ადრე მიატოვა - დაწყებიდან 45 წუთის შემდეგ, თუმცა, მის ექიმს მაინც მიაჩნია, რომ ადრიანო, ალბათ, შეძლებს კონფედერაციათა თასის ფინალში მონაწილეობის მიღებას.

"ადრიანომ ვარჯიში სიფრთხილის გამო შეწყვიტა. მას ფეხის ტრავმა ჰქონდა. თუმცა, ახლა საშიში არაფერია. იმედია, იგი შეძლებს ფინალში თამაშს", - განაცხადა ექიმმა.

შეგახსენებთ, კონფედერაციათა ფინალში, რომელიც დღეს გაიმართება, ერთმანეთს შეხვდებიან ბრაზილიისა და არგენტინის ნაკრები გუნდები.

## "არსენალმა" გლებისთვის 15 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადა

გერმანული "შტუტგარტის" ნახევარმცველმა ალექსანდრ გლებმა ვადამდელ კონტრაქტს მოაწერა ხელი ლონდონის "არსენალთან". "როიტერსის" ცნობით, შეთანხმების თანხად 15 მილიონი გირვანქა სტერლინგი სახელდება.

"ის არის ფეხბურთელი, რომლითაც ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავი. ეს ფეხბურთელი ჩვენს თამაშს უფრო მეტად ხარისხიანს გახდის. მან თავისი შესაძლებლობები დაამტკიცა გერმანიის ჩემპიონატში თამაშისას. მას ის აუცილებელი პოტენციალი აქვს, რითაც სარგებლობას მოუტანს "არსენალს", - განაცხადა შენაძენით კმაყოფილმა "მეთოფეთა" მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა.

"ბედნიერი ვარ, "არსენალში" რომ გადავედი. დიდებულია ეს კლუბი თავისი სახელით, ხანგრძლივი ისტორიით და მსოფლიო დონის ფეხბურთელებით", - აღნიშნა გლებმა.

აქვე ერთი ინფორმაცია "არსენალთან" დაკავშირებით.

"მეთოფეთა" მეკარემ სტიუარტ ტეილორმა ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი "ასტონ ვილასთან". ამიერიდან ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების 21 წლის ფეხბურთელი ძირითად შემადგენლობაში ადგილის მოსაპოვებლად კონკურენციას გაუწევს ბირმინგემის კლუბისა და დანიის ეროვნული ნაკრების მეკარეს ტომას სორენსენს.

გარდა ამისა, "არსენალი" აპირებს, შოტლანდიის "სელტიკს" 22 წლის ფრანგი ფორვარდი ჟერომი ალადიერი იჯარით დაუთმოს.

## "ვალენსიამ" ოფიციალურად წარადგინა კლუივერტი

გუშინ ჰოლანდიელი თავდამსხმელი პატრიკ კლუივერტი ოფიციალურად წარადგინეს, როგორც ესპანური "ვალენსიას" ფეხბურთელი. კონტრაქტის ხელმოწერა ფეხბურთელის ტრავმის გამო გაჭიანურდა. მხოლოდ გასულ კვირას დაადასტურეს "ვალენსიას" ექიმებმა, რომ ფეხბურთელს მუხლი სრულ წესრიგში აქვს. შეთანხმების ერთი პუნქტის თანახმად, კლუბს შეუძლია ვადაზე ადრე გაწყვიტოს ფეხბურთელთან კონტრაქტი იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი დაკისრებულ მოვალეობას არ შეასრულებს.

"იმედი მაქვს, რომ გუნდის გულშემატკივრებს დიდ სიამოვნებას მივანიჭებ ჩემი თამაშით და უხვად გატანილი ბურთებით", - განაცხადა 28 წლის ფორვარდმა პრესკონფერენციაზე.

## კოლინას კიდევ ერთი წლით დართეს მუშაობის ნება

ცნობილ საფეხბურთო მსაჯს პიერლუიჯი კოლინას, გამონაკლისის სახით, კიდევ ერთი წელი მისცეს იტალიის ჩემპიონატის მატჩებში მსაჯობის უფლება. 45 წლის კოლინამ უკვე მიაღწია დაწესებულ ასაკობრივ ზღვარს. თუმცა, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ფრანკო კარარომ მასთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ კოლინას მოედანზე გამოსვლა 2006 წლის 30 ივნისამდე შეუძლია. ამ ფაქტს მის პოპულარობას უკავშირებენ.

ალსანიშნავია, რომ კოლინას მიმართ დიდ ინტერესს ამჟღავნებდა ინგლისის პრემიერლიგა, სადაც ასაკობრივი ზღვარი არ არსებობს. კოლინას რომ ბრიტანეთში გადასვლაზე თანხმობა განეცხადებინა, მას რვამილიონიანი კონტრაქტი ელოდებოდა.

## გლეიზერმა ყველა აქციის შეძენის უფლება მიიღო

"როიტერსის" ცნობით, ამერიკელმა მაგნატმა მალკოლმ გლეიზერმა "მანჩესტერ იუნაიტედის" აქციების საკუთარი წილი 98 პროცენტამდე გაზარდა. ამგვარად, იგი კლუბის სრულუფლებიანი მფლობელი გახდა.

ფეხბურთი

# გერმანიიდან შვეიცარიაში

მიხეილ აბაიშვილი

გერმანიის საკურორტო დაბა რუიტში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფმა თბილისის "დინამომ" მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელ ქვეყანაში ბოლო საკონტროლო მატჩი ჩაატარა. წინა ორის მსგავსად, "დინამოს" უპირატესობა ამჯერადაც აშკარა იყო. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია, რომ გერმანიაში ჩვენი გუნდი ანგარიშგასაწევ მეტოქეს არ შეხვედრია, მაგრამ ის შედეგიანობა, რითაც ამ სამ თამაშში მან თავი გამოიჩინა, მაინც სასიამოვნოა.

მესამე მატჩი "დინამომ" რადოცფელდში ობერლიგის წარმომადგენელ ადგილობრივ კლუბთან გამართა. კახა ცხადაძემ ამჯერადაც ორი შემადგენლობით ჩაატარა მატჩი.

**რადოცფელდი - დინამო 1:8 (0:4)**

**პირველი ტაიმი: ზოიძე. ალადაშვილი, ქემოკლიძე, ორბელაძე, კანდელაკი, ოდიკაძე, ნოზაძე, ბაბუნაშვილი, ნერგაძე, მეგრელაძე, მელქაძე.**

**მეორე ტაიმი: სტურუა, თომაშვილი, გიგაური, ქემოკლიძე (ფირცხალავა, 64`), აკობია, ჭელიძე, მახარაძე, გრიგალაშვილი, ნავალოვსკი, ბობოხიძე, დვალიშვილი.**

**გოლები: 0:1 მელქაძე 8`, 0:2 ნერგაძე 34`, 0:3 ოდიკაძე 40`, 0:4 მეგრელაძე 45`, 0:5 გრიგალაშვილი 59`, 0:6 ნავალოვსკი 63`, 1:6 შროფი 69`, 1:7 დვალიშვილი 75`, 1:8 დვალიშვილი 79`.**



"დინამო" რეგიონალლიგელებს დაერია.

მატჩის დეტალურ აღწერას აზრი არა აქვს. როგორც "დინამოს" პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ლევან სალუქვაძემ გვითხრა, მასპინძლები თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში "დინამოს" ნახევარზე გადასვლასაც კი ვერ ახერხებდნენ. ანგარიში შთამბეჭდავია, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველმა ფეხბურთელებმა გატანილ გოლებზე ორჯერ მეტი სახიფათო მომენტი შექმნეს მეტოქის კართან. წინა ორ მატჩში "დინამომ" მეტოქეთა კარში 10 გოლი გაიტანა, გუშინ კი ამ ათს რვა დაუმატა. ამის მიუხედავად, კახა ცხადაძე უკმაყოფილო იყო მისი გუნდის მიერ შექმნილი ხელსაყრელი საგოლე მომენტების რეალიზაციის დაბალი ხარისხით. ამ თვალსაზრისით, რადოცფელდთან მისმა ფეხბურთელებმა შედარებით უკეთ ითამაშეს.

"რადოცფელდთან" მატჩით დავასრულეთ საკონტროლო თამაშების პირველი ეტაპი. საერთო ჯამში გუნდის მიერ ნაჩვენები თამაშით და იმ პროგრესით, რომელსაც მატჩიდან მატჩამდე განვიცდით, უკმაყოფილო არ ვარ. სამ თამაშში 18 გოლი გავიტანეთ. თითქოს არ არის ურიგო შედეგი. თუმცა, მომენტების რეალიზაციაზე კიდევ ბევრი სამუშაო დაგვრჩა. თუ რა შედეგს მივაღწიეთ მზადების პირველ ეტაპზე ჩატარებული სამუშაოთი, რამდენიმე დღეში, გაცილებიოთ სერიოზულ მეტოქეებთან დაპირისპირებაში გამოჩნდება."

კახა ცხადაძე გულისხმობდა თამაშებს, რომელსაც "დინამო" შვეიცარიაში გამართავს. ქართველი ფეხბურთელები ხვალ გაემგზავრებიან და ქალაქ შოპჰაუზენში დაბინავდებიან. ამ ქალაქში "დინამო" შვეიცარიის უმაღლესი ლიგის წარმომადგენლებს - "სენტ გალენს", "გრასჰოპერს" და "შოპჰაუზენს" ეთამაშება.

# რობერტო კარლოსი: „მალე ესპანელი გავხდები"

*რობერტო კარლოსი*
*მცველი*
*მადრიდის "რეალშია" 1996 წლის ზაფხულიდან*
***ტიტულები:*** *ესპანეთის ჩემპიონი - 1997, 2001, 2003, ესპანეთის სუპერთასი - 1997, 2001, 2003, ჩემპიონთა თასი - 1998, 2000, 2002, ევროპის სუპერთასი - 2002, საკონტინენტთაშორისო თასი - 1998, 2002, ბრაზილიის ჩემპიონი - 1993, 1994, პაულისტას შტატის ჩემპიონი - 1993, 1994, მსოფლიოს ჩემპიონი - 2002, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი - 1998, სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი - 1997, 1999, სამხრეთ ამერიკის ვიცე-ჩემპიონი - 1995, ფიფას კონფედერაციათა თასის ჩემპიონი - 1997*
*ბრაზილიის ნაკრებში ჩაატარა 115 მატჩი (მეორე შედეგი ნაკრების ისტორიაში), გაიტანა 10 გოლი*

ლაშა გოდუაძე

რამდენიმე დღის წინ ესპანურმა გაზეთმა "მარკამ" ბრაზილიელ მცველ რობერტო კარლოსთან გამოაქვეყნა ინტერვიუ. სამხრეთამერიკელი მცველი ჯერჯერობით სამშობლოშია - შვებულებას სან-პაულუში ატარებს და, როგორც თავად ამბობს, ფიზიკურად და სულიერად შესანიშნავად ისვენებს.

დღეს სწორედ "მარკაში" გამოქვეყნებულ ინტერვიუს გთავაზობთ მცირედი შემოკლებით.

**ნატურალიზაცია**

- თითქმის გადაწყვეტილია, რომ ახალ სეზონს ესპანეთის მოქალაქედ შევხვდები. როგორც მაცნობეს, კლუბმა ყველა საბუთი გაგზავნა სათანადო ორგანოებში და იქიდანაც დადებითი პასუხი მოვიდა. ძალიან მიხარია, რომ უცხოელად აღარ ჩავითვლები! და, რაც ყველაზე კარგია, კლუბს კიდევ ერთი არაევროპელი მოთამაშის შეძენის საშუალება ექნება, რაც, ცხადია, ერთობ წაგვადგება. ესპანეთის პასპორტის აღების შემდეგ თავი ესპანელი მგონია! ხუმრობა ხომ არაა - თითქმის ათი წელია ამ დიდებულ ქალაქში ვცხოვრობ და ბრწყინვალე კლუბში ვთამაშობ!

**რონალდო**

- ცოტა ხნის წინ ვესაუბრე. ის ახლა რიოშია და, როგორც მითხრა, ბრწყინვალედ ისვენებს. ჩემი არ იყოს, მასაც ერთი სული აქვს, როდის დაიწყება სეზონი - ძალიან გვინდა მოედანზე გასვლა და მოგება - ტიტულები მოგვენატრა! მითხრა, რომ ესპანეთის ჩემპიონობაზე ოცნებობს და საამისოდ ყველაფერს გააკეთებს.

**ხოსე მარია გუტი**

- სამწუხაროა, რომ კლუბიდან წასვლა გადაწყვიტა. მას მუდმივად თამაში სურს, "რეალში" კი ამის გარანტიას ვერავის აძლევენ. გუტი ძალიან ამბიციური ფეხბურთელია - ეს შესანიშნავი თვისებაა - და მჯერა, რომ თავის გზას აუცილებლად იპოვის. მას მხოლოდ წარმატებებს ვუსურვებ!

**რობინიო**

- ძალიან გამიხარდება, თუ




ჩემს მიერ გათავისუფლებული არაევროპელის ადგილს "რეალში" ის დაიკავებს. რობინიო უდავოდ ნიჭიერი ბიჭია და მიმაჩნია, რომ ჩვენთან გადმოსვლა მას მხოლოდ და მხოლოდ წაადგება. რობინიომ დაამტკიცა, რომ უმაღლეს დონეზე სათამაშოდ მზადაა. ვფიქრობ, "რეალში" თავიდნვე ვერ მოიკიდებს ფეხს, მაგრამ აქ გადმოსვლა მაინც ძალიან წაადგება. რამდენჯერმე ვესაუბრე და მითხრა, რომ ჯერ გარკვეული არაფერია - ბრაზილიელი ქომაგები "სანტოსში" დარჩენას სთხოვენ, თუმცა, თავად სურს, "რეალში" მოსინჯოს ძალები. დარწმუნებული ვარ, მადრიდელი ქომაგები მისი თამაშით მხოლოდ მოიხიბლებიან - ისაა თავდამსხმელი, რომელიც სხვანაირ, არაორდინარულ ფეხბურთს თამაშობს...

**პაბლო გარსია**

- მართლა ძალიან კარგი შენაძენია - ძლიერი მცველია და ვფიქრობ, დაცვის დარეგულირებაში დიდ წვლილს შეიტანს. როცა ჩვენს წინააღმდეგ თამაშობდა, ყოველთვის კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა. ფიზიკურად ძლიერია და მგონი მისი მოსვლით ჩვენი დაცვა აშკარად უკეთესი გახდება.

**სერხიო რამოსი**

- "რეალი" მისით რომ იყო დაინტერესებული, ჯერ კიდევ გაზაფხულზე ვიცოდი. ჩემი აზრით, ერთ-ერთი საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშეა პრიმერადივიზიონში. ვფიქრობ, ჩვენი ხელმძღვანელობა სწორად მოიქცა - ძალიან კარგია, რომ აქცენტი მომავალ თაობაზე კეთდება!

# "რეალის" ულტიმატუმი

რობინიოსთვის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. "რეალს" ბრაზილიელი ფორვარდის შეძენაში ლონდონის "არსენალი" ეპაექრება. სწორედ ლონდონელთა ინტერესი დაიხვია ხელზე ბრაზილიური "სანტოსის" პრეზიდენტმა მარსელო ტეშეირამ და განაცხადა: ვისაც რობინიოს შეძენა სურს, მან 50 მილიონი დოლარი უნდა გადაიხადოსო.

არადა, საქმე ისე მიმდინარეობდა, რომ ბრაზილიელი ვარსკვლავი "სამეფო კლუბში" უნდა გადასულიყო. რობინიოს თქმით, "რეალში" მისი გადასვლა რამდენიმე საათის ამბავია, მაგრამ საქმე მოულოდნელად სხვაგვარად დატრიალდა. მადრიდის "რეალმა" ბრაზილიელებს თავდაპირველად ფეხბურთელში 16 მილიონი ევრო შესთავაზა. თუმცა, "სანტოსის" ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ "არსენალი" მას 20 მილიონს უხდის, ამიტომ "რეალს" თანხის გაზრდა მოსთხოვა. ვიდრე ესპანელები ყოყმანობდნენ, ტეშეირამ თამასა ასწია და ფეხბურთელში 50 მილიონი დოლარი მოითხოვა.

ამის პასუხად მადრიდელებმა ბრაზილიელებს ულტიმატუმი წაუყენეს. "მადრიდის "რეალი" ფეხბურთელში არ გადაიხდის 25 მილიონ დოლარზე მეტს და საბოლოო პასუხს 8 ივლისამდე დაელოდება", - განაცხადა რობინიოს წარმომადგენელმა ვაგნერ რიბეირომ. "თუ "სანტოსი" 8 ივლისამდე არ მიიღებს ესპანელთა წინადადებას, მაშინ "რეალი" ოფიციალურად განაცხადებს, რომ ეს ფეხბურთელი აღარ აინტერესებს, - განაცხადა აგენტმა, - "რეალმა" ულტიმატუმი წამოაყენა. თუ რობინიო გადაწყვეტილებას ახლა არ მიიღებს, ესპანელები მის ნაცვლად სხვა ფეხბურთელს შეიძენენ. მე გარანტიას ვიძლევი, რომ 8 ივლისი საბოლოო ვადაა".

რიბეირო არ აკონკრეტებს, ამჯერად "რეალმა" რამდენი შესთავაზა "სანტოსს", მაგრამ ბრაზილიური გაზეთი "Folha de Sao Paulo" იუწყება, რომ საუბარია 25 მილიონ დოლარზე. "ეს "რეალის" ბოლო წინადადებაა. ესპანელები საქმეს დახურავენ, რადგან ეს თამაში არ არის. "ჩვენ "სანტოსს" ახალი წინადადებით მივმართეთ და ვიმედოვნებთ, რომ ამ კვირაში მისი ხელმძღვანელობისგან პასუხს მივიღებთ",



რობინიოს საკითხი 8 ივლისამდე გადაწყდება.

- განაცხადა რიბეირომ, რომელმაც ტეშეირას მიერ მოთხოვნილი თანხა 50 მილიონი დოლარი უტოპიად მიიჩნია. "ეს უტოპიური ციფრია. "რეალი" ამ ფულს არ გადაიხდის. თუ ტეშეირას წინადადება ევროპული ბაზრისთვის აბსურდულია, წარმოიდგინეთ, როგორი იქნება ის ბრაზილიური ბაზრისთვის. "რეალი" "სანტოსს" ორჯერ მეტ თანხას სთავაზობს, ვიდრე "მილანმა" კაკაში გადაიხადა და ცხრაჯერ მეტს, ვიდრე "სევილიამ" ჟულიო ბაპტისტაში. ამ ფულით ოთხი დიეგოს ("სანტოსის" ყოფილი ფეხბურთელი, რომელიც ამჟამად "პორტუს" ღირსებას იცავს) შეძენა შეიძლება. თქვენ მიგაჩნიათ, რომ ეს ცოტაა?"

ტეშეირა კი ჯიუტად 50 მილიონს ითხოვს. "სანტოსის" პრესსამსახურმა განაცხადა, რომ კლუბის პრეზიდენტი უარყოფს ნებისმიერ წინადადებას, ვიდრე თანხა 50 მილიონამდე არ გაიზრდება. გასულ კვირას ტეშეირამ განაცხადა, რომ აზრს არ შეიცვლის და გულშემატკივრები დაარწმუნა, რომ რობინიო გუნდში, სულ ცოტა, ერთი წლით მაინც, გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატის დასრულებამდე დარჩება.

ინფოთეკა

## ჯილარდინო შეიძლება "პარმაში" დარჩეს

Sky Sports-ის ცნობით, შესაძლებელია, იტალიური კლუბის "პარმას" თავდამსხმელმა ალბერტო ჯილარდინომ მომავალი სეზონი თავის ამჟამინდელ გუნდში გაატაროს.

ადრე მისი შეძენა ორ გუნდს - "ჩელსისა" და "მილანს" სურდა. რამდენიმე ხნის წინათ "მილანის" მფლობელმა სილვიო ბერლუსკონიმ განაცხადა, რომ მისი კლუბი არ აპირებს ჯილადინოში გადაიხადოს 32,5 მილიონი გირვანქა სტერლინგი - თანხა, რომელსაც "პარმა" ითხოვს ამ ფეხბურთელისთვის.

"ის "პარმაში" დარჩება, თანაც დარჩება არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ამ თანხად არ ღირს, იმიტომაც, რომ ის სატრანსფერო განაცხადში აღარ არის. რამდენადაც ვიცი, "პარმა" იყიდება. ვფიქრობ, რომ ადამიანი, რომელიც მას შეიძენს, ჯილარდინოს გაყიდვას არ მოინდომებს", - განაცხადა ბერლუსკონიმ.

რაც შეეხება მეორე პრეტენდენტს - ლონდონის "ჩელსის", მან მთელი ყურადღება ტურინის "იუვენტუსის" თავდამსხმელზე დევიდ ტრეზეგეზე გადაიტანა.

*მომზადა ნინო ტიკარაძემ*

TV-სპორტი

**ოთხშაბათი. 29 ივნისი**

**НТВ+ФУТБОЛ**
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატი. ნახევარფინალი. ბრაზილია - არგენტინა
14:00 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
14:45 ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატი. ნახევარფინალი. მაროკო - ნიგერია
16:30 თავისუფალი დარტყმა
16:45 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2001/02 "ბაიერი" - "ბარსელონა"
18:30 "დიდი წინააღმდეგობები. განვლილი სეზონი - შოტლანდიის ჩემპიონატი. "სელტიკი" - "გლაზგო რეინჯერსი"
20:15 თავისუფალი დარტყმა
20:30 სახვალიო ტელეპროგრამა
20:35 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2001/02 "დეპორტივო" - "მანჩესტერ იუნაიტედი"
22:20 "დიდი წინააღმდეგობები. განვლილი სეზონი - იტალიის ჩემპიონატი. "მილანი" - "იუვენტუსი"
00:05 "FUTBOL MUNDIAL"

**НТВ+ПЛЮС**
10:00, 15:30 პრესცენტრი
10:20, 15:45 "ქრონიკა"
10:25 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. ქალები. მეოთხედფინალები. შესვენებისას (13:00) - პრესცენტრი
15:00 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. შედეგები
15:50 სახვალიო ტელეპროგრამა
15:55 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. ვაჟები. მეოთხედფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია
23:00 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. შედეგები
23:30 კეკუსინკაი კარატე-დო. რუსეთის ჩემპიონატი
00:30 ახალი ამბები
00:45 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
01:15 01:15-დან 04:40-მდე შესვენება
04:40 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**
10:30 მძლეოსნობა. იააფ-ის დიდი პრიზი ჩეხეთში
12:00 ხელბურთი. ხმელთაშუა ზღვის თამაშები ესპანეთში. მეოთხედფინალი. ვაჟები. პირდაპირი ტრანსლაცია
13:30 მულტისპორტი. VIP - საშვი
13:45 მულტისპორტი - აი, მესმის!
14:15 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი გერმანიაში
14:30 ხელბურთი. ხმელთაშუა ზღვის თამაშები ესპანეთში. მეოთხედფინალი. ვაჟები. პირდაპირი ტრანსლაცია
16:00 ცურვა. ხმელთაშუა ზღვის თამაშები ესპანეთში. ფინალები
17:15 მძლეოსნობა. იააფ-ის დიდი პრიზი ჩეხეთში
19:00 მულტისპორტი. VIP - საშვი
19:15 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი გერმანიაში
19:30 საბრძოლო ხელოვნება. შოუ პარიზის სპორტის სასახლე "ბერსიში"
21:00 "ოლიმპიური თამაშები". ტელეჟურნალი
21:30 ცხენოსნობა. ნაციის თასი საფრანგეთში. მიმოხილვა
22:30 გოლფი. US PGA. მიმოხილვა
23:30 გოლფი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი. მიმოხილვა
00:00 აფროსნობა
00:30 ახალი ამბები - ბიზნეს-კლასი
00:45 მულტისპორტი ოთხშაბათობით
01:00 რეიდ თავგადასავალი
01:30 ახალი ამბები
01:45 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი გერმანიაში. ფინალი

ჩოგბურთი

# შესანიშნავი ოთხეული

ქალთა სექტორში უიმბლდონის წლევანდელი გათამაშების ნახევარფინალურ ეტაპს ოთხი უძლიერესი ჩოგბურთელი შემორჩა. ასეთ შეფასებას აძლევენ მეოთხედფინალურ მატჩებს ჩოგბურთის სპეციალისტები. ჩემპიონი ლინდსი დევენპორტი, მარია შარაპოვა, ამელი მორესმო და ვინუს უილიამსი. შესაბამისად, ტურნირის პირველი, მეორე, მესამე და მეთოთხმეტე ნომრები.

უიმბლდონის ჩემპიონი მარია შარაპოვა ინტერვიუებში არ მალავს, რომ ტიტულის დაცვას აპირებს და ამ მიზნის განხორციელებაში წინ ვერავინ დაუდგება. ტურნირის მეორე ნომერი ნახევარფინალში გავიდა და მიზანთან ახლაც ახლოს არის. მან შარშან ფინალში ვინუსის და, სერენა უილიამსი დაამარცხა. წელს კი უკვე ნახევარფინალურ ეტაპზე ვინუსთან მოუწევს ანგარიშის გასწორება. შარაპოვა მიიჩნევს, რომ სერენას მსგავსად ვინუსიც უაღრესად ძლიერი მეტოქეა, მაგრამ მან იცის შავკანიანი ჩოგბურთელის განეიტრალების გზები და შეეცდება საკუთარი რეცეპტი კორტზე დაამტკიცოს.

შარაპოვამ მეოთხედფინალში თანამემამულე ნადეჟდა პეტროვა დაამარცხა - 7:6, 6:3. მეოთხედფინალური წყვილებიდან კორტებზე პირველად სწორედ ეს წყვილი გამოჩნდა. ტურნირის მეორე ჩოგნის შეხვედრა ნადეჟდა პეტროვასთან მას ნახევარფინალში გარანტირებულ გასვლას არ უქადდა და უიმბლდონის ჩემპიონმაც კარგად იცოდა, რომ იოლი ბრძოლა არ იქნებოდა. ასეც მოხდა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ შარაპოვამ ეს მატჩი ისე წარმართა, როგორც ფავორიტს ეკადრებოდა. გაუძლორა სასტარტო მღელვარებას, შარაპოვამ შესამჩნევად მაღალი კლასის ხარჯზე სასურველ შედეგს მიაღწია.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ მატჩამდე შარაპოვა თავის ინტერვიუებში დაახლოებით ასეთი ტონით საუბრობდა: "მე ნადიას დიდი ხნის წინათ შევხვდი, ამიტომ, ცოტა არ იყოს, ვღელავ იმაზე, თუ როგორ შევძლებ მის წინააღმდეგ თამაშს. პეტროვას უაღრესად კარგი მოწოდება აქვს, რომელთან ადაპტირებაც საკმაოდ რთული საქმეა", - განაცხადა შარაპოვამ.

პირველი პარტიის მსვლელობამ შარაპოვას შეშფოთება მთლიანად გაამართლა. პეტროვამ თამაში ბევრად უფრო შთამბეჭდავად და აქტიურად დაიწყო, ვიდრე მისმა მეტოქემ. პეტროვა მეტოქის ბადეში ბურთს ისეთი სიმძლავრით უშვებდა, რომ მეტოქეზე არანაკლებ აქტიურად მოთამაშე შარაპოვა ხეირიანად ბურთის მიღებას ვერც კი ასწრებდა. ამასთან, მატჩის დებიუტში პეტროვა პირველ ბურთს ზუსტად აწოდებდა.



საჩოგბურთო სამყარო შარაპოვა - დევენპორტის ფინალს ელოდება.



### მეოთხედფინალი. ქალები:

| | |
|---|---|
| მარია შარაპოვა (რუსეთი, 2) - ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი, 8) | 7:6 (8:6), 6:3 |
| ლინდსი დევენპორტი (აშშ, 1) - სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი, 5) | 7:6 (7:1), 6:3 |
| ამელი მორესმო (საფრანგეთი, 3) - ანასტასია მისკინა (რუსეთი, 9) | 6:3, 6:4 |
| ვინუს უილიამსი (აშშ, 14) - მარი პირსი (საფრანგეთი, 12) | 6:0, 7:6 (12:10) |

ნადეჟდა პეტროვას ასეთმა აქტიურმა თამაშმა თავისი შედეგი გამოიღო. სულ მალე პეტროვამ შარაპოვას მოწოდება მიითვალა და - 6:5-მდე თვითონ დომინირებდა კორტზე. ტურნირის მერვე ნომერი მეტოქეს ოსტატურად არბენინებდა აქეთ-იქით და შემდეგ მოჭრილ ბურთს ზუსტად აგდებდა ბადესთან ახლოს.

თუმცა, სეტის ბოლოს შარაპოვამ მოახერხა და წაგებული გეიმი დაიბრუნა. ასე გადაიზარდა სეტი ტაი-ბრეიკში. აქ თამაშის სტილი აბსოლუტურად არ განსხვავდებოდა წინა გათამაშებებისგან. მეტოქეები საკუთარ მოწოდებებს იგებდნენ და მეტოქეს საგრძნობი უპირატესობის მოპოვების საშუალებას არ აძლევდნენ. მხოლოდ მაშინ, როცა ანგარიში - 6:6 იყო, შარაპოვამ მოახერხა მომდევნო ორი მოწოდების მოგება და სეტიც თავის სასარგებლოდ დაასრულა - 8:6.

მატჩის მეორე პარტია, რომელიც ამ შეხვედრაში ბოლო აღმოჩნდა, უკვე შარაპოვას საგრძნობი უპირატესობით წარიმართა. მან დებიუტშივე ბრეიკი გაახერხა და ანგარიშში დაწინაურდა - 3:0. როგორც წესი, ასეთ უპირატესობას უიმბლდონის ჩემპიონი არ ფლანგავს. ასე მოხდა ამჯერადაც. შარაპოვამ მეორე სეტიც მოიგო - 6:3 და ნახევარფინალში შეხვდება ვინუს უილიამსს, რომელმაც, თავის მხრივ, ასევე ორ სეტში დაამარცხა ფრანგი მარი პირსი - 6:0, 7:6.

მატჩის შემდეგ შარაპოვამ დაღლაზე დაიჩივლა. "მატჩის დასასრული უაღრესად დაძაბული გამოდგა და შეუპოვარ ბრძოლაში წარიმართა. მე კინაღამ კრუნჩხვები დამეწყო, ამიტომ ძალიან მოხარული ვარ, რომ ნახევარფინალში გავედი" - განაცხადა უიმბლდონის ჩემპიონმა.

რაც შეეხება უილიამსისა და პირსის მატჩს, აქ ფრანგმა თამაში საოცრად დაბნეულად დაიწყო და პირველ სეტში მეტოქეს ვერაფერი დაუპირისპირა. უილიამსს კი, პირიქით, ყველაფერი იდეალურად გამოსდიოდა და მეტოქეს შანსი არ დაუტოვა. მეორე სეტში ფრანგმა ისე იბრძოლა, როგორც ეკადრებოდა. მეტოქეები საკუთარ მოწოდებებს იგებდნენ და მატჩი ტაი-ბრეიკამდე მივიდა. ჩოგბურთელები აქაც ბოლომდე არ თმობდნენ პოზიციებს. ერთ-ერთ ეპიზოდში, როცა ანგარიში - 6:4 იყო პირსის სასარგებლოდ, მას სეტ-ბოლიც ჰქონდა, მაგრამ ვინუს უილიამსმა შეძლო მეტოქის მოწოდების მოგება და შემდეგ ინიციატივა ხელიდან აღარ გაუშვია. საბოლოოდ - 12:10 უილიამსის სასარგებლოდ.

მეორე ნახევარფინალში ამელი მორესმო და ლინდსი დევენპორტი დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. აღსანიშნავია, რომ ორივე ჩოგბურთელმა რუსები დაამარცხა - მორესმომ მეცხრე ნომრად განთესილი მისკინა, ხოლო დევენპორტმა ტურნირის მეხუთე ნომერი სვეტლანა კუზნეცოვა. ორივემ ორ სეტში იმარჯვა. შესაბამისად - 6:3, 6:4 და 7:6, 6:3.

ფორმულა 1

# „ინდის" ხურმა „მანი-კურზეც?"

გიგა გურასაშვილი

*მას შემდეგ, რაც "აშშ-ის დიდ პრიზზე" და მის სარბიელზე "ინდიანაპოლისის" ტრასაზე მოხდა, გამორიცხული აღარაფერია. სავსებით შესაძლებელია, "ინდის" ფარსი კვლავაც გამეორდეს, თუ საერთაშორისო საავტომობილო ფედერაცია (ფია) "მიშლენის" საბურავებზე შემდგარ შვიდ საჯინიბოს მსოფლიო ჩემპიონატის მეცხრე ეტაპის ბოიკოტისთვის დასჯის. აქედან გამომდინარე, ჩაშლის პერსპექტივა "საფრანგეთის დიდ პრიზსაც" ემუქრება.*

როგორც წესი, ბოლო წლებში ჩაგრულთა ინტერესების დამცველად "მინარდის" საჯინიბოს შეფი პოლ სტოდარტი გამოდის. სტოდარტმა არც ახლა უღალატა ტრადიციას და სხვათა გულისტკივილი ყველაზე უკეთ გაახმოვანა, ჩაგრულები კი "მიშლენის" საბურავების შვიდი საჯინიბოსგან შემდგარი კლიენტურაა - ისინი, რომლებმაც "ინდიზე" დემარშს მიმართეს. "მინარდის" ხელმძღვანელი იმითაცაა გამორჩეული, რომ "ფერარის" ჰეგემონიის წინააღმდეგ ხმალამოღებული იბრძვის. სითამამისა თუ გამჭრიახობის გამო სტოდარტს ერთხანს ფია-ს პრეზიდენტის მაქს მოსლის სავარძელში მოკალათებასაც უწინასწარმეტყველებდნენ.

ერთი სიტყვით, "აშშ-ის დიდი პრიზის" ბოიკოტის შემდეგ სტოდარტი მის კალთას ამოფარებულ საჯინიბოთა ინტერესების დაცვას შეუდგა. ამიტომაც მოსლის განცხადებას, "დიდი შვიდეული" დემარშისთვის პასუხს აგებსო, უმალ გამოეხმაურა, თუმცა, ამ შემთხვევაში მუქარით გაჯერებულ საპასუხო სვლასთან გვაქვს საქმე. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ ფია გადაწყვეტს გამიჯნული გუნდების მკაცრად დასჯას, გამორიცხული არაა, "შვიდეულმა" საკუთარი ბოლიდები "მანი კურის" ტრასაზეც (საფრანგეთის დიდ პრიზზე", რომელიც კვირას გათამაშდება) არ გაიყვანოს.

ამასთან დაკავშირებით დღეს პარიზში, ფია-ს შტაბბინაში მოსმენაა.

"იმედია, მოსლი გუნდებს არ დასჯის, - აცხადებს სტოდარტი, - მაგრამ, ჩემი მონაცემებით, მას უკვე გადაწყვეტილი აქვს მკაცრად დასაჯოს მეამბოხენი. მგონია, რომ ეს გუნდები "საფრანგეთის დიდ პრიზსაც" გამოტოვებენ. ამბობენ, რომ შესაძლოა, ფედერაციამ თითოეული გუნდი 2,5 მილიონი დოლარით დააჯარიმოს ან ჩემპიონატიდან გარიცხოს. ასე რომ, საქმე გვაქვს დასჯის მასშტაბებთან.

ჩვენ მზად ვართ სასამართლო პროცესებისთვის, მაგრამ უმჯობესია ფია-ს გადაწყვეტილებას დაველოდოთ. იმედია, მაქს მოსლიზე საღი აზრი გაიმარჯვებს".

ისე კი, ერთი რამაა თვალში საცემი. საქმე ის გახლავთ, რომ "მინარდის" ბოლიდებმა ინდიანაპოლისში იასპარეზეს! ვინც "აშშ-ის დიდ პრიზს" ადევნებდა თვალყურს, სტოდარტის ცინიკურ გამომეტყველებასაც შენიშნავდა და იმასაც, რომ ტელეობიექტივების წინ ცერი დემონსტრაციულად ქვევით ჰქონდა დაშვებული.



გავლენ თუ არა საჭინიბოები "მანი-კურზე" კვირას გამოჩნდება.

ამასობაში ინდიანაპოლისური ბოიკოტის მთავარი შემოქმედი ტოიოტელი რალფ შუმახერი მზადაა "მანი-კურის" ტრასაზე რბოლისთვის. გეხსომებათ, "აშშ-ის დიდ პრიზზე" თავისუფალი ვარჯიშისას ერთ-ერთ მოსახვევში გერმანელის ბოლიდს საბურავი ("მიშლენის") გაუსკდა და დამცავ ჯებირს შეასკდა. სწორედ რალფის ავარიის შემდეგ იყო, რომ "მიშლენის" კლიენტურამ ეჭვქვეშ დააყენა ფრანგული კომპანიის საბურავების საიმედოობა. თუმცა, მანამდე განცხადებით გამოვიდა თავად "მიშლენი", რომელმაც თქვა, არსებობს საფრთხე, ძირითად რბოლაზე იგივე გამეორდესო. ამის შემდეგ ფრანგული კომპანიის მომხმარებელმა გუნდებმა რბოლაში მონაწილეობაზე უარი თქვეს.

..."მანი-კურის" ავტოდრომი (4,411 კმ.) "მიშლენისთვის" მშობლიურად ითვლება. ამიტომ ფრანგული კომპანია ყველა ღონეს ხმარობს იმისთვის, რომ "საფრანგეთის დიდი პრიზისთვის" (3 ივლისი) საკუთარი მომხმარებლები საუკეთესო ფორმაში ჰყავდეს.

საინტერესოა, რომ "დიდი შვიდეულის" პოზიციებს მხარს უჭერს მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი. სკუდერიელი მიიჩნევს, რომ ფია-ს დღევანდელ მოსმენაზე გუნდები არ უნდა დაისაჯონ, რადგან ისედაც საკმაოდ ბევრი დაკარგეს, როდესაც "ინდიზე" არ იასპარეზესო. თავად კი, მოგეხსენებათ, ჩემპიონატის პირველი რბოლა მოიგო. არადა, ინდიანაპოლისური დემარშის შემდეგ "ფერარისაც" ადანაშაულებდნენ - სოლიდარობა არ გამოუცხადა გუნდებს და ტრასაზე გავიდაო. საქმე ისაა, რომ მაშინ რბოლის გაუქმება მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო შესაძლებელი, თუ ათივე გუნდი ერთხმად იტყოდა უარს შეჯიბრებაში გამოსვლაზე. სკუდერია სწორედ ის ერთადერთი გუნდი აღმოჩნდა, რომელიც ამ გადწყვეტილებას არ დაეთანხმა. ასე რომ, საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციას ხელ-ფეხი გაეხსნა და ეტაპი ჩაატარა, ეტაპი, რომელშიც სამმა საჯინიბომ - "ფერარიმ", "მინარდიმ" და "ჯორდანმა" იასპარეზეს (ეს ის გუნდებია, რომლებიც "ბრიჯსტოუნით" სარგებლობენ).

თებერვლიდან "24 საათი" ინგლისურად.
English newspaper 24 Hours, coming out from February
გამოწერით.
on subscription basis
e-mail: public@24hours.ge
Tel: 20 24 24 Fax:20 24 25



# თვითმარქვია ფრიდრიხი



ფრიდრიხ II ჰოჰენშტაუფენი

როცა 1943 წელს ამერიკელების დესანტის სიცილიაზე გადმოსხდომისას ვერმახტის ქვედანაყოფები სასწრაფოდ ტოვებდნენ კუნძულს, ერთმა გენერალმა დამატებითი ტრანსპორტი მოითხოვა ჰოჰენშტაუფენთა სარკოფაგების ევაკუაციისთვის — "რათა არ დაეტოვებინა გერმანელთა სიამაყე ცრუპენტელა რომაელების მიწაზე". მხოლოდ მოკავშირეთა ელვისებურმა იერიშმა შეუშალა ხელი ამ ბარბაროსობას.

ალბათ ძვალთა სიმშვიდის ყოველგვარი დარღვევა ბარბაროსობაა. დიდი ადამიანს საფლავი არ სჭირდება, ხოლო უცხო მხარეში აღმოჩენილი მისი სამარხი გაცილებით უფრო ატარებს თავის თავში შინაგან ტრაგიზმს, ბიოგრაფიის ჭეშმარიტ მნიშვნელობას, ვიდრე ეიფორიაში ჩავარდნილ შთამომავალთა მიერ მისი ნეშტის ზარზეიმით გადმოსვენება მამულში, რომლისგან განსვენებული უკვე ვეღარაფერს მიიღებს.

მით უმეტეს შეუსაბამო იქნებოდა ეს ფრიდრიხ მეორისათვის, რომლის პიროვნება სწორედ სიცილიაში გაიფურჩქნა და სრულიად შეესისხლხორცა მის მიწასა და ხალხს. ფრიდრიხ მეორე როგირ ფონ ჰოჰენშტაუფენს გაცილებით უფრო ხშირად უწოდებდნენ "ფედერიკოს" — ეს იყო მისი მშობლიური ენა.

იმპერატორი 1250 წელს იმსხვერპლა დიზინტერიამ (ვერსია მისი მკვლელობის შესახებ, როგორც ეტყობა, მცდარია). იტალიის მეხსიერებაში ის დიდი და გასაოცარი მბრძანებლის სახით დარჩა, მაგრამ განსაკუთრებული სიმწვავე მის შესახებ მოგონებამ გერმანელებს შორის შეიძინა. როდესაც იმპერიის ტახტზე **რუდოლფ ჰაბსბურგი** ავიდა, გერმანელები შეშფოთდნენ. ეს, უპირველეს ყოვლისა, ახალი მმართველის საგადასახადო პოლიტიკამ გამოიწვია: ქონების ყოველი "ოცდამეათე ფენიგი" იმპერატორისა იყო (სხვა სიტყვებით, დაწესდა ქონებაზე გადასახადი 3,33% ოდენობით). ამ ვითარებაში, ყველა, ვინც თავს ფრიდრიხად ასაღებდა, თითქმის უპირობო ნდობით სარგებლობდა.

პირველი თვითმარქვია ვინმე მონაზონი ჰაინრიხი იყო, რომელმაც კელნში თავი ფრიდრიხ მეორედ ჯერ კიდევ 1280 წელს გამოაცხადა. მაგრამ 1284 წელს ამგვარივე მოვლენა მოხდა თავისუფალ ქალაქ ლიუბეკში, სადაც თვითმარქვია მოსახლეობამ დიდებით მიაცილა ბურგომისტრის სასახლემდე, ბურგომისტრი კი დიდი მოწიწებით ესაუბრა მას. ბურგომისტრი მრავალჯერ ყოფილა ნამდვილი იმპერატორის კარზე, მაგრამ მაინც შეცდა. რამდენიმე დღის შემდეგ კი უცნობი თვითმარქვია სრულიად მოულოდნელად გაქრა.

ნამდვილად ისტორიული მნიშვნელობა კი სულ სხვა ცრუ-ფრიდრიხმა მიიღო. სინამდვილეში მას ქვემო-გერმანულად **ტილ კოლუპი**, ზემოგერმანულად კი **დიტრიხ ჰოლცშუ** ერქვა. შესაძლებელია, რომ კელნში შემდეგ კი ლიუბეკში გამოჩენილი კაცი და ტილ კოლუპი ერთი და იგივე პიროვნება იყო. ასეა თუ ისე, კელნში თვითმარქვიას მაშინვე დაუპირისპირდა მთავარეპისკოპოსი და მისი ამალა: ცრუ-ფრიდრიცი სიცილ-ხარხარით გააძევეს ქალაქიდან. სამაგიეროდ ის დიდი პატივით მიიღეს მახლობლად მდებარე ქალაქ ნოისში, სადაც თვითმარქვიამ მთელი კარი შემოიკრიბა და რამდენიმე თვის განმავლობაში მართავდა ქალაქს.

ამ "მმართველობის" შესახებ მონაცემები მწირია და ურთიერთსაწინააღმდეგო. ყოველ შემთხვევაში, არ უნდა ვიფიქროთ, რომ საქმე გვაქვს გლეხთან ან ხელოსანთან, რომელიც მხოლოდ გარეგნულად ჰგავდა იმპერატორს. მით უმეტეს, რომ გარეგნულ მსგავსებას შუა საუკუნეებში არ ჰქონდა არავითარი საიდენტიფიკაციო მნიშვნელობა. იმისათვის, რომ კარგად შეასრულო იმპერატორის როლი, არაა საკმარისი მხოლოდ "მედიდური" გამომეტყველება (გავიხსენოთ "ოთარაანთ-ქვრივში" აღწერილი გლეხები, რომლებიც გიორგის დანახვაზე ამბობდნენ, დოინჯის შემორტყმაღა აკლია და თავადიშვილიაო). ფრიდრიხ მეორის როლისთვის აუცილებელი იქნებოდა სამეფო კარის გამოცდილება და უცხო ენების ცოდნა.

თვითმარქვიასაგან შემორჩა რამდენიმე წერილი, რომელიც მან ბრაბანტისა და ჰოლანდიის გრაფებს გაუგზავნა. მართალია, შეიძლება ეს გვიანდელი ნაყალბევი იყოს, მაგრამ შტაუფენთა კანცელარიის სტილი მკვლევრებს აფიქრებინებს, რომ სინამდვილეში ეს თვითმარქვია იმპერატორის რომელიმე უკანონო შთამომავალი იყო, მოგვიანებით უგზოუკვლოდ დაკარგული.

თვითმარქვია გულუხვად არიგებდა მამულებს. მაგალითად, ესენის ერთ დედათა მონასტერს მოზრდილი ნაკვეთი აჩუქა და სიგელითაც დაუმოწმა. მოგვიანებით კელნის მთავარეპისკოპოსმა ძლივს დაუმტკიცა სასამართლოში ამ აქტის სიყალბე მონასტრის წინამძღვარს, ბერტას.

ბოლოს და ბოლოს ცრუ-ფრიდრიხის შესახებ ცნობებმა იტალიაშიც შეაღწია. იტალიის თავისუფალმა ქალაქებმა და გრაფმა დ`ესტემ საგანგებო მალემსრბოლებიც გააგზავნეს გერმანიაში. ქრონისტი სალიმბენე კი წერდა, რომ 1284 წელს მკვდრეთით აღდგა აპოკალიფსურ მორწმუნეთა იმედები იმპერატორის დაბრუნების შესახებ. იგივეს წერდა უცნობი ბრიტანელი მემატიანეც.

უკვე ვერც რუდოლფ ჰაბსბურგმა აიტანა მოვლენების ამგვარი განვითარება, 1285 წელს ელზასში ქალაქ კოლმარის ალყა მოხსნა და ჩრდილოეთისკენ გაემართა. ამასობაში ტილ კოლუპმა დატოვა ნოისი, რადგან კელნის მთავარეპისკოპოსის სამხედრო ჩარევის შეეშინდა და რუდოლფის შესახვედრად იმპერატორის ურჩ ელზასში გაეშურა. აქ ქალაქ ვეცლარში იგი სიხარულით მიიღეს, მაგრამ როგორც კი კედლებს რუდოლფის ჯარი მიუახლოვდა, პატრიციებმა ყოველგვარი ქენჯნის გარეშე გასცეს თვითმარქვია 1285 წლის 9 მაისს.

მხოლოდ წამების შედეგად გასცა ტილ კოლუპმა (დიტრიც ჰოლცშუმ) თავისი ნამდვილი სახელი. თუმცა ეს შეიძლება მხოლოდ ჯალათთა მიერ შერქმეული დამამცირებელი მეტსახელი იყოს, რადგან მაშინ გერმანელი გლეხები ჯერ კიდევ არ ატარებდნენ გვარებს, ჰოლცშუ კი ხის ფეხსაცმელს ნიშნავს — გლეხური კოსტიუმის ჩვეულებრივ ელემენტს, რომელიც ალბათ კლასობრივი ნიშანიც იყო. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ 1285 წლის 7 ივლისს კოცონზე ასული თვითმარქვია სინამდვილეში მეფე ჰაინრიხ მეშვიდის ერთ-ერთი დაკარგული ვაჟი იყო. ისინი ორნი იყვნენ — ფრიდრიხი და ჰაინრიხი. მამის დაღუპვისა და დედის ხელმეორედ გათხოვების შემდეგ ისინი ალბათ სადღაც საიმედო ადგილას იმალებოდნენ, რათა ხელსაყრელი სიტუაციის დადგომისას, რომელიმე მათგანი დღის სინათლეზე გამოსულიყო ამბოხებულ ელზასში პოლიტიკური ავანტიურის ჩასატარებლად. როგორც ეტყობა, **კარლ მარქსამდე** რამდენიმე საუკუნით ადრეც იცოდნენ გერმანელებმა, რომ საშინელი დასასრული ჯობია დაუსრულებელ საშინელებას.

# ერთი ლეგენდა ქვეყნიერების საოცრებაზე

**ფრიდრიხ II ჰოჰენშტაუფენი** — სხვანაირად, stupor mundi, ანუ "ქვეყნიერების საოცრება". უცნაური, უფრო სწორად, მართლაც გასაოცარი კაცი იყო წარმოშობით შვაბი, პრუსიიდან განდევნილი და 1225 წელს სიცილიის სამეფო ტახტზე ასული ეს პიროვნება, არანაკლებ ლეგენდარული იმპერატორის, **ფრიდრიხ ბარბაროსას** შვილიშვილი.

ექვსი ენა იცოდა ზედმიწევნით კარგად, თავისი დროისთვის უჩვეულო, ბიუროკრატიაზე დაყრდნობილი სახელმწიფო შექმნა, დაწერა ევროპის ისტორიაში პირველი მეცნიერული ტრაქტატი "შევარდნით ნადირობისთვის", თხზავდა იტალიურ ლექსებს და თავის კარზე ისეთი კულტურული გარემო ჩამოაყალიბა, რომლის გარეშეც წარმოუდგენელი იქნებოდა **დანტე ალიგიერი**.

სიკვდილამდე ხუთი წლით ადრე, 1245 წელს ფრიდრიხ II-ს ერთმა კარდინალმა მსოფლიოს გარდამქმნელი უწოდა. თუმცა ამგვარი წოდება იმ დროს, როცა მთელი საქრისტიანო ანტიქრისტეს მოსვლისა და ბოლო ჟამის შიშით იყო გამსჭვალული, არ უნდა ყოფილიყო მაინცდამაინც სახარბიელო. მით უმეტეს, რომ კაცობრიობა დასასრულს სულ მალე, 1260 წელს ელოდა.

სწორედ სამხრეთ იტალიაში მოღვაწეობდა ის ნიჭიერი და მდიდარი წარმოსახვით დაჯილდოებული ასკეტი, **იოაკიმე ფლორელი**, რომელმაც აპოკალიფსური მოლოდინები ტექსტის, უფრო მეტიც, ერთგვარი ისტორიოსოფიული თეორიის სახით ჩამოაყალიბა. მისი მიმდევრები სწორედ ფრიდრიხში ხედავდნენ ანტიქრისტეს და ამტკიცებდნენ, რომ ის სულაც არ მომკვდარა...

არა მარტო ეგზალტირებული ასკეტები, არამედ სრულიად ჭკუადამჯდარი მემატიანე, **სალიმბენე პარმელი** ლამის იგივე აზრისა იყო. სწორედ მან მოიყვანა პირველად ეგრეთ წოდებული ერითრეელი სიბილას ძველი წინასწარმეტყველება, რომელიც ფრიდრიცის სახელს დაუკავშირეს: "იდუმალი სიკვდილი დაუხუჭავს თვალებს, მაგრამ მაინც გადარჩება; ხალხებში ხმა გავარდება: ცოცხლობს და არც ცოცხლობს, ერთადერთი იცოცხლებს შთამომავალთა და იმათ შთამომავალთა შემდეგ". როგორც ყველა წინასწარმეტყველებას მოსდის ადრე თუ გვიან, იოაკიმეს თეორიაც დაინგრა 1260 წელს, რადგან ანტიქრისტე არ გამოჩენილა და ქვეყნიერებაც განაგრძობდა არსებობას. სამაგიეროდ, ფრიდრიხ მეორის ფოლკლორულ ნიადაგზე გადასული ისტორია შეუერთდა მერლინისა და მეფე არტურის ლეგენდებს. ყოველივე ამას ხელი შეუწყო ერთმა გეოგრაფიულმა გარემოებამ: სწორედ სიცილიაზე მდებარეობს ვულკანი ეტნა — ანტიკურობაშივე აღიარებული ჯოჯოხეთის კარიბჭედ.

XIII საუკუნიდან ცეცხლისმფრქვეველი კრატერი რატომღაც სამოთხის ბაღად და ნეტარების ადგილად იქცა: ხალხური წარმოდგენების თანახმად აქ განაგრძობდნენ ცხოვრებას მეფე არტური და მრავალი მაგიდის რაინდები. თუმცა ლოენგრინის ეპოსის მიხედვით, არტურის ჯადოსნური მთა ინდოეთში მდებარეობდა. სამაგიეროდ, **ჰარტმან ფონ აუე** თავის ეპოსში "ივაინი" ახსენებს გლეხებს, რომელთაც დღემდე სწამთ, რომ მეფე არტური და იმპერატორი ფრიდრიხი ცოცხლები არიან.

თუმცა ამ ლეგენდებმა საინტერესო გაგრძელება თუ გამოხმაურება პოვეს ახალ დროში...

1268 წელს გარდაიცვალა ჰოჰენშტაუფენების უკანასკნელი კანონიერი მემკვიდრე, **კონრადინი**. მაშინ აპოკალიფსურ განწყობათა ცენტრში მოექცა ფრიდრიხის კანონიერი ქალიშვილი **მარგარიტა**, რომელიც ცამეტი წლის ასაკში დაინიშნა ორი წლის ჩვილზე, ტიურინგიის გრაფ **ალბრეხტზე**. ამ უკანასკნელისთვის თერთმეტი წლით უფროსი პატარძალი მეტად სარგებლიანი პარტია იყო, მაგრამ ქორწინებიდან ათი წლის შემდეგ ალბრეხტმა თავისი ნორჩი სეფე-ქალი შეიყვარა და სრულიად უყურადღებოდ მიაგდო მეუღლე და ოთხი შვილი. ამის გამო ხალხმა ალბრეხტს "გარყვნილი" შეარქვა. თუმცა მარგარიტას ამან ვერ უშველა და ის 1270 წელს ვარტბურგიდან ძლივს გაექცა მასზე დაგეგმილ თავდასხმას. გამწარებულმა ქალმა ლოყაზე ძლიერად უკბინა თავის მეორე ვაჟს, **ფრიდრიხს**. ამას კარგა ხანს შერჩა სახელად **ფრიდრიხ ნაკბენი**, სანამ საგმირო საქმეებით არ მოიპოვა სხვა ზედწოდება — **ფრიდრიხ მამაცი**.

მაგრამ 1269 წელს, ანუ ამ მოვლენებამდე ერთი წლით ადრე, იტალიაში გამარჯვებულმა გიბელინების, ანუ იმპერიის მომხრეთა პარტიამ სიცილიის ტახტზე სწორედ ეს ფრიდრიხი ისურვა. ლიტერატურულად გაფორმებულ მანიფესტში, სადაც გიბელინები ძველ წინასწარმეტყველებებსაც იხსენებდნენ, გამოთქმული იყო იმედი, რომ ფრიდრიხ მესამე თავისი დიდი წინაპრის იმპერიას აღადგენს. თორმეტი წლის მოზარდი უკვე მოიხსენიებოდა სამეფო სიგელებში როგორც "ფრიდრიხ მესამე, მეფე იერუსალიმისა და სიცილისსა, ჰერცოგი შვაბიისა, ლანდგრაფი ტიურინგიისა, პფალცგრაფი საქსონიისა".





ფრიდრიხ II ჰოჰენშტაუფენი

მაგრამ ჰოჰენშტაუფენების გამეფება არ სურდა რომის პაპის კურიას. სწორედ ეს ყოვლისშემძლე ინსტიტუტი ჩაერია საქმეში 1271 წელს და სიცილიის ტახტზე **რუდოლფ ჰაბსბურგს** დაუჭირა მხარი. სწორედ პაპის კანდიდატურა გამეფდა 1273 წელს პალერმოში, თუმცა ხალხი მაინც ლეგენდარულ ჰოჰენშტაუფენს ელოდა.

1278 წელს მემატიანე **პეტრე ციტაუსელი** წერს, რომ მძლავრი იმპერატორი ფრიდრიხ მამაცი სულ მალე სასწაულებს მოიმოქმედებს სამღვდელოების მიმართ. ამ სასწაულების ბუნებას გვამცნობს სხვა მემატიანე, პოლიტიკური მწერალი **ალფრედ რესელი**. 1280 წლით დათარიღებულ მის ტექსტში წერია, რომ ძველი გერმანული წინასწარმეტყველების თანახმად, ჰოჰენშტაუფენთა შთამომავალი, სახელად ფრიდრიხი, დაამცირებს ეკლესიას და აწამებს სამღვდელოებას. თუმცა 1323 წელს ფრიდრიც მამაცი ისე მოკვდა, რომ არც ერთი წინასწარმეტყველება არ აუსრულებია.

თუმცა ამას არ დაუშრეტია ახალ წინასწარმეტყველებათა წყარო. პოლიტიკურმა სწრაფვებმა, რომლებიც გერმანული იმპერიის აღორძინებასა და პაპის ძალაუფლების შეზღუდვასთან იყო დაკავშირებული, სრულიად განდევნეს წერილობითი კულტურიდან ხალხური ლეგენდები. ამ უკანასკნელთა კვლას მხოლოდ XV საუკუნის 20-იანი წლებიდან ვაკვლევთ.

ერთი სიტყვით, როგორც კი სადმე პოლიტიკური კრიზისი ან ეკონომიკური მდგომარეობის დამძიმება შეინიშნებოდა, მაშინვე ამოჰყოფდა თავს რაიმე წინასწარმეტყველება იმის შესახებ, რომ მალე გამეფდება ჰოჰენშტაუფენების შთამომავალი ფრიდრიხი და ყოველგვარ პრობლემას მოუვლის. მოლოდინები შეიძლება სრულიად რეალური ყოფილიყო, ან სრულიად არარეალური. თუმცა ამ დაფარული სწრაფვების გეოგრაფიული არეალი სულ უფრო შორდებოდა სიცილიას და იზღუდებოდა გერმანიით. ახალი ბატონებითა და პაპის ლეგატთა გაუმაძღრობით შევიწროებული გლეხები და ბიურგერები სულ უფრო მეტად ოცნებობდნენ ძველი იმპერიის დაბრუნებაზე.

ამიტომაც იყო, რომ 1520 წელს **მარტინ ლუთერმა** თავის წერილში "გერმანელი ერის ქრისტიან თავადაზნაურობას ქრისტიანული მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ" სწორედ ის გაიხსენა, რა უსამართლოდ ეპყრობოდნენ რომის პაპები ფრიდრიხ ბარბაროსას და მის შვილიშვილს. როგორც ეტყობა, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო გერმანელთა შორის ძველი ოცნებები, ხოლო ახალი სწრაფვები კი იქ იყრიდა თავს, სადაც დღემდე შეიმჩნეოდა ძველი გვირგვინის რეალური კვალი. ერთ-ერთი ასეთი ადგილი იყო კიფჰაუზენის ციხე-დარბაზი.

ამგვარი განწყობები სულაც არ ყოფილა უსაფრთხო ან უწყინარი. ქალაქ აიზენახის კანონიკი და ცნობილი ისტორიკოსი **იოჰანეს როტე** (1360 - 1434) წერდა, რომ იმპერატორი ფრიდრიხ მეორე ერეტიკოსი იყო, აქედან გამომდინარე კი ყველა, ვისაც მისი დაბრუნება სწამს, ასევე ერეტიკოსია. როტეს დროს ასეთი კვალიფიკაცია სასიკვდილო განაჩენს ნიშნავდა: მხოლოდ 1414 წელს ტიურინგიაში ფრიდრიხის 168 მომლოდინე ცოცხლად დაწვეს კოცონზე. თვით როტე კი ეგრეთ წოდებული კიფჰაუზენის ლეგენდის პირველი ოფიციალური მოწმე იყო. ის წერს: "ამ იმპერატორისგან წამოვიდა ახალი ერესი, რომელიც ქრისტიანთა შორის იდუმალად არსებობს და მათ მტკიცედ სწამთ, რომ იმპერატორი ფრიდრიხი ჯერაც ცოცხალია და ცოცხალი დარჩება საშინელ სამსჯავრომდე, მის შემდეგ კი არავინ იქნება ჭეშმარიტი იმპერატორი, რადგან ის დადის ტიურინგიაში კიფჰაუზენის ციხე-დარბაზის გარშემო, ცხოვრობს ამ დანგრეულ ნაგებობასა და სხვა ციხე-სიმაგრეებში, ესაუბრება ხალხს და ხანდახან ეცხადება კიდეც. ეს ეშმაკის საცთურია, რომლითაც იგი ებრძვის ერეტიკოსებსა და მიამიტ ქრისტიანებს".

1421 წელს, როცა როტე ამ სტრიქონებს წერდა, კიფჰაუზენი უკვე დანგრეულად და ცხოვრებისთვის გამოუსადეგარად მიიჩნეოდა. ლეგენდის თანახმად, ფრიდრიხ მეორე აქ პილიგრიმის სახით ჩნდებოდა.

ასევე, ქალაქ აინბეკის მკვიდრი მღვდელი **თეოდორიხ ეგელგუსი** წერს, რომ იმპერატორი ფრიდრიხი ჯერ კიდევ ცხოვრობს "in castro confusionis" (დანგრეულ ციხე-დარბაზში). საინტერესოა, რომ ფილოსოფოსი **გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცი** (სწორედ ის, რომელიც ჩვენი ფართო საზოგადოებისთვის ცნობილია როგორც **ილია ჭავჭავაძის** ლექსის "ქართვლის დედას" ეპიგრაფის ავტორი), როცა 1700 წლის შემდეგ ბრაუნშვაიგ-ლუნებურგის კარის მემატიანედ მსახურობდა, ასეთ კომენტარს იძლევა: ეგელგუსის ტექსტში მოყვანილი სიტყვა "კონფუზიონის" სინამდვილეში მრავალი გადაწერის შედეგად დამახინჯებული კიფჰაუზენია. ასეა თუ ისე, XV საუკუნის ბოლოს ჰესენური ქრონიკა სწორედ ეგელგუსზე დაყრდნობით გვამცნობს, რომ "იმპერატორი ფრიდრიხი, როგორც მას შეეფერება, ცხოვრობს ტიურინგიაში, კიფჰაუზენის ციხე-დარბაზში".

რეფორმაციის პერიოდში, როცა გერმანიაში გლეხთა ამბოხებებმა იფეთქა და 1525 წელს კიფჰაუზენის მიდამოებში ამბოხებულთა ლიდერის, **ტომას მიუნცერის** ექვსი ათასმა მომხრემ დაღვარა სისხლი, ლეგენდამ ახალი სიცოცხლე შეიძინა. 1537 წლის ცნობის ფურცელი მოგვითხრობს ერთი მწყემსის ამბავს, რომელიც თვით ფრიდრიხმა შეიყვანა მთის წიაღში და იქ დაასაჩუქრა კარგი სიმღერისთვის. მწყემსმა იხილა იარაღი და ცოცხალი რაინდები, რომლებიც აუცილებლად დაეპატრონებიან უფლის საფლავს. სხვა პოლიტიკური მიზნები ფრიდრიხის დაბრუნებამ უკვე დაკარგა ლუთერანული რეფორმაციის შემდეგ. ისიც საკითხავია, რატომ მაინცდამაინც კიფჰაუზენის გარშემო იკრიბებოდნენ ამბოხებული გლეხები: იქნებ საიმპერატორო გვირგვინის ყალბ ბრწყინვალებაში მათ ძველი "მშვიდობისა და სამართლიანობის" აღდგენა ელანდებოდათ? ყოველ შემთხვევაში, 1525 წლის ტრაგედიის შემდეგ კიფგაუზენის ლეგენდა გადარჩა, რასაც არა მხოლოდ 1537 წლის ცნობის ფურცელი მოწმობს. 1546 წელს საყოველთაო ყურადღება დაიმსახურა ერთმა გიჟმა თერძმა, რომელიც ციხე-დარბაზის ნანგრევებში ცხოვრობდა და თავს ფრიდრიხ მეორედ ასაღებდა. ეს ამბავი სიკვდილის სარეცელზე მწოლიარე ლუთერსაც მიუტანეს, ხოლო შვარცბურგის გრაფმა თერძის გასაძევებლად შეიარაღებული რაზმიც კი გაგზავნა.

1681 წლისთვის ფრიდრიხის სახემ ახალი თვისებები შეიძინა: მას უკვე სძინავს და გაღვიძებას ელის. ლეგენდების შემგროვებელი **პრეტორიუსი** ასე აგვიწერს იმპერატორს: ის მთის წიაღში ღრმად განლაგებულ დარბაზში მრგვალ მაგიდას უზის ჩაძინებული და იმ დღეს გაიღვიძებს, როცა მთის გარშემო ყვავები შეწყვეტენ ფრენას.

მომდევნო საუკუნეებში კი ლეგენდა რომანტიზაციას დაექვემდებარა. ფრიდრიხ მეორე შეუერთდა თავის ბაბუას, ფრიდრიხ ბარბაროსას და ამგვარ კრებით სახედ ქცეული გამოეცხადა გერმანელებს. ნორდჰაუზენის საქალაქო ექიმი, **გ. ბერენსი** 1703 წელს წერს, რომ რადგან ნამდვილი ფრიდრიხი აპულიაში მოკლეს მისი უკანონო ვაჟის, მანფრედის ბრძანებით, ბევრს სწამს, თითქოს მთაში მჯდომარე სულ სხვა ფრიდრიხია. გერმანელმა რომანტიკოსებმა საბოლოოდ წაართველს ფრიდრიხ მეორეს ყველა ლეგენდარული "პრივილეგია" და მთაში მძინარე თუ ციხე-დარბაზში მცხოვრები იმპერატორი საბოლოოდ დაუკავშირეს ბაბუას, ფრიდრიხ ბარბაროსას.

ამასობაში კი 1815 წელს ჩატარებულმა ვენის კონგრესმა გერმანელი პატრიოტების იმედები გააქარწყლა: ქვეყანა უვიც და თავკერძა თავადებს ჩაუგდო ხელში. ამიტომაც დაიწერა 1817 წელს **ფრიდრიხ რიუკერტის** ლექსი, სადაც მთაში მძინარე ბარბაროსას სახე არანაკლებ აგულიანებდა გერმანელ მოსწავლეებს, ვიდრე აკაკის ამირანი და ილიას უსახელო ყრმა — ქართველებს. ასე იქცა ხალხური ზღაპარი ნაციონალურ ლეგენდად.

მაგრამ ეროვნული გავრცელება ამავე დროს შევიწროებასაც ნიშნავდა: შუასაუკუნეობრივი მსოფლიო მბრძანებელი ახლა უკვე გერმანელ იმპერატორად იქცა. 1837 წელს საფრანგეთში გადახვეწილი **ჰაინრიხ ჰაინე** წერდა, რომ თვითონ ხშირად მისულა ტიურინგიაში მდებარე კიფჰაუზენის მთასთან და უყვირია: "მოდი, ბარბაროსა, მოდი!". ამ დროს თურმე პოეტის გულს ცეცხლი წვავდა, ლაწვებზე კი ცრემლი ჩამოსდიოდა. ეს ჯერ კიდევ ცნობილი "გერმანული სანტიმენტებია".

მაგრამ 1871 წელს, როცა გერმანიას სათავეში კაიზერი ჩაუდგა, "ეროვნულად განწყობილ" გერმანელთა წრეებში კიფჰაუზენის ლეგენდამ კიდევ უფრო დიდი პოპულარობა მოიპოვა. კაიზერი **ვილჰელმ I ჰოჰენცოლერნი** პოეტებმა "ბარბაროსას გამთავისუფლებელად" მონათლეს. მაგრამ ახლა უკვე არა მხოლოდ პოეტები იღვწოდნენ ნაციონალური ლეგენდისთვის, არამედ ისტორიკოსებიც: კონიუნქტურულმა მეცნიერმა **გეორგ ფოიგტმა** სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა კიფჰაუზენის ლეგენდას, სადაც პირველ პლანზე იმპერატორ ფრიდრიხის ფოლკლორული სახე გამოიყვანა და თითქმის უგულებელყო მის შექმნაში იოაკიმე ფლორელის მიმდევართა და იტალიელ მოხეტიალე ფრანცისკელთა წვლილი. ისტორიკოსის მთავარი მიზანი იყო ჰოჰენცოლერნების ახალდაბადებული იმპერიის დაკავშირება შუასაუკუნეობრივ "ფესვებთან".

*ნოდარ ლადარია*
*ლეილა ბეზარაშვილი*

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

ბოლნისის რაიონში არსებული შპს ტელეკომპანია "V არხი" (მისამართი: ქ. ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. №115, სს "საქართველოს ბანკის" ბოლნისის ფილიალი ანგარიშის №3607000034, კოდი 225357878) აცხადებს ღია ტენდერს ტელეკომპანიაში აპარატურის შეძენაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

აპარატურის ნუსხა:

1. ერთი პროფესიული ციფრული სამონტაჟო (ვიდეოფორმატი DVCAM):
- ვიდეო ფლეიერი 1 ცალი;
- ვიდეო რეკორდერი 1 ცალი;
- სამონტაჟო პულტი 1 ცალი;
- ხმის მიქშერი 1 ცალი;
- ვიდეო მონიტორი 2 ცალი;

2. ერთი არაწრფივი (კომპიუტერული) სამონტაჟო კომპლექტი (ვიდეოფორმატი DVCAM):
- კომპიუტერი PENTIUM-4;
- პროგრამული უზრუნველყოფა (უახლესი სამონტაჟო პროგრამა);
- ვიდეო რეკორდერი;
- ვიდეო მონიტორი;
- აუდიო მიქშერი.

3. პროფესიული ვიდეოკამერების კომპლექტი (ვიდეოფორმატი DVCAM):
- პროფესიული ვიდეოკამერა 2 ცალი;
- პროფესიული შტატივი 2 ცალი;
- აკუმულატორი 2 ცალი;
- აკუმულატორის დამტენი (ადაპტორი);
- კამერის განათება 2 ცალი;
- დამცავი ჩიხოლი 2 ცალი;
- მიკროფონი 2 ცალი;
- მიკროფონი 2 ცალი;
- აქსესუარები.

4. ერთი ნახევრად პროფესიული ვიდეოკამერის კომპლექტი (ვიდეოფორმატი DVCAM):
- კომპაქტური ნახევრად პროფესიული ვიდეოკამერა;
- შტატივი;
- კამერის განათება;
- აკუმულატორი;
- აკუმულატორის დამტენი (ადაპტორი).

5. სტუდიის 1 ვიდეოკამერა სუფლიორით:
- პროფესიული ვიდეოკამერა;
- სუფლიორი;
- კომპიუტერი სუფლიორისათვის.

6. ტელეჟურნალისტის სამუშაო ადგილისათვის განკუთვნილი დამატებითი საჭირო ვიდეოტექნიკა:
- ვიდეომაგნიტოფონი (ვიდეოფორმატი DVCAM);
- მონიტორი;
- აუდიომიქშერი.

7. აქსესუარები და სხვა აუცილებელი ტექნიკა:
- UPS - სამი ცალი;
- ვიდეოკასეტები (ვიდეოფორმატი DVCAM);
- ყურსასმენი 3 ცალი;
- მიქშერი 1 ცალი.

ზემოაღნიშნული ტექნიკის ინსტალაციისათვის საჭირო აუდიო-ვიდეო, დენის კაბელები, კონექტორები და გადამყვანები.

2. მიწოდების სასურველი ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 კალენდარული დღე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 14 ივლისიდან 18 ივლისამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. №115. საინფორმაციო ცენტრის შენობა, მე-2 სართული. სატენდერო კომისიის აპარატი.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ბ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ 22 ივლისამდე შეძლებათ მისამართზე: ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქ. №115 (საინფორმაციო ცენტრის შენობა).

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, შპს ტელეკომპანია "V არხის" დირექტორის მ.შ. ეთერ ჩუმაშვილი (ტელ. 899 94 94 41), მისამართზე: ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქ. №115 (საინფორმაციო ცენტრის შენობა).

**სატენდერო კომისია**

---

სახელი ______ მისამართი ______

გვარი ______

ასაკი ______ საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ______

სიმაღლე ______

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა ______ თარიღი ______

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, ბუნებაგახსნილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

თქვენი ფოტოსურათი

## TV პროგრამა

29 ივნისი, ოთხშაბათი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** რეინჯერები **10.00** სერიალი "ოცნების კოშკები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.50** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "ექიმი ზღვაზე" (გ) **15.25** უიმბლდონის მიმოხილვა **16.30** სერიალი "ოცნების კოშკები" **17.25** რეინჯერები **18.30** პატრული **19.00** ხალხის პირისპირ **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** სერიალი "სასოწარკვეთილი დიასახლისები" **22.45** კონფედერაციის თასი. ფინალი. **00.45** მხ. ფილმი "ამელი" (18) (ოდრი ტოტუ) **03.10** პატრული

---

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "აინშტაინის დაუსრულებელი სიმფონია" **11.00** დოკ. ფილმი "მოგზაურობა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "ტენტენის თავგადასავლი" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" სომხურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** "რაციო"- ი. მერაბიშვილი **16.30** დოკ. ფილმი "დაკარგული ხელოვნების ძიებაში" **17.30** ვაკანსია **18.00** "მთავარი" რეგიონებიდან **18.30** დოკ. სერიალი "სკოლის შემდეგ" 5-6ს. **19.00** "ჰოლმარკი" - "ნოეს კიდობანი" **19.40** ფეხბურთი. კონფედერაციის თასი. მატჩი მე-3 ადგილისთვის. **21.40** კონფედერაციის თასის მიმოხილვა **22.00** ფეხბურთი. კონფედერაციის თასი. ფინალი. **00.40** კინოსამყარო "შენი სრულყოფილება" (12) **02.10** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **09.30** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **10.30** მხ. ფილმი "მე ანა მქვია" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **12.30** ტელეჟურნალი "მოდა" **13.05** "დიელი და პასკო" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნ. პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "დიუნის შვილები" **18.20** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **19.05** სერ. "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "კარაბინერები" **21.45** არჩევანის ზღვარზე **22.45** საფესტივალო ჩვენება: "კომპლექსი", "რამდენიმე სურათი თეატრის ცხოვრებიდან ანუ ინტერვიუ ჭოლასთან" **00.30** მხ. ფილმი "ღვთის ნაბოძები" (გ) (რ. რომინ-სტამოსი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" მე-2ს. **19.50** "ბაბილინა" **20.00** დოკ. სერიალი "მხატვრები და პროვანსი" **20.30** დოკ. სერიალი "ექსცენტრიკოსები" **20.55** დოკ. ფილმი "დაზვერვის ცენტრალური ბიურო" **21.45** კინოსეანსი "თუში მეცხვარე" მე-3ს.

### იმედი

**07.45** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** ანიმაც. ფილმი "მარკოსა და ჯინას თავგადასავლები" მე-3ს. **08.40** იმედის დილა **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "თენდება გვიან" **12.40, 16.40, 01.35** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "სრული სისულელე" **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.25** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.10** არტ-ბულვარი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.25** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "თენდება გვიან" მე-2ს. **22.55** "უცნობი საქართველო" **23.25** მხ. ფილმი "ადამიანი ფარვანას წინასწარმეტყველება" (12) (რ. გირი) **02.10** იმედის მელოდიები

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" **10.20** "მოგზაური" **11.00** "სტარტი" **11.45** მხ. ფილმი "ცის კიდეში" **14.30, 17.30, 20.30** "ახალი ამბები" **15.05** კომედია "დიდი ლებოვსკი" **17.55** მულტფილმი **18.30** "ნოვოსტი" **19.15** "ლაშქარი" **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.00** ბოევიკი "სასიკვდილო გამოშვება" **23.00** დოკუმენტური ფილმი **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** ისტორიული ფილმი "ჯვაროსნული ლაშქრობა"

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"ВРЕМЯ ЖЕСТОКИХ". 10.20** Сериал **"ВИОЛА ТАРАКАНОВА. В МИРЕ ПРЕСТУПНЫХ СТРАСТЕЙ". 11.30** Дисней-клуб: "Русалочка". **12.20** Александр Домогаров в фильме **"ОГНЕМ И МЕЧОМ". 13.10** Ростислав Янковский в фильме **"ЧЕЛОВЕК ИЗ ЧЕРНОЙ "ВОЛГИ" 15.20** "Угадай мелодию" **15.40** Детективный сериал **"СЫЩИКИ". 16.50** Сериал **"ХОЗЯЙКА СУДЬБЫ". 18.10** Вне закона. **18.40** "Пять вечеров". **19.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.00** Время. **22.30** "Последние 24 часа Андрея Миронова". **23.30** Сами Насери в боевике **"ОСИНОЕ ГНЕЗДО".** Офицеру элитного спецназа Элен Лабори поручено сопровождать опасного преступника, крупного албанского мафиози Абедина Нексера, который должен предстать перед европейским судом. Его обвиняют в создании широкой сети домов терпимости. Но в ходе транспортировки на полицейский броневик нападают люди Нектора в надежде отбить своего босса. Преследуемые бандитами, спецназовцы укрываются на огромном складе. Там начинается отчаянная схватка с вооруженным до зубов врагом... **01.30** Эйдан Куинн в триллере **"В ПЛЕНУ У ПРИЗРАКОВ".** Когда в 1905 году трагически погибла сестра-близнец Дэвида Эша, его семья надолго перебралась в Соединенные штаты. Но чувство вины за неспособность предотвратить несчастье навсегда поселилось в сердце Дэвида и не исчезло с годами. В 1928 году Дэвид, уже профессор, специализирующийся на изучении разных аномальных явлений, возвращается в Англию, чтобы преподавать в Кембридже. А вскоре он получает от некой мисс Вебб приглашение погостить в старинном поместье Эдбрук: его обитателей уже несколько лет преследуют призраки... **03.40** Триллер **"УБИЙСТВО НА ОЗЕРЕ". 05.05** Джадд Нилсон в триллере **"УБИЙСТВО НА ОЗЕРЕ".** Драматург Стэнли Колдуэлл работает над сценарием нового фильма: история о сумасшедшем-маньяке, убивающем молоденьких девушек. Чтобы понять, как это происходит, Стэнли обосновывается у озера недалеко от Лос-Анджелеса и приступает к странному эксперименту... А вскоре полиция начинает находить в озере трупы молодых девушек... **05.10** Теория невероятности. "Загадки времени".

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.00** Сериал **"ПАРАЛЛЕЛЬНО ЛЮБВИ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.20** Особо опасен! **10.50** Сериал **"ПОЛНЫЙ ВПЕРЕД!" 11.55** Сериал **"ГРАФ КРЕСТОВСКИЙ". 13.40** Галина Польских в комедии **"СУЕТА СУЕТ".** Марина Петровна и Борис Иванович прожили вместе двадцать лет. Однажды Борис Иванович пришел к супруге в ЗАГС, где она соединяла законным браком молодые пары, и честно признался, что увлекся другой женщиной... Наташа, восемнадцатилетняя дочь бывших супругов, собралась замуж за Василия и уехала с молодым человеком к его родителям. Беспокоясь за судьбу дочери, Марина и Борис приехали к будущим родственникам. Судьба дала им возможность еще раз выяснить отношения, и Борис Иванович понял, что его увлечение было ошибкой... **15.35** Игры разума. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"ОСОБЫЙ СЛУЧАЙ". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ГРАФ КРЕСТОВСКИЙ". 20.45** Сериал **"ПОЛНЫЙ ВПЕРЕД!" 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** Сериал **"СЕКС В БОЛЬШОМ ГОРОДЕ". 00.15** Сериал **"ГРАФ КРЕСТОВСКИЙ". 01.20** Сериал **"КЛИЕНТ ВСЕГДА МЕРТВ". 02.35** Бильярд. **03.10** Сериал **"КИН ЭДДИ". 04.15** Сериал **"ДЖЕЙК 2.0". 05.05** Сериал **"ЗАПАДНОЕ КРЫЛО".**




შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამოირჩევი სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოხატო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა "ყველაზე ჭკვიანის" მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

შეავსო ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.

მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი ------------------------------------

მისამართი ------------------------------------

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ------------------------------------

დაბადების თარიღი ------------------------------------

სკოლა ------------------------------------

კლასი ------------------------------------

დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ------------------------------------

მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი ------------------------------------

მშობლის ან მეურვის ხელმოწერა ------------------------------------

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 სექტემბრისათვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ვაჟა ფშაველას 45, 300077 თბილისი

ბ ლ ა ნ კ ი   უ ფ ა ს ო ა


# უმბერტო ეკომ თავისი უკანასკნელი რომანი დაწერა



ცნობილი რომანის "ვარდის სახელის" ავტორმა, ინტელექტუალმა და ერუდიტმა უმბერტო ეკომ თავისი მეხუთე მხატვრული წიგნი - "დედოფალ ლაონას ჯადოსნური ალი" ("La misteriosa fiamma della regina Loana") გამოაქვეყნა. იტალიელი მწერლის თქმით, ეს მისი ბოლო რომანია.

რომანის მთავარი გმირი მილანელი ბუკინისტი იამბო ავადმყოფობის გამო მეხსიერებას კარგავს. მას არ დავიწყებია არც ერთი სიტყვა, რაც კი ოდესმე წაუკითხავს, თუმცა, არ ახსოვს საკუთარი სახელი, ვერ ცნობს ცოლს და ქალიშვილს და ვერაფერს იხსენებს მშობლებზე. გავლილი ცხოვრების აღსადგენად იამბო იმ სახლში ბრუნდება, სადაც ბავშვობა გაატარა, სადაც სხვენს დაათვალიერებს და მის მეხსიერებას დაუბრუნდება არა მარტო საკუთარი თავი, არამედ მისი თაობის ყველა ისტორია. კომიქსები, გაზეთები და აფიშები მას და მკითხველს უყვება, როგორია გაიზარდო მუსოლინის დროს. წიგნში იმ ეპოქის მასობრივი კულტურის მრავალი "არტეფაქტია" აღდგენილი, რის გამოც "დედოფალ ლაონას" უკვე შეარქვეს "გრაფიკული რომანი".

მთავარი სიუჟეტური ხაზი უმბერტო ეკოს ერთ-ერთი რომანის ლაიტმოტივს მოგვაგონებს - ბელბოს ისტორიას, ნოსტალგიურს და ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებს ახალგაზრდობაზე.

სამშობლოსა და ინგლისურენოვან ქვეყნებში რომანს უკვე წილად ხვდა დადებითი გამოხმაურება: თარგმანი ორიგინალთან ერთად გამოქვეყნდა.





კოკა-კოლას ჯაზფესტივალი

**2 ივლისი**
**ვაკის პარკი**
18:00 – ლემონ ჯუს (საქ.)
19:00 – პაპარაცი (საქ.)
20:00 – გიორგის ჯაზდეივზიონი (საქ.)

**3 ივლისი**
**შერატონ მეტეხი პალასი**
21:00 – ქლაიენტს ფანკ სოსაითი
მოწვეული სტუმარი ფრედა გუდლეტი (შვეიცარია-აშშ)

**4 ივლისი**
ნესკაფე
წარმოგიდგენთ
**დიდი საკონცერტო დარბაზი**
20:00 - დეივიდ სენბორნი და ოლსთარ ბენდი (აშშ)
გილ გოლდშტეინი, დონ ელაისი,
ტერი-ლინ ქარინგთონი, ქრისთიან მაქბრაიდი.

შერატონ მეტეხი პალასი
23:00 – ჯემსეიშენი: ქლაიენტს ფანკ სოსაითი (შვეიცარია)

**5 ივლისი**
დიდი საკონცერტო დარბაზი
20:00 - შინი (საქ.)
მოწვეული სტუმარი- რენდი ბრეკერი (აშშ)

21:00 - ჯონ სქოფილდის კვარტეტი (აშშ)
მოწვეული სტუმარი- ქრის ფოთერი

**6 ივლისი**
**დიდი საკონცერტო დარბაზი**
ბანკი რესპუბლიკა და ნესკაფე
წარმოგიდგენთ
20:00 - ჯორჯ ბენსონი (აშშ)



# სწრაფად ხარისხიანად!
## EUROCLEAN-SERVICE

შ.პ.ს. "EUROCLEAN-SERVICE" გთავაზობთ ბინებში, ოფისებში, კინოთეატრებში, კაზინოებში, საბილიარდოებში, ბენზინ-გასამართ სადგურებში, რესტორნებსა და სხვა დაწესებულებებში შემდეგი სახის მომსახურებას:

- ნოხების, ხალიჩების, ქვისა და მარმარილოს იატაკის რეცხვა-გაწმენდა.
- რბილი ავეჯის, საძინებლი გარნიტურის, მატრასებისა და ლოგინების სიღრმული წმენდა დასუფთავება.
- ფანჯრების, ვიტრინების და მინის კონსტრუქციების რეცხვა-გაწმენდა.
- ხის კედლების წმენდა გაპრიალება.
- მანქანის სალონის წმენდა.
- აუზებისა და ჯაკუზების წმენდა.
- კაფელის, მეტლახის და ლინოლეუმის წმენდა და გაპრიალება.
- ავეჯის რესტავრაცია.

მის. ლესელიძის ქუჩა - ყავლაშვილის შესახვევი №1 ტელ: 93 13 03,
მის. გურამიშვილის №64 (ავეჯის სავაჭრო ცენტრი) 893 13 29 98, 893 50 93 50
E-maile: Euroclean_service@posta.ge





# თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტი (თეუსი)

**2005/2006 სასწავლო წლისათვის აცხადებს მაგისტრატურაში მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:**

**1. საერთაშორისო ბიზნესი და საგარეო ვაჭრობა (ქართული და რუსული სექტორი);**
**2. საკურორტო-სასტუმრო კომპლექსებისა და საერთაშორისო ტურიზმის კომერცია და მარკეტინგი (ქართული და რუსული სექტორი);**
**3. ფინანსები და საბანკო საქმე (ქართული და რუსული სექტორი);**
**4. სახელმწიფო და მუნიციპალური მართვა (ქართული სექტორი);**
**5. ბიზნესის სამართალი (ქართული და რუსული სექტორი);**
**6. სამართალმცოდნეობა (ქართული სექტორი);**

**საბუთების მიღება იწარმოებს 2005 წლის 5 სექტემბრიდან 23 სექტემბრამდე (ოთახი N205).**

**გამოცდები ჩატარდება 2005 წლის 24-დან 30 სექტემბრამდე.**

ცნობებისათვის მიმართეთ მიმღებ კ ო მ ი ს ი ა ს.
**(ტელ: 94-27-72; 94-27-87; 94-31-60;**
**ვებ-გვერდი www. teus.edu.ge)**


ძმისშვილები გია და დათო წიფურიები, რძლები ნანი ცანავა, მარინა წიფურია, დეიდები ნინა და მერი ბუღაშვილები. ბიძაშვილები ეთერი, გოგი და სოსო წიფურიები. დეიდაშვილები იგორ გოგინავა, მზექალა და ზურაბ ღვინჯილიები. ნათესავები, ახლობლები და მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **ბორის წიფურია**.



ს/პანაშვიდი 1-2 ივლისი 17:00 სთ. მის. ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის №75 №8 კორპუსი.
გამოსვენება 3 ივლისი 15:00 სთ. ამაღლების ეკლესიიდან (საბურთალოს სასაფლაოსთან)

ზაზა და ნინო ყიფიანები თანაგრძნობას უცხადებენ გია და დათო წიფურიებს ბიძის, საქართველოს სახალხო არტისტის **ბორის წიფურიას** გარდაცვალების გამო.

# ლოლიტებად დაბრუნებულები

## პრეზენტაცია და კონცერტი უნივერსიტეტში

ვერა ნეფარიძე

*ვისაც თბილისური როკ-კონცერტები მოენატრა, ან ვისაც ირონიულად გაეღიმება ამ სიტყვებზე, ეს საღამო მათთვისაა. დაუმატეთ ახლა "ლოლიტების" თაყვანისმცემლები (გოგონები, რომლებიც სცენასთან ახლოს დგანან, ბიჭები კი, როგორც წესი, მათ უკან ანცობენ) და გული მიგრძნობს, რომ 1 ივლისს უნივერსიტეტის დარბაზი მსმენელმა უნდა გაავსოს. აღსანიშნი არც ისე ცოტაა: "იანგ ჯორჯიან ლოლიტაზმა" დაიბრუნა სახელწოდება და "ლემონ ჯუსიდან" ბიჭები კვლავ "ლოლიტებად" იქცნენ. კონცერტზე ახალი დისკისა და ვიდეოკლიპის პრეზენტაციაც გაიმართება; ამ ყველაფრით კი თავის პირველ ხმამაღალ განაცხადს გააკეთებს და ორბიტაზე გამოჩნდება ხმისჩამწერი კომპანია "სტეპ რექორდსი".*



"იანგ ჯორჯიან ლოლიტაზ"

ეს არ იქნება რიგითი კონცერტი, როგორსაც მიჩვეული ვართ ჩვენი როკმუსიკოსებისგან. ამ საღამოს მსმენელი ნახავს (ისე კი, უკვე ეთერშიც გადის ამ დღეებში) "იანგ ჯორჯიან ლოლიტაზის" ბოლო ვიდეოკლიპს (სიმღერაზე "სთარ"; კლიპის რეჟისორია გიორგი ლიფონავა), რომელიც, როგორც ჯგუფის მენეჯერები ამბობენ, ძალიან კარგი გამოვიდა (პირადად მე ჯერ არ მინახავს); კონცერტზევე გაიყიდება ჯგუფის ბოლო დისკი, რომელიც "პირველი რადიოს" ეთერში ჩაიწერა და წინა ალბომისგან იმითაც განსხვავდება, რომ მასში ოთხი ახალი კომპოზიციაა დამატებული. ალბომი სულ ათ კომპოზიციას აერთიანებს; კონცერტის ხანგრძლივობა კი, როგორც მუსიკოსებმა თქვეს, საათნახევარი-ორი საათი იქნება. იმის მიუხედავად, რომ ბიჭები მეორე დღესაც გამოვლენ ვაკის პარკში, ღია ცის ქვეშ დაგეგმილ კონცერტზე, რომელსაც "ისთერნ პრომოუშენი" ჯაზ-ფესტივალის ფარგლებში მართავს, "ლოლიტების" მოსასმენად მისვლა რომ მათ სოლოკონცერტზე სჯობს, ამას რად უნდა ბევრი მტკიცება.

"იანგ ჯორჯიან ლოლიტაზ" ამ კონცერტით, ფაქტობრივად, პირველად წარდგება სცენაზე მას შემდეგ, რაც ჯგუფთან თანამშრომლობა დაიწყო ახალმა ხმის ჩამწერმა კომპანიამ "სტეპ რექორდსმა" (თუ არ ჩავთვლით ორიოდე კვირის წინათ კლუბ "ნოა ნოაში" გამოსვლას, სადაც მათთან ერთად კონცერტში სამხრეთკავკასიელი სხვა მუსიკოსებიც მონაწილეობდნენ). კომპანიისთვის, რომელიც "ლოლიტებზე" განსაკუთრებულ იმედებს ამყარებს, ეს კონცერტი პირველი პროექტია. რაც შეეხება "იანგ ჯორჯიან ლოლიტაზს", ბიჭებმა სოლოკონცერტი ბოლოს შარშან, სექტემბერში, ალბომის პრეზენტაციისას კლუბ "ბერლინში" გამართეს. მას შემდეგ ჯგუფის რეპერტუარშიც ბევრი რამ შეიცვალა; ძირითადად განახლდა და ამჟამად დაახლოებით 22 სიმღერას მოიცავს. ბიჭებს თითქმის გამზადებული აქვთ მასალა ახალი ალბომის ჩასაწერად: "სამუშაოა სტუდიაში, ჯერ არ ჩაგვიწერია. როცა "ლეიბლი" გვეტყვის: ბიჭებო, შეგიძლიათ ჩაწეროთო, მაშინ ჩავწერთ", - ამბობს ჯგუფის ლიდერი ნიკა კოჩაროვი (რომელსაც მეტსახელად ბოსსაც ეძახიან). გეგმებზე მეტს არაფერს ამბობენ და შეკითხვასაც ხუმრობით პასუხობენ: "გეგმები ვახო ბაბუნაშვილს აქვს, ჩვენ რა.... ვუკრავთ". "სტეპ რექორდსთან" თანამშრომლობაზეც გადაჭარბების გარეშე, გულწრფელად ამბობენ: "აქამდე ჩვენ ვაკეთებდით რაღაცებს. ახლა მოვიდა ხალხი, ვინც გვაწყობს და გვეუბნება, რომ ყველაფერი იქნება. ჩვენც მოვდუნდით და ცოტა გავსუქდით". რაც შეეხება "ყველაფერს", ამაში იგულისხმება ის, რასაც თავისთავად ითვალისწინებს ხმის ჩამწერ კომპანიასთან არტისტების ურთიერთობა: მუსიკოსებმა უნდა იმუშაონ (რაც "ლოლიტებს", რბილად რომ ვთქვათ, არ უჭირთ), კომპანიამ კი უნდა იზრუნოს იმიჯზე, კონცერტების გამართვაზე, სარეპეტიციო სივრცეზე (რომელიც, ამჟამად არა აქვს ჯგუფს, ამიტომაც გიორგი გვარჯალაძის სტუდიამ შეიფარა); "სტეპ რეკორდსის" შემთხვევაში კი ზრუნვის მთავარი მიმართულებაა აქაური მუსიკოსების გაყვანა დასავლეთის სცენებზე. "საბოლოოდ აქედან წასვლაზე არც ვფიქრობთ. უბრალოდ, კონცერტები უნდა იყოს ხოლმე საზღვარგარეთ", - ამბობენ "ლოლიტები". მუსიკოსებს მიაჩნიათ, რომ მსმენელი აქ, ასე თუ ისე, ჰყავთ. "არ ვიცი, ხალხი დადის ჩვენს კონცერტებზე. შეიძლება ჩვენთან 200-300 კაცი მოვიდეს და სხვაზე ამდენიც არ მივიდეს. ჩვენს კონცერტებზე გოგოები წინ დგანან ხოლმე, ბიჭები - უკან", - ეს ბიჭების დაკვირვების შედეგია და აბსოლუტურად ზუსტი - ასე იყო ბოლოს "ნოა ნოაშიც".

დაბრუნდეთ, როგორც გითხარით, "იანგ ჯორჯიან ლოლიტაზს" ზედიზედ ორი გამოსვლა აქვს. ალბათ რჩევაც ზედმეტია, მაგრამ ვინც ბილეთის ფასის - 5 ლარის დაზოგვას გადაწყვეტს და იფიქრებს, რომ ბარემ ვაკის პარკში მივა "ლოლიტების" მოსასმენად, უნდა გავაფრთხილოთ, რომ შეცდება. რაც მთავარია და გადამწყვეტი, უნივერსიტეტში დაგეგმილი გამოსვლის მიმართ თავად მუსიკოსების დამოკიდებულება განსაკუთრებულია, რადგან აფასებენ, რომ უნვერსიტეტში მხოლოდ მათ მოსასმენად მივლენ: "ამ კონცერტზე ვიდეოპროექცია იქნება; ჩვენც რაღაცებს ჩავიცვამთ. კონცერტზე მთლიანად გავცემთ, რაც გვაქვს. ვაკის პარკში კიდე დაღლილები მივალთ, "გავახალტურებთ" და წავალთ", - ჩვეული იუმორით ამთავრებენ "ლოლიტები": სცენაზე მეტად არტისტული ნიკა კოჩაროვი (ბოსი), ლევან შანშიაშვილი, გურამ მაკალათია (გუფი) და დათო სვანიძე (რადარა).